

დღისთვის და საქარსველს



საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРЫЛИ САҚАРТВЕЛО

30 აპრილი, 2013 წ. №59 (3669) ბათონის 77-ე წელი ღირსი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

რა გაცინებთ, ბატონო, გიჟი არ გინახავთ?!

ღია წერილი ამერიკის ელჩს

ძვირფასო ბატონო ნორლანდ!
 მე, თამაზ ნივნივაძე, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, ბოდიშს გიხდით, ჩემი პრეზიდენტის აშკარა სულელურ საქციელზე სიცილი რომ წაგსკდათ და ეს ყველაფერი თქვენმა თანამემამულეებმა დიპლომატიურ ლაფსუსად ჩაგიტვალეს!
 არადა, რიგითი ამერიკელები თქვენსავით ახლოს რომ იცნობდნენ მიხეილ სააკაშვილს, მაშინ ნახავდნენ, გაეცინებოდათ თუ არა, – თავისი თვალთა რომ ეყურებინათ, ეს პრეზიდენტი კაცი დილის საათებში ჯოხის ცხენ-



ზე გადამჯდარი და „აჩუ-აჩუს“ ძახილით სამსახურისკენ რომ მიიჩქარის!..
 ან კიდევ, ბატონო ნორლანდ, ნეტა, თქვენს თანამემამულეებს იმ დროს აჩვენათ ჩვენი პრეზიდენტი, მინდვრის პეპლებს დასაჭერად რომ დასდევს და ეს ამხელა კაცი პურის ყანებში ისე მარჯვედ გადადის მალაყებს, თითქოს ამ ლამაზ მწერებს გამოდევნებული ბოტანიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყოს! – ამ დროს კი სახელმწიფო დაცვის თანამშრომლები ფეხდაფეხ დასდევენ „დაცვის ობიექტს“ და თანაც წინასწარ გაზუთხულ ტექსტს ხმამაღლა მღერიან: „დაჯე, დაჯე, პეპელა, წითელ კაბას გიკერავე!..“
 ასე რომ, ბატონო ელჩო, გულს ნუ გაიტეხთ – კაცი ხართ და, ხან გაიცინებთ, ხან კიდევ სერიოზულადაც მოილუშებით!
 ეს არავის საქმე არ არის! სააკაშვილმა მხოლოდ ის იკითხოს, ყოველ მის დანახვაზე, თითქოს მსახიობი დე ფიუნესი იყოს, ხალხი სიცილით რატომ კვდება!..
 მე კიდევ, ბატონო ნორლანდ, მართო იმაზე მეცინება, – ეს კაცი რა სულელიც იყო, მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მხოლოდ სამიოდე თვით ადრე რომ შეამჩნიეთ ოკეანის-გალმელებმა!
 აქამდე ან თვალი სად გქონდათ, ან ყური?!
 ჩვენ, ქართველებმა, თავიდანვე ვიცოდით, რა „ურიკინესთანაც“ გვქონდა საქმე, მაგრამ, რაკი ამერიკის ფავორიტი იყო, ვიფიქრეთ, შეიძლება ვცდებოდით კიდევ!..
 თანაც, რომ არ დავმალოთ, მის სულელურ საქციელზე ხანდახან თავსაც ვირთობდით!
 მე, მაგალითად, როცა მომეპრიანებოდა, სახუმარო ლექსებსაც ვუნერდი:
 აი, ნახეთ, ბატონო ნორლანდ!
 „სანამ ასეთი მთავრობა გვიზის, არ დამთავრდება ეპოქა გიჟის!“
 თუმცა, ბატონო ელჩო, ცოტა ეშმაკობა მეც ვისწავლე და, ხელისუფალთ რომ არ დავეჭორე, ამ ლექსებში არც



კონკრეტულ ქვეყანას ვასახელებ და არც იმ კონკრეტულ პირს, ვის შეურაცხადობაშიც ეჭვი უკვე აღარ მეპარება!
 ოღონდ ესაა, – თანამემამულეების გაფრთხილება არასდროს მაინცდებოდა!
 „თავისაცემად დიდხანს გვეყოფა, თუ არ დასრულდა გიჟის ეპოქა!“
 არადა, ჩემი არ იყო, ამ ბოლო დროს ან ეს ჩვენი უცხოელი მეგობრებიც რომ გადარია, ამ „ჰერალდტრიბუნებთან“ და „ვაშინგტონპოსტთან“ პრეზიდენტს რომ გვილანძღავენ – რა, თავიდანვე არ იცოდნენ, რა გიჟსაც გვიგზავნიდნენ?!
 თუმცა ახლა ამის გასარჩევი დრო არაა, – როცა სააკაშვილს ციხეში ჩავსვამთ, ამაზე სალაპარაკოდ მერე მოვიცლით!..
 და, ბოლოს, ძვირფასო ბატონო ნორლანდ, მე, თამაზ ნივნივაძე, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს იმასთან დაკავშირებით, ჩვენი პრეზიდენტის ხმამაღლა წარმოთქმულ სისულელეზე სიცილი რომ წაგსკდათ და ეს ყველაფერი თქვენმა თანამემამულეებმა დიპლომატიურ ლაფსუსად ჩაგიტვალეს!
 ოღონდ ამას დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ! – ეს ჩვენი სააკაშვილი თავისი სულელური საქციელით ცოცხალ

კაცს კი არა, ხშირად სამი დღის მკვდარსაც აცინებს!..
 კიდევ მეტი რა თვალსაჩინო მაგალითი გითხრათ, ბატონო ელჩო! მე თავად, უახლოესი მეგობრის კუბოსთან მდგარს საიდანღაც მიხეილ სააკაშვილის ხმა მომესმა და, იმის მიუხედავად, რომ ცალკეული სიტყვის გარჩევა ჭირდა, მაინც ისეთი სიცილი ამიტყდა, ჭირისუფლებმა იქაურობას გამარიდეს!..
პატივისცემით
თამაზ ნივნივაძე
 საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
P.S.
 ბატონო ნორლანდ!
 მართალი გითხრათ, თქვენგან არც გამკვირვებია, ამერიკელებს პირადი ცხოვრებაც კარგად გაქვთ აწყობილი და ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველობაც და, აქედან გამომდინარე, როცა გინდათ, მაშინ გაიცინებთ!
 მე იმის წარმოდგენა უფრო გამიჭირდა, ამ ჩვენს ივანიშვილს რა აცინებდა? კი, ბატონო, ფულით არც ერთ ამერიკულ მილიარდერს არ ჩამოუვარდება, მაგრამ თავისი შეყოვნებული მოქმედებით ეს ჩვენი ვადაგასული და გადარეული პრეზიდენტი ისევე თავიდან ხომ ჰყავს ტახტიდან ჩამოსაგდები?!

ბატონო თამაზ!

დიდი პატივისცემით მოგიკითხავთ და მოგილოცავთ მწერალთა აკადემიის და-არსებას და მის პრეზიდენტად არჩევას.

გისურვებთ, კვლავაც თქვენებური შეუპოვრობით ემსახუროთ თქვენს ქვეყანას და სიმაღლეს. დიდი სიხარულით მივესალმები გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კვლავ გამობრწყინებას.

ბატონო თამაზ, გიგ ზავნით პატარა წერილს – ჩემი აზრით, დროულს და აუცილებელს.

მეგობრული სიყვარულით, თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი

ოთარ ჭუმბურიძე

ლია ბარათი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

განსაცდელის ჟამს უფალი ერს ყოველთვის მოუვლენს გადასარჩენად გმირს, რომელიც ღვთიური ძლით არის მოსილი, ღმერთი მასთან არის და ეხმარება იმ მიზნების და ამოცანების გადაჭრაში, რისთვისაც ის გამოგზავნა ხალხთან.

თქვენ, ბატონო ბიძინა, იმ დროს მოუსწარით ქართველ ერს, როცა მისი მზე ჩასასვენებლად ემზადებოდა: როცა ქვეყანა ისტორიის სარბიელიდან თითქმის გაქრობის პირას იდგა, რადგან ენა და ეროვნება აღარ არსებობდა (არც არსებობს ჯერჯერობით). სიტყვა „ეროვნება“ გაქრა; თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას, თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

ბატონო ბიძინა, პირდაპირ გადავალ საქმეზე: თქვენ ისტორიულ და პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენისთანავე მიიპყრით ქართველი ხალხის ყურადღება. მეტ-ნაკლებად ყველას სმენდა ლეგენდებზე თქვენი ამბავი, თუმცა, როგორც გარკვევა, ლეგენდა სინამდვილე ყოფილა – ეს დადასტურა ნიგნმა, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის თქვენს მიერ გაკეთებულ უდიდეს სიკეთებს. აღარაფერს ვამბობ ცალკეულ პიროვნებათა მიმართ თქვენგან გაღებულ უდიდეს მადლზე.

ბატონო ბიძინა, ყოველივე ამისთვის ქართველმა ხალხმა თავისი თავი და თვის ქვეყნის ბედი განდოთ. თქვენ კი სულ მოკლე ხანში ბრძანეთ, რომ პო-

ლიტიკური ასპარეზიდან გადხარათ, ყოვლად დაუჯერებელია – თქვენ თქვენი ცხოვრების ბედი უკვე დაუკავშირეთ ქართველი ხალხის ბედს და გვეჯერა, რომ მას ალექსანდრე გუგუნიძე გაიყვანათ. ამიტომ ვფიქრობ (და არამარტო მე), რომ თქვენი ამ ეტაპზე პოლიტიკიდან წასვლა ყოვლად შეუძლებელია.

ბატონო ბიძინა, 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველ ხალხს, მთელ საქართველოს, ყელში ჰქონდა მახვილი მიბჯენილი. თქვენ მითურ გმირად გამოცხადეთ და გადაარჩინეთ იგი, ახლა კვლავ დადგა ეს საშიშროება – ეს ოქტომბერიც არანაკლებ საშიშია, ამიტომ უნდა დაუბრუნოთ ხალხს რწმენა, რომ არსადაც არ მიბრძანდებით, რომ ეს ყველაფერი იყო პოლიტიკური მანევრი მტრის დასაბნევადად, ეს პოლიტიკოსის კარგი მანევრია (ტალიერიანი), შემდეგ უფრო დაეჭვდებიან თქვენს ნათქვამში და კომენტარებსაც ისე იოლად ვეღარ გაბედავენ – ხალხი თქვენგან ელის ბევრ სიკეთეს.

ნაციონალების პრეზიდენტისგან წართმეულის დაბრუნებას ნაციონალები სიკეთედ იწერენ, რა მკრეხლობაც ჩაიდინეს. აი, რამდენიმე მათგანი:

ისინი ამბობენ, რომ მეცნიერების განვითარებას უწყობდნენ ხელს. სინამდვილეში კი მათ გააუქმეს ეროვნული სამეცნიერო აკადემია და ლვან-მოსილი მეცნიერები ქუჩაში გარეკეს. მათ უწოდეს ლექტორ-მასწავლებლებს,

მწერლებს და, საერთოდ, ქართულ ინტელიგენციას, ჩარეცხილები.

წყლის გამყიდველი ჯიხურის მეპატრონე (ბოდიშს ვიხდი მათ ნინაშე) უფრო დაფასებული იყო, ვიდრე ღვანლმოსილი მეცნიერი, პროფესორი, რადგან ჯიხურიდან ფული შემოდიოდათ, პროფესორებიდან კი „ვერაფერს“ იღებდნენ. სიტყვა პროფესორი, შეურაცხყოფელი გახადეს ხალხის თვალში, წაართვეს ღირსება დამსახურებულ ადამიანებს, არ არსებობდა მათთვის საპატივცემულო პიროვნება, ყველას ერთნაირად უფლებამუშუღუდავად მიუხიეს პატრონის სამსახური, არც კი უსმენდნენ ადამიანებს, რადგან ჰქონდათ დევიზი – დასაჯე, ვინც უნდა იყოს, პასუხს მე ვაგებო. ეს დევიზი, კარგად იცით, ვისი მონოდედაც იყო (გერმანიაში ჰიტლერის) და რაც უნდა ხალხმა მათ – ფაშისტები. ისინი საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლა. ნაციონალებს რა ჰგონიათ, ნაკლები რისხვა ელთი ხალხისგან? ისინი მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს უზნეობისაკენ. გაიხსენეთ პრეზიდენტის მონოდედა ბაკურიანში სკოლის მოსწავლეებისადმი (პატრიოტთა ბანაკისადმი): აი, ბავშვებო, თავი უსფულება, გახედეთ რამდენი ბურჭები, კარგათ გაერთეთ და დაისვენეთო. ასე არ იგებდა პრეზიდენტი ბავშვებს!..

მათ გაანადგურეს ქართული ოჯახები, ქართველი ქალები ხელგანვდილი მათხოვრობენ იტალიის, საბერძნეთის, ესპანეთის თუ სხვა ქვეყნების ქუჩებში. ბევრმა მათგანმა უახლოესი ადამიანების, მათ შორის საკუთარი მეუღლის უკანასკნელ გზაზე გაცილებაც ვერ შეძლო.

აკადემიკოსი, ბატონი ვანო კილურაძე, სამსახურიდან დაითხოვეს – მსოფლიოში აღიარებულ და საქართველოში მათემატიკის სკოლის ერთ-ერთი უდიდესი ფუძემდებელს მათემატიკის ინსტიტუტის შენობა დაუყუდეს. რამდენი ვინმე შეიძლება ჩამოეყვალა.

ბატონო ბიძინა, გვჭირდებით, ძალიან გვჭირდებით. ნახევრად გაკეთებული საქმე რომ არ ითვლება, თქვენ სხვაზე უკეთ მოგეხსენებათ, ამიტომ ბოლომდე უნდა გაჰყვებოდნენ თქვენ გზას. თქვენ გვერდით აუცილებლად უნდა იყოს გონიერი ფილოსოფოსი, როგორც ამას ბერძენ-

ბი იტყოდნენ. ქვეყანა ბრძენმა ფილოსოფოსმა უნდა მართოსო, ნათქვამია – ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ახალ რჩეულს, თქვენს რჩეულს გიორგი მარგველაშვილს, ოღონდ თქვენ უნდა დაუდგეთ გვერდით, ეს საქართველოს გამარჯვების საწინდარია. თქვენ შეძლებთ დაგვიბრუნოთ ეროვნება, ერთიანი ქვეყანა, წართმეული ღირსება. ამისთვის თქვენთან არის ქართველი ხალხი, თქვენთან და მხოლოდ თქვენთან.

ბატონო ბიძინა, მოკრძალებით, მაგრამ მაინც მსურს ჩემი აზრი გამოეთქვა დღევანდელი საინფორმაციო სამსახურების მიმართ „ძალიან კარგად“ მუშაობს რუსთავი 2-ის სატელევიზიო არხი, სადაც ნაციონალები თავიანთ გაფუჭებულ საქმეებს (ცოდვებს) გამირობად აცხადებენ და უსირცხვილოდ აწვდიან ხალხს ყალბ ინფორმაციებს. თქვენ კი რაც კარგი გააკეთეთ, იმასაც ვერ აწვდით მოსახლეობას. მოისუსტებს თქვენი პიარ-კამპანია, – ვერ მიაქვთ ხალხამდე გაკეთებული უამრავი სიკეთე. ვფიქრობ, სპეციალურმა საპიარო სამსახურმა ყოველდღიურად უნდა მიაწოდოს ხალხს ინფორმაცია გაკეთებული სიხსენებების შესახებ, თორემ ნაციონალების პროპაგანდამ ლამის მთლად გმირებდად გამოაცხადოს ნაციონალის ნევრები, ხოლო მათ მიერ ჩადენილი ცოდვები თქვენ მოგანერონ. მათ ნამდვილად სჭირდებათ პასუხის გამცემი, აი, ისეთი, როგორც ბატონი პარლამენტარი ზაზა პაპუაშვილია, ყველას სათქმელი სიმართლე რომ უთხრა გიორგი ბარამიძეს და მის თანამზრახველებს. ასეთი ვაჟკაცი შემართებით უნდა შევახსენოთ, ვინ არიან ისინი და ასევე უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ ბევრი რამ გაკეთდა და ბევრიც გასაკეთებელია. აუცილებელია ხალხმა იცოდეს ქვეყნის მდგომარეობა.

ბოდიშის მოხდით და დიდი პატივისცემით

პროფესორი
ოთარ ჭუმბურიძე

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის
პოლიტოლოგიის მიმართულების
ხელმძღვანელი, საქართველოს პო-
ლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი,
აკადემიკოსი

4-5 სექტემბერი, 2013 წელი

ქრისტიანული პოეზიის III ფსტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

4 სექტემბერი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი).

საფესტივალოდ წარმოდგენილი ლექსების კითხვა.

დასაწყისი 17 საათზე.

5 სექტემბერი

საქართველოს მწერალთა სახლი.

ფესტივალში გამარჯვებულ ავტორთა დაჯილდოება და საფესტივალოდ გამოცემული კრებულების წარდგინება.

დასაწყისი 14 საათზე.

ფესტივალის ძირითადი მხარდამჭერი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

მხარდამჭერები:

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი,

საქართველოს მწერალთა სახლი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ფსტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

„ამერ-იმერი“ № 2

დაიბეჭდა ლიტერატურული ჟურნალი „ამერ-იმერი“ №2. ჟურნალი იხსნება მურმან ლებანიძის ლექსით – „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. აქვეა წარმოდგენილი დავით გურამიშვილის „მოთქმა“. პოეზიის განყოფილება გთავაზობთ აგრეთვე მანანა ჩიტვილიის, თეიმურაზ ლანჩავას, ლელა მეტრეველის, რევაზ ართილაყვას, ანა ერისთავის, ბელა ქებურიას, თემურ ჭუმბაშვილის, ილია ბარამიძისა და ჯუბა ლებელის ლექსებს. „კიდევაც დაიზრდებიან“ – ამ რუბრიკით დაბეჭდილია ავთანდილ მეგრელიშვილის საყმაწვილო ლექსები.

ჟურნალი აგრძელებს ემიგრანტ შემოქმედთა ნაწარმოებების ბეჭდვას. ნომერში წარმოდგენილი არიან: მაყვალა მესხიძე, ზაირა კელოშვილი, ნათელა ირემაძე, ნინო ქიზიყელი, ნუნუ ლურჯუმალიძე და ნესტან (ნესი) რობაქიძე.

„იყო და არა იყო რას“ რუბრიკით დაბეჭდილია ცამეტი წლის გოგონას ლიზი ბუდიაშვილის ზღაპრები და მისივე ნახატების ფერადი ჩანართი, რომელსაც ნამძღვარებული აქვს მხატვარ ომარ შაფათავას წერილი.

რუბრიკა „ქართული პროზა“ გთავაზობთ მზია ჩხეტიანის, მალხაზ კავთელის, ნოდარ კობერიძის,

ზურაბ თორიას, ჯანრი გოგეშვილის, ირაკლი შამათავასა და ვაჟა ჩორდელის მოთხრობებს. აქვეა წარმოდგენილი რეზო ნაჭყებიას „პროზაული ჩანაწერები“.

„გახსენება“ გთავაზობთ თამაზ კერვალიშვილისა და ზურაბ ჯაფარიძის ლექსებს.

აღსანიშნავია თემურ შავლაძის ახალი ესეე „ფიქრები ვეფხისა და მოყმის ბალადაზე“.

„იცნოს სოფელმან“... – ამ რუბრიკით დაბეჭდილია ლექსები, წერილები და მოთხრობა, მიძღვნილი მიტროპოლიტ თადეოზისადმი.

ნომერში დაბეჭდილია ოლეგ იაძის „გულახდილი წერილი რედაქციას“, რომლითაც ავტორი ითხოვდა, განმეორებოდა დაგვებეჭდა გურამ გოგიაშვილის თარგმანი „ქებათა ქება სამშობლოს“. რედაქციამ შეასრულა მკითხველის თხოვნა.

რუბრიკა „წერილები“ წარმოგადგენთ ჯემალ დავლიანიძის, ავთანდილ სიხარულიძის, იკა ქადაგიძის, გურამ ყორანაშვილის, ანა ერისთავის, რევაზ ზეინაბიძის, თენგიზ ჩხაიძისა და ზაალ ზოტკოველის (ორ წერილს) შემოქმედებას.

„კრიტიკა“ გთავაზობთ: ლევან ბებურიშვილის, დავით სანდოძის, ვაჟა ძიგუასა და ჯემალ მეხრიშვილის წერილებს.

„ახალი თარგმანები“ აგრძე-



ლებს რონდა ბერნის „საიდუმლოს“ ბეჭდვას. ნაწარმოები ქართულად პირველად იხტამბება, რომელიც ინგლისურიდან თარგმნეს მარინა ბარათაშვილმა და ჯემალ ჭელიძემ.

„დრამატურგია“ წარმოგადგენთ გოგი-გიორგი მამაცაშვილის პიესას „იყავ ნება შენი... მედეა“.

„მწერლის უბის ნიგნაკი“ გთავაზობთ ვაჟა ჩორდელის ორ გახსენებას – ამბავი ცისკრელებისა – „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ და „ამბავი: მურმანი და არჩილი, ანუ შენ რომ იცი, ისე!“

„ამერ-იმერი“ დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.

ჟურნალი გაიყიდება „პლანეტა ფორტეს“ ჯიხურებში.

როგორი არ უნდა იყოს ახალი (ციკლიდან – ომი ბნელეთთან)

მიშველაძე უერთგულესი ხელსაწყო კომუნისტური პარტიისა. იგი ცხოვრებაში ნერვებს მომაკვდინებელ ილუზიას, რომ მართლაც არსებობს რაღაც ფორმაცია, რაღაც კომუნისტი, სადაც „ახალი ადამიანები“, „ახალი მასები“, „ახალი მუშათა კლასი“, „ახალი ახალგაზრდობა“ ბედნიერებას მიადნევენ. საამისოდ კი ერთადერთია საჭირო: უნდა იყო კომკავშირელი, შემდგომ პარტიული მუშაკი და კომუნისტური პარტიის ყრილობათა დადგენილების შუქზე იშრომო. ჰკოცნო მკვდარ ლენინს უკანალზე. ჩადგე მავზოლეუმის წინ მდგომ უსასრულო რიგში და მედგარად ებრძოლო მავნე გადმონაშთებს ანუ, – სინამდვილეში – პატიოსან და მართალ ადამიანებს.

მიშველაძისთვის „ჩვენი ქვეყანა“ მუდამ საბჭოთა იმპერია, საბჭოთა კავშირია! მან თავისი წერილებით, წიგნებით მიაღწია სანადვლს, – იგი მოექცა მშობლიური კომუნისტური პარტიის სხვადასხვა ორგანოების ყურადღების არეში, მას ენდობოდა არა ხალხი, არამედ კომპარტია, კგბ... მას ანდობდნენ თვით საბჭოთა კავშირის შორეული კუთხეებიდან შეკრებილ ადამიანთა საზღვარგარეთ გაყვანამოგზაურობებს! არა მხოლოდ ანდობდნენ, არამედ ჯგუფის უფროსადაც იყენებდნენ! ამავ დროს, მიშველაძე, ერთდროულად, გახლდათ ორგანიზატორიც, ჯგუფის ხელმძღვანელიც, გამყოლიც და, რაც მთავარია, – მოთვალთვალე, დამკვირვებელი, მჩხიბავი! ვინ როგორ იქცეოდა საზღვარგარეთის ქვეყანაში! ვინ და როგორ ამუშავებდა თავს! ვის გაჰქონდა ორიოდ ქილა ხიზილულ ან კონიაკი! ვინ ყიდულობდა არა საბჭოურ, არამედ საზღვარგარეთულ ნივთებს და პერანგს! იგი საამისოდ ავსებდა სათანადო „დოსიეს“ და ყოველივე ამას იყენებდა საკუთარი, პირადი და საბჭოთა ქვეყნის, თავისი დაიდი სამშობლოს ინტერესებისათვის! ამავ დროს, მიშველაძე თან დაჰქონდა საკუთარი ნაცოდელი „ნანარმოებები“, – ჰქარებდა-თარგმანები და მონლოლეთის, ვიეტნამის, აფრიკის სხვადასხვა ქვეყნების შემოქმედებს სთავაზობდა – წიგნებზე გამოცემით! საბჭოთა მესაყვირეს ამ საქმეში დიდად და მსურველად ეხმარებოდა მშობლიური კომპარტია, უკიდევანო ქვეყნის საიდუმლო სპეცოპრანისა და სხვა წარსადაც მხოლოდ მიშველაძის „შემოქმედებით“, ანუ ნაგავით! კიდევ ტრახახობს ხოლმე ხშირად – ჩემი ნანარმოებები, ჩემი წიგნები მსოფლიოს 70 ქვეყანაშია ნათარგმნი!

ვეფო, კინალამ ავცდი მიშველაძის „კრიტიკულ მონოლოგებს“. საინტერესოა, რას ყიყინებს ნითლად გავარჯერებული ჭაობის ბინადარი, მოკრიტიკოსო-მომწერლო ელემენტ-ავტორი.

ვნახოთ: „დახ, ჩვენს ლიტერატურაში იყო პერიოდი, როდესაც პოზიციანთა გარკვევის საკითხი პირველ პლანზე იდგა... იმპერიალიზმის დივერსია მთელი გააფთრებით ეძებდა მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის (საბჭოთა კავშირის-ჯ.დ.) სულიერ ცხოვრებაში“.

„ბ. ბუაჩიძე წლების განმავლობაში ფხიზლად იდგა მშობლიური (საბჭოთა-ჯ.დ.) ლიტერატურის საგუმბაგოზე და მარქსისტული კრიტიკის პოზიციებიდან აშუქებდა... მე ნავიკითხე ბ. ბუაჩიძის მთელი კრიტიკული პროდუქცია (წიგნი, ბროშურები, ცალკეულ ჟურნალებში გაბნეული წერილები) და უნდა შევნიშნო: ბ. ბუაჩიძის შემოქმედება დიხადაც დგას პროლეტარული კრიტიკის დონეზე. კრიტიკოსებს გაკვეთილად გამოადგება ის გაბედული და მარქსისტულ-ლენინური ჭერება მწერლობისა... კრიტიკოსის მსჯელობანი მე განსაკუთრებით საინტერესოა“.

▶▶ გაგრძელება. დასასრული „ლს“ 52-58

რესოდ მომეჩვენა: „ცისფერყანალებზე“, „ფუტურისტებზე“, „აკადემიურ ასოციაციასზე“, „არიფონზე“, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, სიმონ ჩიქოვანის ფუტურისტულ ლექსებზე“.

„უნდა დაინეროს საფუძვლიანი მეცნიერულ-კვლევითი ნაშრომი საბჭოთა პოემაზე, ქართულ საბჭოთა მოთხრობასა და ნოველაზე“.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ლენინი ილიას ძე ბრეჟნევიმ თქვა: „ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატება უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ჩვენი კრიტიკა რომ უფრო აქტიურად ახორციელებდეს კომპარტიის ხაზს“. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის დიდი მისია, რასაც კომპარტია კრიტიკის წილად ხედდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ მიგვანიშნებს ჩვენს წმინდათა წმინდა მოვალეობას. კრიტიკის ამოცანაა – ხაზგასმულია დადგენილებაში – ღრმად გააანალიზოს თანამედროვე მხატვრული პროცესის ტენდენციები, კანონზომიერებანი. მთელი ძალით შეუწყოს ხელი ხალხობრულ და პარტიულ ლენინური პრინციპების განმტკიცებას, გამოდიოდეს ბუტყუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ“.

„მეოცე საუკუნის მოქალაქე დღეს მთავრის მპყრობელია... პლანეტის ამ ბრძენთაბრძენი მბრძანებლის ნებით მდინარეები იცვლიან კალაპოტს, უდაბნოში ყვავილობს ჯეჯილი, ადამიანმა თვით შექმნა და დალენა ძველთაძველი კერპები. ადამიანის წინაშე შიშით ძრწინან უდაბნოს მხეცები და არწივები მაღალ მწვერვალთა თავებზელა ბოინობენ. ადამიანი მეუფე გახდა ზღვაზე, ცაზე და ხმელთაზე...“

„კატბორიობის მშვიდ ცხოვრებაზე არაერთხელ გადაუვლია კანის სულის აღზევებას. ადამიანი უმონყალოდ ანგრევდა საუკუნეების მანძილზე შექმნილ კულტურას, გაუთავებელ ომებში ერთმანეთს შეაკვდნენ თაობები. უგუნურების ცეცხლმა შთანთქმა ხელთუქმნელი ტაძრები... რატომ ხდება ასე? ერთი მხრივ ხელოვნების უბრწყინვალესი ნიმუშები შექმნა და, მეორე მხრივ, ცინიკოსის ჩექმით გაეთელა ადამიანთა საუკუნოვანი მონაპოვარი? მეცნიერები ამ გარემოებას შემდეგნაირად ხსნიან: ადამიანი დიდხანს არ იყო სრულყოფილი არსება. მისი სულიერი ფორმირება საკმაოდ ნელა ხდებოდა. ადამიანებში თვლემდა მომხეცო წინაპარი. საზოგადოების მოწამვლა შეიძლება რელიგიური და შოვინისტური ბანგით. არასწორი ტენდენციებით გაუღენთილმა კაცმა შეიძლება დღესაც ადვილად დაკარგოს ადამიანური თვისებები და მაშინ იგი საშიში ხდება!“

აჰა! მიშველაძე აქ პირდაპირ საკუთარ თავზე მეტყველებს. ამ მონოლოგში, გარდა „რელიგიისა“ ყველაფერი მიშველაძეზეა ზედგამოჭრილი! კითხვას, რომელსაც იგი სვამს – „რატომ ხდება ასე“-ო, მხოლოდ ერთადერთი პასუხი გააჩნია: ასე იმიტომ ხდება, რომ ოდითგანვე არსებობენ მიშველაძეები. ამიტომაცაა ადამიანში ამდენი სიბოროტე და ლიქნი, ამიტომაც არსებობენ მარადიული შეროსტრატები! ამიტომაც ინგრევა „ხელთუქმნელი ტაძრები“ და იღვრება სისხლი! სწორედ მიშველაძის მსგავსი მასწავლებლები ზრდიან კანს და უწამლავენ სისხლს ადამიანებს!

ამიტომაც, მიშველაძე, კითხვა შიგნითვე უნდა ჩაიბრუნოს! თუ მისი კითხვა პირს უკვე ამოცდა და გარეთაა, მაშინ ერთი ადგილიდან შეიტრიალოს შიგნით, საკუთარ ველურ, უბნელეს, აყროლებულ ჯურღმულეებში!

მიშველაძე ხომ გახლავთ პროფესორი და პედაგოგი? იგი უნივერსიტეტის ლექტორია! იგი ხომ წერდა წიგნებს და სტუდენტებს ძალით აიძულებდა ეყიდათ, ეხელმძღვანელათ მისი „ნაშრომებიდან“? აი, ბატონო, მისი „კრიტიკული მონოლოგები“:

„ამ ორმოცდაათი წლის წინათ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მუშა ხალხის ხელისუფლებამ გაიმარჯვა (ლენინზე, პროლეტარიატზე, კომუნისტურ რეჟიმზე) საუბარი-ჯ.დ.). ახალ-ახალი პროლეტარული კულტურის (როგორ წარმოვიდგინოთ „პროლეტარული კულტურა“-ჯ.დ.)... მიუხედავად ზოგიერთი უცხოელი „გულშემატიკერების“ შემოტევისა სოციალისტური რეალიზმი ერთადერთ სწორ მეთოდად, მიმართულად რჩება. ჩვენი ხელოვნების მთავარი ამოცანაა მასების კომუნისტური აღზრდა (რასაც აწარმოებდა მიშველაძე გუშინინ, გუშინ და, თქვენ წარმოიდგინეთ – აწარმოებს დღესაც)-ჯ.დ.). კომუნისტის მოქალაქის მორალურ-ეთიკური პრინციპების ჩამოყალიბება და განმტკიცება, კომუნისტური აღზრდა ზოგიერთი ნიჰილისტის ყურს, ცოცხა არ იყოს, ეხამუშება. კომუნისტები დედამიწის ყველა კუთხეში მცხოვრები ადამიანებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მულჩაუხრელად და მტკიცედ შრომობენ სანუკვარი მიზნის – კომუნისტის აშენებისთვის. ჩვენი (საბჭოელთა-ჯ.დ.) ამოცანა გულისხმობს ადამიანთა შორის რეკლუციური სულისკვეთების, საბჭოთა პატრიოტიზმის, კოლექტივიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების დანერგვასა და განვითარებას. წლები, რომლებიც დღემდე გამოვიარეთ (პროლეტარებმა, კომუნისტებმა, ბოლშევიკებმა)-ჯ.დ.) რევოლუციური რომანტიკისა და ომების ეპოქა იყო. ეს გახლავთ გრანდიოზული ოქტობრის რევოლუციის, ორი ყოვლისშემძვრელი ომის, დიადი ხუთწლიების ეპოქა... ჩვენი თანამედროვის ფსიქიკაში კოლექტივიზმისა და ინტერნაციონალური იდეების დანერგვაში ფასდაუდებელი წვლილი საბჭოთა მწერლების ისეთი საეტაპო ქმნილებებია, როგორებიცაა: ა. მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა“, მ. სევეტლოვის „გრენადა“, გ. აჟაივის „მოსკოვიდან დაშორებით“, ლ. ქიჩინის „გვადი ბიგვა“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და სხვა. ყველა ჩვენთაგანს ბავშვობიდანვე გვყავდა ეს თუ ის ლიტერატურული კერპი. საბჭოთა ადამიანთა ახალ-ახალი თაობები ყოველთვის გაიზრდებიან ჩაპაივის, პავლე კორნაგინის, ზოია კოსმოდემიანსკაიას მაგალითებზე“.

მიშველაძე შემდგომ და შემდგომ „კრიტიკულ მონოლოგებში“ (გვ. 39, 40, 41) ეშში შედის და კვლავ ადამიანის დანიშნულება აინტერესებს. იგი, როცა ადამიანზე საუბრობს, სულაც არ ფიქრობს საკუთარ თავზე. იგი არ უღრმავდება საკუთარ „მე“-ს, რადგან საშინელი შიშის ზარი ურიკინებს ტვინში. ამიტომ, ცდილობს, ფილოსოფიურ ნიაღვრებს, თაღლითურ ხერხებს მიმართოს და კომუნისტურად გაჰყვიროს:

„რა არის ადამიანის დანიშნულება, რისთვის გავჩნდით და სად უნდა წავიდეთ? ხშირად „ადამიანობის“ ტიტულის მინიჭება სოციალური დიფერენციაციის ნიშნით ხდებოდა... არისტოტელე მონებს „მოლაპარაკე იარაღს“ ეძახდა (ისევე, როგორც მე შეიძლება მიშველაძეს ვუწოდო „კომუნისტური რუპორი ანუ იარაღი“-ჯ.დ.), ხოლო პლატონი „მხეტია ერთ-ერთ გვარეობად თვლიდა... ა. შოპენჰაუერი ფიქრობდა, რომ ადამიანი რობოტი არსებაა! ნიცშე თვლის, რომ ადამიანის მოქმედებას გონება კი არა, ინსტინქტი, ადამიანში წმინდა არაფერი არ არის. „უხერხული რამ ადამიანისათვის არ არსებობს, ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი დასაშვებია“. ო. შპენგლერს მიაჩნდა, რომ ადამიანი ყველა ცხოველზე უფრო მტაცებელია!“

P.S. რევაზ მიშველაძეს საქართველო თავის სამშობლოდ არასოდეს მიაჩნდა. ამიტომ ქართველ ხალხს, ერს, ქვეყანას ხშირად მოიხსენიებს „დაცვედნებულ“, „დადედლებულ“, „გამოთავყანებულად“. ამ მრუდე საქმეს თანდათან გაგაცნობთ!

ჯეჰალ დავლიანიძე

გაზეთ „სავალ-დასავალში“ (38, 2009 წ., გვ. 10-11) დაბეჭდილია ვრცელი ინტერვიუ მიშველაძესთან და მსხვილი ასოებით სათაურდება: „ქართველი ერის გამოთავყანების 5 ნიშანი“:

მიემართავ მიშველაძის გულშემატიკერებს, რომლებიც ათასგვარი ხერხით ცდილობენ – აღარ დაიბეჭდოს ჩემი წინამდებარე წიგნი!

ბატონებო, ძე-ხორციელს ოდესმე თუ ეპატიება მთლიანად ქართველ ერზე ასე მკრეხელურად ლაპარაკი? შეიძლება ამ არარაობამ ასე ლანძლოს ქართველობა?

ჩინებულად იქცევა „სავალ-დასავალის“ რედაქცია, რომ მიშველაძის ყბედობას ბეჭდავს. აბა, სხვაგვარად, როგორღა უნდა ვამხილოთ ეს უსინდისობის უფსკერო ჭური?

მიშველაძე ხსენებულ ინტერვიუში, ჩვეული თვალთმაქცობით ცდილობს მიედაროს მუხრან მაჭავარიანს, ჭაბუა ამირეჯიბს, გურამ დოჩანაშვილს და იმუქრება – ჩემთან რომ მიხელო სააკაშვილი მოსულიყო სტუმრად, სხვაგვარად, მამაცურად დაგზავროს, კუდი თქვას ვასროლინებდი... სააკაშვილმა „ჩემთვის რომ გული ეტკინა, გააუქმა უნივერსიტეტი ილიას, აკაკის და ჩემს მიერ დაარსებული გალაკტიონის და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები“-ო.

შემდგომ კი აშენათებს დიდ პოეტს, მუხრან მაჭავარიანს (რომელიც ადრეც მრავალჯერ ჰყავს გალანძული!):

„თავისი საყვარელი პოეტისაგან ქართველი კაცი მეტ გაბედულებას ელის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს... მე პირდაპირ კაცობაზე ვდებ თავს (არ გიკვირთ, ბატონებო, მიშველაძე რომ კაცობაზე ლაპარაკობს?-ჯ.დ.), რაზეც ახლა ვლაპარაკობ, უნდა თქმულიყო“.

მერე, მიშველაძე, უკვე საქართველოს ლანძლვა-გინებაზე გადადის:

„მე ახლა დაგისახელებთ ქართველი ერის გამოთავყანების 5 ძირითად ნიშანს“. „თუ როგორ გამოთავყანა სააკაშვილმა ქართველი ერი, შესაძლოა უსაშველოდ გავრძელდეს“.

ამ „წინასწარმეტყველებაში“, როგორც მრავალჯერ, მიშველაძეს აშკარად ქვეშ გაუვიდა... უფრო უარესი თუ არა, ქვეშ ნამდვილად ჩაიფსა! მისი სიხარული: ერი გამოთავყანა, სააკაშვილმა დედა უტირაო, არ გამართლდა და ქართველმა ხალხმა ნაცმოდრობა მმართველობიდან მოაცილა!

გამოთავყანა თვით მიშველაძე, რომელიც ამავე ინტერვიუში ამაყად აცხადებს:

„ერთადერთი ეროვნული ძალა, ვისიც მე მწამს, ეს არის ლეიბორისტული პარტია!“

აქვე ისმის კითხვა: ქართველი ერის გამოთავყანებლად მიმჩნევი, თვითონვე ხომ არ გამოქლიავედა?

ბოლოს კი, მიშველაძე, აღმატებული ხარისხით აბოყინებს:

„ახლა თვალის მოხუჭვა, მოდუნება, გულგრილობა სიკვდილს ნიშნავს. ჩვენ ყველამ სათითაოდ უნდა ავიღოთ ხელში ქართლის ბედის გადაწყვეტის საქმე. მე ქართველი მწერალი რევაზ მიშველაძე განგამის ზარებს ვარისებო!“

სად, ბატონებო, სად არისხებს



„განგამის ზარებს“ ეს ქოსატყულა მიშველაძე?

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყოფითი საზრუნავით დამძიმებული მკითხველი ოდესმე მოიცლის და გულმშვიდად გადაფურცლავს წიგნს, რომელსაც ქართული პოეზიის ანთოლოგია ერქმევა.

ლიტერატურული პროცესების ცვალებადობა ეპოქალურ სურათს ქმნის. ქართული მწერლობის განვითარების გზას ამ მოვლენების მიუკერძოებელი ანალიზის გარეშე თვალყურს ვერ მივაღწევთ. მიღწევისა და წარუმატებლობის არსს ვერ ჩავენვებთ, თუკი მთლიანი შედეგი არ შევაჯამებთ.

მწერლებს მართლაც რომ გვეჩქარება, პოლიტიკურ ლაბირინთს ერთხელ და სამუდამოდ მშვიდობიანად დავაღწიოთ თავი. საზოგადოებასაც ეს სურს, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ინფორმაციული ნიადაგი ხშირად მცდარი შეხედულებების გავრცელება-დაკანონებას უწყობს ხელს – ცრუს სამართლის დამცველად წარმოვიდგინო, პატიოსანს კი ჩრდილქვეშ იმდენ ხანს ამყოფებს, მისი მოსაზრების სისწორეს დროის სვლაც ვეღარ ადასტურებს.

ავბედი 90-იან წლებშიც კი, როცა უკიდურესად მძაღრ ხარისხის ქალაქი ძნელად მოიპოვებოდა, მეოცნებე მწერლები ანთოლოგიის გამოსაცემად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, ცოტადღენ თანხას გაჭირვებით აკონინებდნენ, უშუქობის პირობებში დღესა და ღამეს ასწორებდნენ, ომში ჩათრეული საზოგადოებისთვის როგორმე სულიერი სარჩო რომ შეეთავაზებინათ. ამ ე.წ. ანთოლოგიებში ბევრი რამ სიდავო და ჩასაკირკიტებელია, მაგრამ მცდელობა ლიტერატურული მოვლენების ასახვისა იმდენად დაუძლეველ მუხტს ბადებს, მასთან მიმართებაში მრავალწლიანი ლოდინი, იმედგაცრუება და ფუჭი დაპირებები მართლაც რა მოსატანია!

სარისკო მცდელობასაც თავისი სარჩული უდევს საფუძვლად და, როცა ძნელბედობის ფაზი გარკვეულწილად ჩავლილია, ხარვეზის გამოსწორებას წინ რა უდგას?

ფაქტია, რომ ჩვენში მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ანთოლოგიის შედგენა, მით უფრო გამოცემა, გადაულახავ ნინა-აღმდეგობად იქცა.

ერთი ან ორი კერძო, პოპულარული ადამიანებით დაკომპლექტებული ჯგუფი თუ გაერთიანება რეალურ მდგომარეობას არ ცვლის. საქმის მოკვარახჭინებას სერიოზულ საქმიანობასთან თუ გავაიგივებთ, მაშინ ყველაფერი პირიქითაა. დილეტანტების ურდო საჭირო თანხას თავს მოუყრის, ხმამაღალ რეკლამასაც თავს დაევატყხენ, პოპულარულ მფარველებს დროულად მოიშველიებენ და „საქმე“ გააიარებელია – მორიგი ანთოლოგიის დაბადებას რიხითა და სიამაყით გვამცნობენ. გადაშლილი და გული გეთანადრება; ნამდვილი პოეტის გვერდით ვის არ გადაწყვიტებ! ოსტატებთან ერთად მოყვარულთა ლექსები მოურიდებლად ყელყელოვებენ. ამგვარი აღრევა, ჩვენი ბუნების სავალალო ხვედრისა არ იყოს, ლიტერატურული სივრცის დაბნელების ნაცადი ხერხია. ხშირად ნაცნობი კოლეგები ჩურჩულით შემომჩივიან, რომ მავანის მიერ გამოცემულ ანთოლოგიაში დაბეჭდვა სირცხვილისა და უხერხულობის გრძობას უჩენთ; ანთოლოგიაში შესავალი პოეტების ვინაობა წინდაწინ რომ ცოდნოდათ, თავად იქ მოხვედრავთ ხელს აილებდნენ და ა.შ. ე.წ. „ჩაკეტილი“ ტიპის ანთოლოგიებში მხოლოდ აღიარებული პოეტების ნაღვანს ვეცნობით. კითხვობს და გულის სიღრმეში შფოთავ: ნუთუ ახალი, თუნდაც ნაკლებ ღირებულ არაფერი შექმნილა? სიხარულის განცდა გენატრება.

მართლაც ასე ძნელია, ანბანს მისდო და მსოფლმხედველობისა და მიმართულების განუჩრეველად არცერთი ავტორი არ გამოტოვო, ვინც ქართულ მწერლობას შემოუერთდა? ასე რთულია, პირადი სიმპათია-ანტიპათია დროებით მაინც ჩაიხშო და თვალმისაცემ ტენდენციურობას გვერდი აუქციო?

მთელი რიგი პოეტების იგნორირებაში ვის ვეჯობებით?

მკითხველს, რომელიც ადრე თუ გვიან ღირსეულ შემოქმედს თავისით მიაგნებს?! წესით, ანთოლოგია ამ უმადური, შრომატევადი და ურთულესი საქმის გასაადვილებელი საშუალებაა. ჩვენ კი რა მოგვდის? დაუძლეველი ჯიბრითა თუ სხვისი კარნახით მავანთა მიერ იდეალურად

რად ორგანიზებული სიყალბის ხაფანგში უყოყმანოდ ვებმებით. არადა, წესითა და რიგით, ქართველი მწერლებისა და მკითხველების ინტერესის დასაკმაყოფილებლად ანთოლოგიის გამოცემა წყვილადის გაჩირადდებას უტოლდება.

ნიჰილისტები ყბადალებული პროფესიონალიზმის სპეკულირებით გადიან ფონს. რეკლამის მიღმა ხელშესახებს არაფერს გვთავაზობენ; მათ მიერ შემოსაღებული „სიახლე“ სინამდვილეში მყვირალა სიცარიელის გამოძახილია; ე.წ. ანთოლოგია ვინრო კლანური „შედეგების“ უცვლელი გადამღერებაა, რაც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ერთხელ მორიგი ანთოლოგიის გამომცემელმა დიდად შეიცხადა ჩემი ლექსების გარდა ოცამდე ავტორის მხატვრული ნაწარმოებები რომ შევთავაზებ. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ

ანთოლოგია ჩემი და სხვათა

როგორღაც დამთანხმდა და ნანერს გაცნო. ბოლოს კოლეგიალობის გამოვლენისთვის ცალყუბად შევაქო და ყველაფრის გამოკვეცნებას შემპირდა, თუმცა, დაუძლეველი ეკონომიკური კრიზისის გამო ნამოსწყებული საქმე უვადოდ შეფერხდა. ჩვენში ხომ, რაც ეროვნული კულტურის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს უქმდება, ჩერდება, კოტრდება, იძარცვება და ა.შ. განუითხაობას ბოლო არ უჩანს.

სხვა ანთოლოგიის შედგენისას იმდენად შორეულმა ნაცნობმა გამიხსენა, გავოგნდი, მაშინ, როცა ჩემთან დაახლოებულ კოლეგებს კრინტივ არ დაუძრავთ. რედაქციაში თავისი ნაწარმები უხმარო ოპერატიულობით მიარბენინეს და სანეტარო მოლოდინით ადვსილინი მოსალოდნელი პოპულარობის ხიზლს წინასწარ მინებდნენ. ვაი, რომ იმ ანთოლოგიაშიც ვერ იხილა დღის სინათლე! ზოგიერთმა რამდენჯერმე დამირეკა, ანთოლოგიის თაობაზე შთამბეჭდავად მესაუბრა, თუმცა, ლექსების გადაცემის თარიღი რომ მოახლოვდა, ისე უკვალოდ გაუჩინარდა, თავგადასავლებით მოყვარული სიმართლის გასარკვევად დეტალები დაქირავებასაც არ დაიზარებდა. მივინყებულ ამბებს იმიტომ ვამზეურებ, ჩვენში ფესვაგადგმულ აზროვნებას კუთვნილი მივაგო: უმეტესად რის გაკეთებასაც მოვინაძინებთ, თუ ჩვენს პირად ინტერესს არ თანხვდება, საქმე დაუმთავრებელი ლაქლაქის იქით არ მიდის. ამასობაში ფარისევლურად მოვთქვამთ და ჩვენს მიკერძოებულობას ვის (ან რას) აღარ ვაბრალებთ! ეკონომიკური კრიზისის მოშველიება სწორედაც ხელსაყრელ კოზირად იქცა. ოდესმე ყველაფერი თუ მოწესრიგდება, მეექვსეა, ესოდენ მომგებიან კოზირს ნებაყოფილებით შეველიოთ! არადა, სანამ ჩვენი ხელმოცარულობას ეჭვიდებით, ოვალბის ტიპის ანთოლოგიათა ზვინი თვალსა და ხელშუა იზრდება!

ანთოლოგიის განხილვის დროს გამომცემლის გემოვნება თავსატეხად თუ გექცა, ავტორის ნაწარმოების შეფასებას ვინ დაეძებს, როცა შესაბამისი დასკვნის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. შედეგების გვერდით უსუსური ნაცოდვილარის მოთავსება უხერხულობაზე მეტად სამართლიან პროტესტს აღძრავს: ვის განუმარტავ, რა გამოძრავებს, როდესაც საუკეთესო მხატვრული ნიმუშების გასაქარნებლად უზადრუკ ნაჯღანს აიფარებ? დახარისხების გაუკუღმართებულ მეთოდს რის დასამტკიცებლად იყენებ?

როგორც ჩანს, თანამედროვე „ეფექტის“ საიდუმლო საგანგებოდ შემოტყუებული კონტრასტის გამოყენებით იქმნება.

მთავარი თვალისმომჭრელი რეკლამაა, გენიოსს რიგით შემოქმედთან რომ „ათანაბრებს“, უარეს შემთხვევაში კი ტიტანებს ისე უბოდიშოდ ჩამოიტოვებს უკან, სინდისის ქენჯნასაც არავინ განიცდის. ამ გარემოებას შერჩეული ლექსების რაოდენობა ააშკარავებს: სახელოვანი პოეტის მემკვიდრეობა მოკრძალებულად ბრწყინავს, მაშინ, როცა ვიღაცის ფავორიტის „შედეგებს“ წიგნში გვარანი სივრცე მიურობებლად დაუპყრია. ძნელია, ცდუნებას სძლიო. ზომიერება აშკარად გვლავლავს, როცა ჩვენივე ნაწარმის გასწვრივ ადგილი სხვის ნამუშევარსაც უნდა და-

ვუთმოთ, მაგრამ წესი წესია – თუ ამგვარ დარღვევას ბოლო არ უჩანს, ჩვენი პატივმოყვარეობის საცეცი მკითხველზეც გამაღიზიანებლად მოქმედებს. მეტრებისადმი პატივისცემა მოჩვენებითია. ამაზე თავად ტექსტი გაჰყვირის. კლასიკოსების სხოვნას პატივს მივაგებ, მაგრამ საკუთარი შემოქმედების დარდს უფრო მკლავს. თავის დასამკვიდრებლად ავტორიტეტებით მანიპულირება ხელოვანებმაც შესაშური გულმოდგინებით აითვისეს.

ამდენად, ტრადიციისადმი ერთგულეობა ეფემერულია და უფრო პოლიტიკას მოიცავს, ვიდრე სინამდვილის ასახვის მოთხოვნილებას ემყარება. თანმიმდევრობის პრინციპი დარღვეულია: კლასიკოსს თავისი სიმალლე ახლავს. დანარჩენებმა თავისი ადგილი უნდა დაიმსახუ-

რონ. ანთოლოგია პროფესიონალისა და მოყვარულის გამიჯნავ საზღვრის დასადგენად უნდა შევადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი უწესრიგობისა და სიყალბის გამოხატულებად გარდაისახება. რომ იტყვიან, გაურკვეველობა გაურკვეველობის ნილ დაბნეულობასა და იმედგაცრუებას ბადებს. მკითხველს როგორ ავუხსნით, ანთოლოგიაზე მუშაობისას გონება რამ დაგვიბინდა? უდროოდ გარდაცვლილ შემოქმედთა თემა ცალკე საკითხია. ფულიან და უპატრონო „გვამებად“ დახარისხება იმდენად მტკივნეული პრობლემაა, უმრავლესობა ამ ფაქტზე საუბრისგან თავს იკავებს, თუმცა „ყველამ ყველაფერი იცის“ – პატრონიან გარდაცვლილთა ტრიუმფის ფონზე მივინყებელი მიცვალებულების შემოქმედება ხელახლა იმარხება. ვინ უწყის, ყოველისშემძლე რეკლამის შადრევანში რომელ გარდაცვლილს „გააცოცხლებენ“ და დაინტერესებულ მკითხველს სარფიანად მიჰყიდიათ. ამგვარ მოვლენას რამდენჯერ შევსწრებოვართ, მაგრამ სიყალბის შესაჩერებლად არაფერი გვიღონია. გაანჩია, ვის რისი უნარი შესწევს.

ერთი რამ ცხადია, სატკივარის მიჩქმალვა ლიტერატურულ პროცესებს ამახინჯებს და არასასურველი კალაპოტით წარმართავს.

ანთოლოგია მწერლობაში მიმდინარე მოვლენების ამსახველი დოკუმენტია და ოდნავი გადაცდომა პირუკუ შედეგს იწვევს. არადა, თავისუფალი არჩევანის უფლება ერთ რამედ ღირს. მიუკერძოებლობის გარეშე მწერლობის მონუმენტური სივრცე შესწავლული დარჩება, მკითხველს კი საშუალება არ ექნება, საყვარელი ავტორი დამოუკიდებლად აირჩიოს ასე რომ, მხოლოდ ენციკლოპედიური განათლებისა და დახვეწილი გემოვნების მეოხებით ფონს ვერავინ გავა. საბოლოო ჯამში მკითხველს სიყვარულს ვერ გამოსძალავს, საეჭვო საქმის მოკვარახჭინება ერთია, ქართულ მწერლობაზე ზრუნვა – მეორე. ნაყალბევი ტაშის ანატომია ცალკე თემაა და აქ არ მიმოვიხილავთ.

მკითხველსაც და მწერალსაც მიუკერძოებელი ანთოლოგია სჭირდება, „ციდან ჩამოვარდნილ“ მედროვესა და მოკრძალებულ შემოქმედს უნარის გამოსავლენად თანაბარ პირობებს რომ შეუქმნის. ეს გარემოება საყოველთაო უნდობლობასაც გაფანტავს და გარკვეულ ოპტიმიზმს ჩავგისახავს, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდეთ, რომ გაყალბების ეპოქას სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ.

დაე, მკითხველმა პირუთვნელად განსაჯოს, ვინ რისი შემძლეა და ვინ დაფნის გვირგვინსა თუ პროტესტის ნიშნად ახმაურებულ ტაშს იმსახურებს.

22.VI.2009

P.S. წერილი დავასრულე და გავიგე, რომ ანთოლოგიაზე მოფიქრალ ერთ მწერალს გაზეთში დაუბეჭდავს: თანამედროვე ანთოლოგიის დონეს გალაკტიონი კოჭებამდეც ვერ მისწვდება. ეს ამბავი ალ. ორბელიანის სალონში გახმაურდა. დაცდილი მაქვს, ჩემი სტუმრობისას ამ მშვიდობისმოყვარე (სტუმართმოყვარე

იქა ქალაქიძე

უფრო უპრიანი) დარბაზში გასაოცარი ამბები ხდება.

დამსწრე საზოგადოებას აღშფოთების ტალღამ გადაუარა. ბუნებრივია, ყველამ ამ მკრეხელური მოსაზრების ავტორის ვინაობა იკითხა. ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ ეს სკანდალური გამონათქვამი მორიგ უწვევულს ეკუთვნოდა – სადღეისო პოპულარობის მოსახვეჭად გალაკტიონი ხომ წრეგადასული პატივმოყვარეობით გამორჩეულ შემოქმედთათვის უცვლელი სამიზნეა. ჩვენც მივეჩვიეთ, რომ „ახალ გრანდებს“, უპირველესად, პოეზიის მეფეზე მიაქვთ იერიში.

მაგრამ იმედი გავიცრუვდა: არც მეტი, არც ნაკლები, ამ გაუმართლებელი შეხედულების ავტორი აღიარებული პოეტი გამოდგა. ქართული ანდაზა ლაღადებს: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ვინც ჩემზე მეტს ინველიდეს“-ო. ხალხური სიბრძნე ამას შთაგვაგონებს. ჩვენში რატომღაც ჰგონიათ, რომ სახელმწიფო პრემიების კოლექციონერობით მოიპოვებ უზენაეს უფლებას. ყველას ზემოდან ქედმაღლურად უცქირო და სამარცხვინო განცხადებებით პრესა და ტელევიზია შეაზანზარო. ბოლოს და ბოლოს, რა გვჭირს, რომ უმინაწყო ქვეყანაში გენიოსების სისხლის ხარჯზე თავი არ გამოვიჩინოთ? სხვა თუ არაფერი, უხერხულია. ორიოდ წიგნი ჩვენც წავგიკითხავს და პოეტების კლასიფიკაციას კიდევ ვახერხებთ.

სანამ „გენიალური“ ანთოლოგიის იდეას ხორცს შეასხამდეთ, მკითხველის აზრი გაითვალისწინეთ.

გალაკტიონის გენია ყველა პრემიას აღემატება და ეს ღვთის ნების გამოხატულებაა, თორემ, ზოგ პოეტს რომ ჰკითხოთ, თანამედროვე მოთხოვნებს მხოლოდ ის კატეგორია აკმაყოფილებს, პრემიებს სათავისოდ რომ გამოიწერს და ჩინ-მედლებით დამშვენებული მკერდი ნიკოფსიოდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველი ჰგონია!

20. 2009 წ.

P.P.S. ახლახან, მწერალთა კავშირის ყალბი ყრილობის შემდეგ, ხელმძღვანელობამ „ოპორტუნისტების“ შენიშვნა ყურად იღო და ანთოლოგიის გამოსაცემად გამაღებულ სამზადისს შეუდგა. ეს ამბავი ოპორტუნისტებს არ გააგებინეს, აქაოდა, კეთილი ინებეთ და თვითონ შეგვანუხეთ, თუ არადა, კისრე გიტყვიანთ. თანამებრძოლებმა უფროსობის ულტიმატუმის შესახებ ინფორმაცია მომანოდეს და მიჩიქეს, ჩემი ლექსები იმ გამომცემლობაში მიმეტანა, სადაც თავისზე უფროს მწერლებს დაუფარავი ცინიზმით აწყვეტინებენ სათქმელს: მაგალითად: გაჩუმიდით, ქალბატონო, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ, ტელეფონზე ვსაუბრობო!

ანთოლოგიის შემდგენელი ამ ფრაზის თანხლებით წინამძხვარ კოლეგას (სხვათა შორის, თავისზე ასაკოვანს, მანდილოსანს ამავდროულად) ზურგს აქცევს, ხოლო ავტოგრაფით მირთმეულ წიგნს შეხედვის ღირსადაც არ ცნობს, თუმცა ინტერნეტში ანთოლოგიაში დასაბეჭდად ყველას გულმოდგინედ ეპატივება.

დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდია.


მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა სანაქებო კურსს ოდნავაც არ ცვლის და, ვინც გულზე ეხატება, მხოლოდდამხოლოდ იმ მწერლებს ელოლოვავება. ამ ანთოლოგიაში დაბეჭდვას საჯაროდ უარს ვაცხადებ! 120 ენაზეც რომ ითარგმნოს და მსოფლიო ბაზარზე წარმატებით გაიბრწყინოს (პოლიგრაფიული დონე უეჭველად შთამბეჭდავი იქნება!) არ მინდა ჩემი სახელი და გვარი იმ მწერალთა გვერდით ამოვიკითხოთ, ვინც ეთიკასთან მწყრალად არიან და შემოქმედთ კასტური კატეგორიის მიხედვით ახარისხებს. ჩემი მოსაზრება ახალი წიგნის წარდგინებაზე დაუფარავად გამოვთქვი და, თუ მაინცდამაინც ხალხის გულის მოგებაზე ზრუნვა ესოდენ საჭირობოტოა, სულ მცირე, დამსწრე საზოგადოების მხარდაჭერა ერთმნიშვნელოვნად მოვიპოვე.

მკითხველიც გაითვალისწინეთ, კოლეგებო! მართალია, მას ანთოლოგიაში ვერ გამოამწყვევ, მაგრამ სალად განსჯის უნარი ჯერ კიდევ შესწევს და კარგად არჩევს, ვინ რას ეპოტინება! ■

ის მიუახლოვდა მითებს და მითებმა „იცნეს“ იგი. კ.ა.

ორი მზის მისტერია

თამაზ ჩხენკელის ხსოვნას



რა საოცარი სამყაროა: დროში – დრო, მითში – მითი, მოვლენაში – მოვლენა! და ცაზე „ორი მზის დგომა“! ბეჭიდან ამოსული მთვარე „ვეშაპის ნაჩუქარი“ ჯაჭვის პერანგი, წყალს რომ მოაქვს და თავადაც წყალივით იღვრება... ქაჯების ხელით „ნალმა-უკუღმა ნაქსოვი სამოსელი – „ბე-ბერათ ქსელაებრ“ საფარველს რომ სდებდა ხოგაის მინდიას!..

მეც შევედი და გავედი ამ სამყაროში: ხოგაის მინდიასა და თორღვა ძაგანის თემში, მისტიკურ, საკრალურ დროთა სა-უფლოში...

შევედი და გავედი... ზოგჯერ რალაცას ვნერდი, ზოგჯერ ხელცარიელი ვბრუნდებოდი...

ბოლოს, როდესაც შევედი, „იქ ჩავრჩი“... რალაცა გამეხსნა, რალაცანიარად „მიცნეს“ კოპალა-იასხარის და ბერი ბაადურის საყმოში მდგარმა ნიშებმა,

ციხე-კოშკებიდან, „მზის ტაძრებიდან“ ჩამოცვენილმა ქვებმა... და თავისთან (იქ) დამტოვეს...

რა თქმა უნდა, ეს სრულიად ცალკე თემაა, მაგრამ მე ეს მაცნობს: თამაზ ჩხენკელმა, ამ დიდებულმა არისტოკრატმა, ქალაქში გაზრდილმა „ორაკულმა“, როდის და როგორ შეძლო ფხოვის მითთა ნიაღში, ანუ საკრალურ დროში შეღწევა?! მე 30 წელი ვუძღვებოდი აქ, ამ ხეობებში, აკადემიის მთიანეთის შემსწავლელ ექსპედიციას: დავდიოდი მწერალთა კავშირისა და კინოსტუდიის მივლინებებით: სცენარის ან ნიგნის დასაწერად... ვესწრებოდი არქეოლოგიურ გათხრებს ჟინვალში – ფხოვის კართან... ვხედავდი, როგორ იძირებოდა ისტორია წყალთა წარღვნაში, ანუ ქადაგის ენით თუ ვიტყვი – „სიმურში“ – რომელსაც ქვესკნელში ჩაჰქონდა „მზის ტაძართა“ და წინაპართა „გარეცხილი ძვლების“ მუსიკა.

მაგრამ მან, ბატონმა თამაზ ჩხენკელმა, როდის მოვლო ეს სამყარო, როდის „შევიდა და შეიცნო“ ის, რაც შეიცნო და იცის: რომელიც დგას მისი იდუმალი მისტიკური ნიგნის – „მშვენიერი მძლევარის“ – „პალატათა“ შიგნით...

მე ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი ამ ნიგნს, ახლა, ამ დროში და სახტად დავრჩი! – როგორი ახალი, თანამედროვე და, მეტიც, ხვალინდელი ხედვაა... ჩვენთან არ ვიცით, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ! არც ვცდილობთ, რომ ვიცოდეთ! ეს არც სემიტი, არც ბერძენ „აქაველს“, არც სომეხს, მით უფრო, არც რუსს, არც მასონს არ აინტერესებს: არავის სჭირდება სხვისი (ცივილიზაცია, რომელიც „ხელს უშლის“...

ბატონმა თამაზმა იცის (და იცოდა), ვინა ვართ და საიდან მოვდივართ: იგი მიწვდა „ნოეს კიდობნის“ განძს, რომელიც „დამარხულია“ – ფხიტუს, კარატეს, ცროლის, ანატორის, მუცოს იდუმალი „მაგენდავითის“ რკალში: მან ჩამოიტანა „ფხოვის მზეთა“ ნათება: „დღე-დღესინდელის“ „გამწყრალი“, ზოგჯერ „დამცხრალი მზის“ შუქი, ამიტომაც იგი უცნაურად, შიგნიდან, „გაბრწყინებული“ დადიოდა დედაქალაქის ქუჩებში...

ახლა ვგრძნობ ამას და ვნანობ – მაშინ რატომ არ ვიცოდი და არ ვიცნობდი მის „გველისმჭამელისებულ სევდას“, რომ ახლოდან შემეცნო იგი... მე ვერ მოვასწარი ბატონი თამაზის მოწვევა საპატრიარქოს რადიო „ივერიაში“, რომ ჩამენერა და გვესაუბრა იმაზე, რაც მას ჰქონდა „დამარხული“ სულის „ლიბიდოში“, და ისე წავიდა, რომ მე მას „სულთნაკრეფის“ „რძისცვრიანი“ ჯამები ვერ დავუდგი... („ვნანობ და როგორ მენანება... ჩემი ნაქმარი... ლექსი ჩემს მიერ მოგონილი „ქვებზე გამრჩალი“, როგორც თილისძის ტალავარი სისხლში გამშრალი“...“.

... ხოგაის მინდიას მხოლოდ რძიან („მზისცვრიან“) ჯამს უდგამდა დედამისი „გაუცხოვების“ (მარხულობის) ფამს... რძე უსისხლო (მცენარეულ) საკვებად

ითვლება ფხოველთა (ხევსურთა) ანდრე-ზული ცოდნით: სწორედ ამიტომ დგამდნენ რძეს (ანუ „მზის ცვარს“) სულთა სამარხვო ტაბლაზე... რძე „(მ)ზისცვრად“ იწოდება ხევსურეთში).

რძე მზის შუქის მონაწიურია, მზე – „ზესკნელისა და ქვესკნელისა“ – გადის ფხოვის საკრალურ დროში, მაგრამ ზოგჯერ „ორი მზე“ დგება ცაზე (ერთად) და ეს სულ სხვა მოვლენაა: კოსმიური კატასტროფის ნიშანი!

თამაზ ჩხენკელმა დაინახა მზეთა მოძრაობა ფხოვის ცაზე და „ორი მზის“ დგომაც და „მზე-წვეროვანიც“, როცა ადამიანები ჩერდებიან და წყვეტენ ყოველგვარ საქმეს... „დიდება მზესა – მზის მყოლთა ანგელოზთა!“ – ხუცობენ ისინი...

დიდება დღესა დღესინდელსა, დიდება დიდს კვირასა ღვთის კარზე მოკარგესა!!! – ხუცობენ ისინი...

ეს საკრამენტული ტექსტი საკრალური ცოდნის ღერძია, რომელიც საყმოს სივრცეზე მდგარ ასტრალურ მოვლენას ასახავს და „მზის ტაძართა“ რიტუალზე აღესრულებოდა... მზე „დღესინდელი“ დღეა! მზე უფალია! „მზე უფლის ბრწყინვალეობა“ – დმერთი ვარსკვლავთა ელვარებაა – ასეთი განმარტებანი ფიგურირებს სოლომონის ტექსტებში...

ხოლო კვირიაე ქრისტეა, რომელიც „კარავს დგამს“ ხვთის კარზე: ანუ მამა ღმერთის გვერდით! ... თამაზ ჩხენკელმა, დროთა ახალმა მედიუმმა, ფხოვის „ანდრეზთა სახლებთან“ – ნიშებთან და „ზიკურატებთან“ – დადგა თავისი „კარავი“ და აქედან უჭერიტა იმ სამყაროს; „ამ კარვიდან“ გარეთ გამოსული ზოგჯერ ჩრდილსაც კარგავდა (ხოგაის მინდისებრ!), რადგან „ორ მზეზე“ დგომისას ჩრდილი ქრება (!) და ზოგჯერ „ჩრდილდაკარგული“ მოძრაობდა ქალაქის გახუნებულ ქუჩებში...

... უეცრად რალაცას იგრძნობდი, გაიხედავდი და თამაზ ჩხენკელი გედაგა შორი-ახლო: გაუცხოებული, პალიმფსესტური – ეტრატული სახით, მისი მზეთა გაჩერებდა... მე მაშინ არ ვიცოდი, რატომ იყო ის ასეთი, ახლა ვგრძნობ და ვიცი!..

... თამაზ ჩხენკელმა, დროთა ახალმა მედიუმმა, ფხოვის „ანდრეზთა სახლებთან“ – ნიშებთან და „ზიკურატებთან“ – დადგა თავისი „კარავი“ და აქედან უჭერიტა იმ სამყაროს; „ამ კარვიდან“ გარეთ გამოსული ზოგჯერ ჩრდილსაც კარგავდა (ხოგაის მინდისებრ!), რადგან „ორ მზეზე“ დგომისას ჩრდილი ქრება (!) და ზოგჯერ „ჩრდილდაკარგული“ მოძრაობდა ქალაქის გახუნებულ ქუჩებში...

... მზის ბუდეში შესვლა და გამოსვლა ცვლის სამყაროს მდგომარეობას და, ფხოველთა რწმენით, გვიყენებს მომავალი წლის (ჯერ არდამდგარი დროის) პროგნოზსაც: „სითბოთი ბუდეში შესული მზე გვაუწყებს, რომ გაზაფხული გრილი და მქსინვარე იქნება“...

მზე მიგვანიშნებს იმაზე, სამყაროში რაც იყო და რაც უნდა იყოს... ხოგაის მინდის სიკვდილის დროს ცაზე „მზე ნითლდებოდა, წყდებოდა“ ან „ორი მზე“ იდგა! „ორი მზის დგომა“ და „ნითელი მზის“ დგომა ხევსურთა რწმენაში: სამყაროში მოვლენათა საბედისწერო ცვლაზე მიანიშნებს. ასეთი მოვლენაა ხოგაის მინდის სიკვდილი, რომელიც ერთიანი თემის (საყმოს) ტრაგედია იქცევა...

თამაზ ჩხენკელი თავის კვლევაში წერს: „ხევსურულ ლექსებში „მზის შუქის ჩაბრძანებად“, „ვარსკვლავის მანილვად“, „მზის უკუღმა ჩახლომად“ განიხილება კაცის სიკვდილი... „მზეო დადევ და დავიანდო, მზე სდგებარ უქენობისაი“...

ამ ხევსურული ნატირალით (რომლითაც შვილს დასტირის დედა), ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „მზე ღმერთის“ ქვესკნელში ჩასვენებას მისტირიან ქალები“...

„მზე ნითლდებოდა, ცხრებოდა: ხოგაის მინდი კვდებოდა, ჩამოდიოდა ვარსკვლავი, მთვარე უღულმა დგებოდა“ – ხოგაის მინდის ამ ლექსში ასტრალური ღვთაების გარდაცვალებასთან დაკავშირებული, ციური სხეულების ქვესკნელს ჩასხდომის გრანდიოზული სურათია გადმოცემული! „დამცხრალი ნითელი მზე“ მკვდართა მზეა და „უკუღმა მდგარი მთვარეც“, უნდა ვიგულისხმობ, რომ ქვესკნელს ჩასახდომად არის გამოზადებული“...

„ორმზიანია“ ხევსურული მითოსის მინდიც და ეს „ორი მზე“ – ზესკნელისა და ქვესკნელის, ცოცხალთა და მკვდართა, ზაფხულისა და ზამთრის, დილისა და მზის მზეა“... თრაკიელთა და პამფლაგონიელთა წარმოდგენით – გაზაფხული დაბრუნება ან გამოღვიძება, შემოდგომა – წარხლო-მა ან მიცვალება მზე-ღმერთისა;

სვანურად შემოდგომას „მუჟქვერ“ – „მზის წასვლა“ ჰქვია.

ორფოსელთა რელიგიის თანახმად (რომელიც მცირეაზიური წარმოშობისად იგულისხმება), ზაფხულის მზეში ღმერთი ცოცხლად არის დავანებული... ზამთრის მზე, რაკი იგი მკვდართა საუფლოშია წასული, ცოცხლებს თავის ორფულს უტოვებს – იგი უნათებს როგორც ცოცხალთ, ასევე მიცვალებულთ!

თრაკიელებმა, განსაკუთრებით კი ჰეროდოტეს მიხედვით „თრაკიელმა გეტებმა, რომელთაც „სწამდათ სულის უკვდავება“ – იცოდნენ, რომ იგი დიდებით ეფინება ნეტარ სულებს“...

აი, თამაზ ჩხენკელისეული ანალიტიკური სენტენციები!

...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თემა ურთულესი მითოლოგიურ-თეოლოგიური თემაა და აქ თამაზ ჩხენკელი შესანიშნავად ფლობს მოვლენებს. როგორც „თევზი წყლიდან“, ისე ხედავს მზისა და მთვარის დგომას არა ოდენ ქართული, არამედ მსოფლიო მითოსის საკრალური დროის ცაზე...

იგი შესანიშნავად ხედავს „დროში შედედებულ“ მოვლენებს და მოჰყავს პარალელები და ანალოგიები ბერძულ-შუმერულ-ეგვიპტურ-ხეთურ-თრაკიული მითოსიდან და რელიგიური წარმოდგენებიდან, რაც მჭიდრო კავშირშია კოლხური-იბერიულ-კავკასიური რასის ცივილიზაციათა შორეულ ფესვებთან...

...

აქვე უნდა დავძინო, რომ ხარი და ცხენი მზის იმაგინალური ხატია ქართულ მითოსში: ხახმატის ჯვარს ქაჯავითიდან მაღალრქიანი ხარის და ძროხის ნახირი მოუდის: „მოაქვს „ცალა რქა“ ხარის სანყაურიც; („სულეთს ხარი ხნავს ცალარქა“) რომელიც ერთ ჩხუტს იტევს და სალუდე ქერი იწყება! გერგეტი (გერგ-გეორგ) – საკრალური მწვერვალია, რომელსაც პირველად შემოადგება დილის მზის შუქი. აქედან ჩამოვიდნენ ხვთიშვილნი ფხოვის საყმოში და დაიჭირეს „დევე-დედაბერთა“ ადგილები...

ცხენი მზის საკრალური ცხოველია იბერთათვის (მათ ცხენებით ვადალახეს იბერიის საზღვრები და ინდო-ელსაც პირველად შევიდნენ ევროპის კონტინენტზე). ხევსურნი მიცვალებულს „სულის ცხენით“ მიაცილებენ სამზეოდან სულეთში, მას შუბლზე მრგვალ სარკეს უყენებენ ან ბორჯღალს, როგორც „მზის თვალს“ – მანამდე კი ცხენს „ნათლავს და აწმინდებს“ სულის ხუცეები! ეს უძველესი საკრალური-საკრამენტული რიტუალია, რომელიც დღემდე შემორჩა ფხოვის საყმოში...

ასევე „ათენგენა“ – ფხოველთა უძველესი საკულტო დღესასწაული, მზის რიტუალია! ფხოვურ „ათენგენას“ უძველესი დასაბამი აქვს, რადგან იგი „ბიბლიამდელი“ მოვლენაა და უძველესი თემის ჩაკეტილ-საკრალურ დროსა და სივრცეში ჩარჩა“...

ბატონი თამაზ ჩხენკელი სკრუპულოზურად იკვლევს ამ თემებს და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ როგორ „ბურთაობენ“ მზის ბურთებით გიორგი ნაღვარმშვენიერი და „კოპალა ლალი ლახტანი“, ასევე „ქრისტე ღმერთიც“ „ბურთაობს“ ბურბულეთის მთაზე“ (!!) და – მისი აზრით, „აქ ქრისტე მზის წარმართულ ხვთაებას ენაცვლება“.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საცრისოდენა თვალის, რომელსაც კოპალა „წამოს-თხრის დევს“, ასევე ცეცხლის და მზის სიმბოლო ჩანს, რაც მოვლენათა (რწმენათა და რელიგიათა) ცვლაზე მიუთითებს.

... ბატონი თამაზ ჩხენკელის შესვლა და „მოძრაობა“ ამ სივრცეში („მფრინავი ხატივით“) მოულოდნელი იყო იმ დროისთვის – ერთგვარ სტერილურ, ერთგვარ მითო-რელიგიურ ვაკუუმში... თუმცა მას ეს „ვაკუუმი“ ვერ „იჭერდა“: „გადიოდა“, როგორც მდინარე ცხრილში, ან – ნაქსოვ-ჯაჭვის პერანგში.

... ბატონი თამაზ ჩხენკელის შესვლა და „მოძრაობა“ ამ სივრცეში („მფრინავი ხატივით“) მოულოდნელი იყო იმ დროისთვის – ერთგვარ სტერილურ, ერთგვარ მითო-რელიგიურ ვაკუუმში... თუმცა მას ეს „ვაკუუმი“ ვერ „იჭერდა“: „გადიოდა“, როგორც მდინარე ცხრილში, ან – ნაქსოვ-ჯაჭვის პერანგში.

... ბატონი თამაზ ჩხენკელის შესვლა და „მოძრაობა“ ამ სივრცეში („მფრინავი ხატივით“) მოულოდნელი იყო იმ დროისთვის – ერთგვარ სტერილურ, ერთგვარ მითო-რელიგიურ ვაკუუმში... თუმცა მას ეს „ვაკუუმი“ ვერ „იჭერდა“: „გადიოდა“, როგორც მდინარე ცხრილში, ან – ნაქსოვ-ჯაჭვის პერანგში.

... ბატონი თამაზ ჩხენკელის შესვლა და „მოძრაობა“ ამ სივრცეში („მფრინავი ხატივით“) მოულოდნელი იყო იმ დროისთვის – ერთგვარ სტერილურ, ერთგვარ მითო-რელიგიურ ვაკუუმში... თუმცა მას ეს „ვაკუუმი“ ვერ „იჭერდა“: „გადიოდა“, როგორც მდინარე ცხრილში, ან – ნაქსოვ-ჯაჭვის პერანგში.

►► გაგრძელება მე-6 გვ.

მე-5 გვერდიდან

მან იცოდა უცხო კულტურები და მყი-სიერად მიწვდა ამ მოვლენებს, როგორც ბიბლიური ხილის ნაყოფს...

მან იცის გიორგი ნაღვარმშენიერი და „უხორცო გახუას“ შესვლის ანდრეზი ქა-ჯავეთში;

„გახუა მეგრელაურს „კბილ-სავარცხელ-ნი“ დაეძვენებინა: „სკივა (სკივი, ნაპერწკა-ლი) რამ შემოჩნდისო, ბურთს გვესრევიან-ნავ, თქვისავ გახუამავ, მერე განათდისავ ცის გიდელ-გიდელნივ (კიდე-კიდენი)“!..

ეს მისტიური ომის სურათია ქაჯებ-თან, რომელიც ერთგვარი ფსიქოტრონუ-ლი, ლაზერული იარაღის შთაბეჭდილე-ბას ტოვებს...

...

„დობილინი“, რომელიც მზის ქალღ-მერთის, ბარბარეს (იგივე ნანას), შვი-ლებს განასახიერებდნენ, ამომავალ ან ჩამავალ მზის სხივებს დაჰყვებოდნენ და მინდორში „ბურთის სათამაშოდ“ გადი-ოდნენ – ესეც მისტიკური ხილვაა, რომე-ლიც ცხადდება ფხოველთა საყმოში!

ქადაგის ენით (ხატის ენით), ხევსურთა საკრალური ენით ვაჟი „ოქროს ბურთია“ და მზეს უკავშირდება (ისევე, როგორც ბერძნულ მითში – ოქროსთიანი ჰელიო-სი).

...

მზე ღმერთია! კაცნი მზის შვილები, ანუ ღვთის შვი-ლები არიან!

„მზის წილის მფლობელს „ნაწილიანი“ ენოდებოდა, ხევსურთა ღრმა რწმენით, „ნაწილი“ ბეჭებს შუა ჰქონდა კაცს და იგი მზის ნათელს გამოასხივებდა“...

ნაწილიანს სიცოცხლეშიც და, მერეც, სდევნიდნენ გველნი, რომელიც ნაწილის წართმევას უპირებენ!“ – ბრძანებს თამაზ ჩხენკელი.

ეს მეტად რთული პასაჟია და შესაც-ნობად (ასახსენლად) არცთუ ადვილი: თუ გველს რატომ მიაქვს მზის თვალი, ანუ თვით გველი ვინ არის ამ დროს?

ეტყობა, იგი ქვესკნელის იდეალური არ-სებაა, „ვეშა წყაროდან“ (ანუ ვეშაპთა

წყლებიდან) გამოსული: რომელსაც სურს მნათობის შთანთქმა („გამოეშვა მთვარე გველსა“...).

„ნაწილს“ „მზის თვალთან“ ასოციაცი-ით „თვალის“ ენოდებოდა – „თვალი ჩასუ-ლა მტევანში“ – აქაც მზე იგულისხმება...

თამაზ ჩხენკელი დასძენს: „მზე და თვალი ერთიანი სუბსტანციის ორ პო-ლუსს წარმოადგენდა, რაც მიკრო და მაკ-რო კოსმოსების ურთიერთგანმსაზღვრე-ლი ერთიანობა იყო, სადაც კაცის ღმერთ-თან წილნაყარობის ოდინდელი თანაზი-არობის იდეა იყო გამოსახული!..

...

ხევსურთა რწმენაში ღვთისშვილინი ციდან ჩამოდიან და ხორციელთან კავ-შირში შედიან (როგორც „ანუნაკები“ შუ-მერთა მითში), ისინი ერთად მიდიან ქა-ჯავეთის დასალაშქრად და ა.შ. ე.ი. ხდება ციდან მოვლენილთა რამდენადმე „გამი-ნიერება“ („გამინიერება“)...

მაგრამ დგება შებრუნებული, ხორცი-ელთა ხვითურ რანგში გარდასახვის ჟამი: ამის ცხადი მაგალითია პირქუში, რომე-ლიც ფშავ-ხევსურეთის (ფხოვის) უძლიე-რეს სალოცავად იქცა! რაზედაც მიანიშ-ნებს თამაზ ჩხენკელი.

ზოგადად, ფხოვის საკრალურ სივრ-ცეში შედგებული მითები (ანდრეზები) მრავალ პლასტს და წახნაგს მოიცავენ და ურთულეს მოვლენად „ცხადდებიან“.

მითში პარადოქსული მოვლენანი ერ-თმანეთში დგანან: „და დიდი-მცირეს და მცირე-დიდის (უხილავი-ხილულის) სუბ-სტანციად გვევლინება!“

„უამნიც“ რწყილისხელა ვირებზე სხე-დან, ზოგჯერ ბურთის ფოთლებში იმალე-ბიან, მაგრამ დამანგრეველ, ხორციელ-თათვის სახიფათო ენერჯიას ფლობენ!..

მათ უპირისპირდება მხოლოდ გუდა-ნის ჯვარი და ხადუს „სამება“ და საყმოს გარკვეულ არეალში არ უშვებენ...

...

რამდენადაც რთული და პარადოქსუ-ლია აქ, ხევსურთა ცნობიერებაში სამყა-როს აღქმა, იმდენადვე მარტივად წარმო-იდგინება; ერთმა კითხულმა, რჯულის კაცმა ასეთი რამ მითხრა: კი, მაგრამ, ესენი მთვარეზე დაჯდომას რომ აპირებენ, მთვა-

რე წელიწადში 12-ჯერ რომ გაიღვავა და გაქრება, მერე რას შერებინ, ხომ ჩამოიყ-რებინ იქიდანო?! მთვარეზე რა გინდათ, აქ დაეტიეთ უფლის მოცემულ მინაზეო!

თითქოს ამ გულბრყვილო ხედვაში ქვეცნობიერი, ანდრეზულ-ბიბლიური სა-იდუმლო იფარება:

ფხოველმა იცის, რომ იქ „მთვარეს და მნათობთ თავისი ხიფათი ელის... არც წყა-ლია სანდო: წყალთა წარღვნა, ანუ „სიმუ-რი“ („მზე წითლდებოდა, წყრებოდა, მთვა-რე უკულმა დგებოდა“, ანუ „მზე შავი იყო, ვითარცა ძაძა ბალნისა და ვარსკვლავნი ცვიოდნენ ციდან...“) და უფალმა ადამიან-თა სადგომად და ტაძართა ასაგებად „მინა-ხმელი გააჩინა... („ამარუ“-შუმერ.) ხიფა-თის შემცველია კაცთა მოდგმისათვის... საიდანაც მოემართებიან „ვეშაწყარობი“ და ვეშაპნი, ანუ – „მიგრის“ მიერი ხიფათი...

ბატონმა თამაზ ჩხენკელმა – ახალი სიტყვის და აზროვნების ქემარტმა არისტოკრატმა – ჩვენს დროთა უწინა-რეს შეაღწია ამ მისტიკითა საკრალურ სახლში და იქიდან გამოიხედა: სწორედ აქედან შეხედა მან ვაჟა-ფშაველას და ყველა იმ მოვლენას, რომელიც ქართული კულტურისა და ცნობიერების პირისპირ დადგა! მისი თარგმანები, მისი წერილები და ესეები, თვით მისი სტილი და ენა, პი-როვნების პოზიცია სანიშნოა... და რამ-დენადმე შეუფასებელი! და თვით მისი პოეზია, რომელიც „ლიტერატურულ სა-ქართველოში“ დაიბეჭდა, მაშინ მოუ-ლოდნელი იყო პირადად ჩემთვის...

...

თამაზ ჩხენკელი ისე ეზიარა ანდრეზულ-მითოსური ცოდნის საიდუმლოს, როგორც ფხოველი ქადაგნი და ხუცესნი ეზიარებინ ხოლმე: ვერაფერს მიხედები და გაიგონებ, თუ ფხოვის საკრალურ დროთა გზაჯვარე-დინზე არ შეხვალ და იქ „სასმინაოდ“(!) არ დაჯდები სახიფათო „კვირეთა ნაქრალში“, ანუ „მზის სოლარულ წრეში“, და უფალი არ მოგცემს ადამიანთა „ბედისწერის წიგნს“, ან-დაც ერთ წვეთ გველის სისხლს (როგორც ხოგაის მინდს), რომელიც საკმარისი იქნება ასტრალური სამყაროს დასახსად... „ის ქემ-მარიტად დაჯდა სასმინაოდ“ ანდრეზთა გზაჯვარედინზე და შეიძინა უცნობი ცოდნა!

მან შეძლო ეს და ეზიარა „ანდრეზთა“ საიდუმლო წიგნს, რომელსაც მე „ბიბლი-ამდელი ბიბლია“ ვუნოდე.

...

ერთ მომენტში ხოგაის მინდიც კარ-გავს ჩრდილს: კარგავს წონას და ისე გა-დის საომრად... თამაზ ჩხენკელი ისევე, თითქოს ხორციდან გასული – გახუასებრ დგას „აკრალულ, წაშლილ დროში“ და გამოაქვს „საიდუმლო განძი“ ანდრეზთა წილიდან. იგი ადვილად იცდენს „უამთა ნატყორცნ ისრებს“, მკითხველს „ასულ-ფონებს“ მისი ეს ტექსტები: „რომელთ დიონისურ, ღვთაებრივ სიგიჟეს ხევსუ-რულად „ლაბუშობა“ ენოდება“ (თ.ჩ.).

და ბოლოს: მე, ამ უჟამო-ჟამთა შორის მდგარი, ნაგვიანვე მადლობას ვუთხრებ მას – ბრწყინვალე ქართველს, და ბოდიშს ვუხდის ამ „რიოში“, ვერფარსაგი „სულთა-ნობისთვის“!

აქვე ვიტყვი, რომ „სულთანობა“ სუ-ლის ხუცესთა იდეალური ტექსტია. „უამის ნირვა“ და „უერთხევაანი“ – ჯვარის ხუ-ცესთა სადიდებელი, ხოლო ნაქადაგარი – ქადაგთა საკრალური ტექსტი, „ხატის ენით“ გამოთქმული! – ამ ხმებს კარგად უსმენს და ხსნის თამაზ ჩხენკელი.

და კიდევ:

ერთი ანდრეზული ლექსის მიხედვით, ქურაზიშვილთ „სამი მზე“ უდგათ ცაზე:

„კარგნი ხართ, ქურაზიშვილნი

სამი მზე გიდათ ცაზედა:

ერთი მზე პურადობისა: სტუმარი

გიზისთ ჯარზედა,

მეორე – გულადობისა: მტერ ვერ

შეგივით კარზედა.

მესამე – ნადირობისა, ჯიხვ ვერ

გაგივლენ მთაზედა“...

პურადობის, გულადობის და მონადი-რობის, ანუ სამი ქველობის მზე უდგათ ქურაზიშვილთ და მათ შორის უწინარესი პურადობის მზე!

მასაც – თამაზ ჩხენკელს – კაი ყმობის სამი მზე უდგას:

ქართული სიტყვა უზის ჯარზე; სიტყ-ვის სიხარული, ნიჭის მადლი და მადალი ზნეობაა მისი სტუმარი!!!

ღმერთმა უნათოს მას „სამი მზე“ სუ-ლეთის ცაზე. ■

დღევანდელი მსოფლიო საუკუნის ფილმის პილა

საყოველთაოდ ცნობილი ფილმი „ჯარისკაცის მამა“, როგორც ვიცით, მე-20-ე საუკუნის ქართული მწერლო-ბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმო-მადგენლის, რევაზ ჯაფარიძის რომა-ნის: „ჯარისკაცის მამის“ მიხედვით შექ-მნილ სცენარზეა აგებული და რეალის-ტურად ასახავს მეორე მსოფლიო ომის ერთ ეპიზოდს. ამ ეპიზოდით რეჟისორი გვიჩვენებს თუ რა იყო საქართველო-სთვის მეორე მსოფლიო ომი, როგორც მთელი კაცობრიობის თავს დატეხილი დიდი უბედურება: ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის და მათ შორის ქართველი ხალხისთვის „დიდი სამამუ-ლო ომი“.

რეზო ჩხეიძის ფილმი „ჯარისკაცის მამა“ ეს არ გახლავთ მეორე მსოფლიო ომის საკონცენტრაციო ბანაკების სა-შინელებათა აღწერა: სისასტიკე გერ-მანელებისა და წამება ებრაელი ერისა, სისასტიკე, რომელიც ნიურნბერგის ისტორიულ სასამართლო პროცესამ-დე მიდის, ანუ ომის სამართლებრივ განკითხვამდე: გერმანელი ერის უმაღ-ლეს სამხედრო წარმომადგენელთა გამოცხადებამდე დამნაშავეებად კა-ცობრიობის წინაშე და, აქედან გამომ-დინარე, ფაქტობრივად, მთელი გერმა-ნელი ერის გამოცხადებამდე დამნაშავე ერად.

ფილმის მთავარი გმირი ომში წა-სული ჯარისკაცის მამაა, თავის ვენა-



ხებთან შესისხლბორცებული კახელი მშრომელი კაცი, ფრონტიდან ცხრა მთას აქეთ დარჩენილი და გულით და გონებით მიჯაჭვული ომის ცხელ ხა-ზეზე, რადგან იქ მისი შვილიც იბრძვის და მისი ოჯახის ბედიც წყდება... მამა ველარ უძლებს თავის მშვიდობიან ყო-ფას კახეთში და რაღაც ბალღური გა-დანყვეტილებით, გეგონება, ომს კონ-კრეტული მისამართი ჰქონდეს, ომის ცეცხლში გაგზავნილი შვილის საქმენ-

ლად მიდის. უშიშარმა, ვითარცა უხორ-ცომ, ბრძოლებში ნანრთობი წინაპრე-ბის ნაშიერმა, მკლავძლიერმა, ვითარცა ბარაქიანი მინით ნაკვებმა ოლიმპიელ-მა, თავისი უსათუთესი სულით, საკუ-თარი შვილის ძებნაში თავდავინებულ-მა უნდა გაიაროს წარმოუდგენელი გზა ომისთვის დამახასიათებელი ჯოჯო-ხეთური დაუნდობლობისა... და კონტ-რასტი, რომელსაც რეჟისორი თავისი გმირის ტიპაჟითა და თავგადასავლით

ჰქმნის: გიორგი მახარაშვილი და მეორე მსოფლიო ომი, ანუ ქართული სული და გერმანული ფაშიზმი, უსათუოდ აშიშ-ვლებს ზოგადად ადამიანის ღვთიურ არსსა და ამ არსისგან გაუცხოებულ, მსოფლიოს დამანგრეველ ვნებას, მი-ნათმოქმედის ღმერთთან სიახლოვე-სა და ომის შემოქმედის გაუცხოებას ღმერთისაგან. რეჟისორის ხედვაში გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ მებ-რძოლი ჯარისკაცები, რომლებიც სხვა-დასხვა ხალხების წარმომადგენლები არიან, სიმბოლურადაც განასახიერე-ბენ ქვეყანას, რომელიც ხალხთა მეგობ-რობისა და ერთსულოვნების იდეაზეა დაფუძნებული, ქვეყანას, რომელშიც მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული იდეალი ხალხთა მეგობრობის ხარისხ-შია აყვანილი.

დღევანდელი ქართული საზოგადო-ებრიობა, ქართველი ხალხი, რომელიც დგას ფილმის რეჟისორის გვერდით და მასთან ერთად უყურებს ამ ფილმის გაფერადებულ ვარიანტს, უკვე 2013 წლის 9 მაისს, საქართველოს აშუამინ-დელი გადასახედიდან, ბუნებრივია, სა-კუთარ თავს აცნობიერებს ისტორიის სრულიად უჩვეულო განვითარების მო-ნაწილედ: მეორე მსოფლიო ომის დამ-თავრებიდან უკვე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომში უდიდესი გამარჯვების მომპოვებელი საბჭოთა კავშირი, ეს გმირი სა-ხელმწიფო და მსოფლიოს გერ- ▶▶

▶ მანული ფაშისმიგან გადამრჩენელი, დაშლილია, ხოლო საბჭოთა კავშირიდან გამოსული და ე. წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო გაურკვეველ გზაჯვარედინზე დამდგარი. უფრო მეტი: აქ, ამ გზაჯვარედინზე, მისთვის აკრძალულია აზროვნება, გაანალიზება მოვლენებისა და საბჭოთა კავშირის, როგორც უხსენებლის ხსენება. არადა, შეუძლებელია საკუთარი ეროვნული პერსპექტივების გათვლა თუნდაც უახლოესი წარსულის სიღრმისეული გაცნობიერების გარეშე.

შეცდომა იქნება, უკვე დღევანდელი გადასახედებიდან არ დავსვათ კითხვა: რა ძალამ და რა იდეამ, რომელმაც სულიკვეთებამ განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული მხარის გამარჯვება და დამარცხებულის – დამარცხება?! ვინ და რამ მოიგო ომი? რა ძალას და რა იდეას შეეძლო ესოდენ დიდი წინააღმდეგობების მძლეველი ქვეყანა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბებული, ქვეყანა, რომლის უპირატესობა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც თრგუნავდა და მეტოქეობისთვის ალაგზნებდა, მსოფლიო ომში გამარჯვებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ დაშლილიყო? რა იყო ის გერმანული ფაშისმზე უფრო ძლიერი ძალა, რომელმაც სამხედრო თავდასხმის გარეშე დაშალა იგი?! და, თუ ეს მძლეველი ძალა მორალურად და მსოფლმხედველობრივად იყო აღმატებული ხალხთა ძალაუფლებისა, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სახელმწიფოებრივ იდეალზე, რაში მდგომარეობს ეს აღმატებულება მისი და ვიცით თუ არა ამ აღმატებულების ნამდვილი შინაარსი? თუ ვიცით, რა არის იგი? ვიცით თუ არა დღევანდელი მსოფლიო რეალობა მთელი თავისი სიღრმით, რეალობა, რომელთანაც მიგვიყვანა ისტორიამ, თუ ჩვენ, ქართველი ხალხი, მთელი მსოფლიოს ხალხებთან ერთად ვიმყოფებით რაღაც გაურკვევლობასა და ბურანში? არის თუ არა ჩვენი აზრით, ანუ ჩვენი დღევანდელი მსოფლიო რეალობა უშუალო განვითარება მეორე მსოფლიო ომის შედეგების? და არის თუ არა გასაღები დღევანდელი რეალობის ახსნისა მეორე მსოფლიო ომის შედეგებში? ამ კითხვებზე უსათუოდ ღირს შეჩერება არა მხოლოდ „ჯარისკაცის მამის“ მიღმა დარჩენილ და კაცობრიობისათვის სახედისწეროდ მნიშვნელოვან, გაუხმაურებლად მბორგავ კითხვებზე, არამედ ჩვენი თანამედროვეობისთვის ყველაზე გამომწვევ კითხვებზე.

ადამიანის სიცოცხლე იმდენად წუთისოფელია, რომ იგი ვერ ასწრებს განალიზებას საკუთარი სიცოცხლით განვლილი გზისასაც კი, არამცთუ მთელი კაცობრიობის სიცოცხლისას. მითუმეტეს, რომ არსებობენ გარკვეული ძალები, რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ისტორიული სიმართლებების გადაფარვაზე მუშაობენ. აქედან გამომდინარე, უკვე კაცობრიობასაც, როგორც ერთიან პლანეტარულ სუბიექტს, უჭირს თვითგამორკვევა და თვითშემცენება საკუთარი ბიოგრაფიის, მთელი თავისი ცოცხალი სხეულის ცალკეულ ნაწილთა ისტორიული ფუნქციების შეფასების. იწერება მსოფლიო ისტორიები და იწერება მსოფლიოს საიდუმლო ისტორიები. მაგრამ უამრავი კითხვა მაინც პასუხგაუცემელი რჩება. – ჩვენ ვცხოვრობთ პასუხგაუცემელი კითხვების სამყაროში.

ჩვენ ისეთივე გაურკვეველი ცოდნა გვაქვს იმაზე, თუ რატომ დაესხა თავს გერმანია საბჭოთა კავშირს, როგორც

იმაზე, თუ რატომ ააფეთქა აგერ, სულ ახლახან, ე. წ. „ვარდების რევოლუციით“ მოყვანილმა საქართველოს ხელისუფალმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ხსოვნისადმი აღმართული, დიდებული ხელოვანის, მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული სკულპტურული მემორიალი და რატომ მაინცადამაინც მის ნანგრევებზე დააშენა საქართველოს პარლამენტი? ადამიანის უფლებისა და ღირსების დროშის ფრიალში რატომ წაგვართვა ჩვენმა ხელისუფლებამ უამრავი ადამიანური უფლება და მათ შორის უფლება სიცოცხლისა და იმისაც, რომ, სანამ ვცოცხლობთ, ვიცოდეთ სიმართლე: სიმართლე ისტორიისა და სიმართლე ჩვენი დღევანდელი რაობის?

1949 წელს, ე. ი. როცა მსოფლიოს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის ჭრილობები არა აქვს მოშუშებული, მე-20-ე საუკუნის უდიდესი მეცნიერი, ალბერტ აინშტაინი თავის მოსაუბრესთან წუხს ახალი ომის, ანუ მესამე მსოფლიო ომის საშიშროებაზე. მისი აზრით, ეს სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საერთოდ მთელი კაცობრიობის არსებობისთვის. მხოლოდ ზენაციონალურ ორგანიზაციას შეუძლია ამ საფრთხის თავიდან აცილება – დასძენს აინშტაინი, რაზედაც მოსაუბრე ცივად და მშვიდად უპასუხებს: „რატომ ეწინააღმდეგებით ასე კაცობრიობის განადგურებას?!“

დიდი მეცნიერი ცდილობს ამ თავზარდამცემი განცხადების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური საფუძველი ახსნას, მაგრამ არ გვიძულს მოსაუბრის პიროვნულ ვინაობას და ჩემს მეხსიერებაში პირდაპირი ასოციაცია ჩნდება კიდევ ერთ უჩვეულო ეპიზოდზე, რომელიც ისევ მეორე მსოფლიო ომთან არის დაკავშირებული: როგორც კი გერმანია თავს დაესხმის საბჭოთა კავშირს და ახალგაზრდობის სამხედრო მობილიზაცია მიმდინარეობს ექსტრემალური წესით, მოსკოვში, არქიტექტურის საკავშირო აკადემიის ერთ-ერთი ასპირანტი აკეთებს ოფიციალურ განცხადებას, რომ მას არ შეუძლია ადამიანს ტყვია ესროლოს და ამიტომ მისი გაგზავნა ფრონტზე უაზროა. „ – კი მაგრამ, ისინი ხომ ადამიანები არ არიან, ისინი ფაშისტები არიან“, პასუხობენ ახალგაზრდას და ახალგაზრდაც შეუპოვრად უბრუნებს მათ სიტყვას: „ჩემთვის ფაშისტებიც ადამიანები არიან“. ამ სიტყვებისთვის ამ ახალგაზრდამ მთელი თავისი სიცოცხლე საბჭოთა კავშირში მოიხადა, როგორც სასჯელი სახელმწიფო დამნაშავემ. ეს იყო მომავალი დიდი მეცნიერი, თბილისის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ცისქვეშა მუზეუმის დამფუძნებელი, ბ-ნი ლონგინოზ სუმბაძე.

წინარე მაგალითი – მთელი კაცობრიობის განადგურებაზე გულგრილი მხერისა – აინშტაინმა ახსნა, როგორც შინაგანწონასწორობადაკარგული ადამიანის პოზიცია კაცობრიობისადმი, ხოლო ეს მეორე და ალტერნატიული დამოკიდებულება კი, ალბათ, ის იდეალი უნდა იყოს შინაგანი წონასწორობისა და კაცთმოყვარეობისა, საითაც უნდა ისწრაფავდეს კაცობრიობა და საითაც მივყავართ კაცად მოვლინებული ღმერთის, იესო ქრისტეს მოძღვრებას. საოცრად მიჰგავს ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორის ხმოვანი მსჯელობა ბულგაკოვის დანახულ ქრისტეს რომანში: „ოსტატი და მარგარიტა“... ხოლო, თუ თითოეული მაგალითი კაცობრიობისადმი დამოკიდებულებისა შეიძლება იყოს მათ მიღმა არსებული ეროვნული ფსიქოლოგიებისა და შინა-

განი მორალური პრინციპების გამოხატულება, საქმე გვაქვს ორ ალტერნატიულად განსხვავებულ ეროვნულ ფენომენთან.

მეორე მსოფლიო ომის წინარე გამოსვლებში ჰიტლერი დაუფარავად აცხადებს თავის მისიად კაცობრიობის გადარჩენას: „ – მე მაქვს გამოცხადება და კაცობრიობა უნდა ვიხსნა ებრაელი ერისგან“ – ვკითხულობთ მისი გამოსვლების უახლეს ინგლისურ გამოცემაში. რატომ უნდა ეხსნა კაცობრიობა ებრაელი ერისაგან გერმანელ ფიურერს, როცა ეს ებრაელი ერი თავად იყო დევნილი და სახსნელი კაცობრიობისაგან?!

„...აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა ებრაელთა უბედურს ერსა...“ – წერს ილია ჭავჭავაძე 1886 წელს, წრფელი ქართული თანადგომით (ტ. 9, გვ. 46-50). ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც არ გაკარებია უსიყვარულობის მისხალიც კი ებრაელი ხალხისადმი, ეს ხომ საქართველოა! მართალია, დავით აღმაშენებელს არასოდეს გაუკარებია თავისი ჯარის მხედრად ქართველი ებრაელი, მართალია, ქართველმა ხალხმა თავის ენაში შექმნა ცნება „ურის ვალი“-სა, როგორც ყველაზე მძიმე ვალის, მაგრამ არასოდეს ჩაღრმავებია ქართველი კაცი ებრაელთა დევნის ფაქტს, როგორც პრობლემას: რატომ არ უყვართ და რატომ იდევნებენ ისინი მთელ მსოფლიოში? ეს კითხვა დიდმა ილია ჭავჭავაძემ დასვა და პასუხს მიაგნო კიდევ: მათ სდევნიდნენო „ვითარცა უსამართლო ეკონომიკურის წესწყობილების წარმომადგენელთა და სხვა ერთა ეკონომიკურს მჩაგვრელებს.“

„ – ებრაელთა დევნის ნამდვილი მიზეზი მსოფლიოს ხალხებისაგან, – წერს ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „ებრაელთა შესახებ“ – ეროვნული სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი კი არ არის, არამედ ეკონომიკური ძლიერება ებრაელთა კაპიტალისტებისა, რომელთა ხელშიც გროვდება აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოებისა... და თუ ებრაელთა ეკონომიკურ გაძლიერებას თავის დროზე არ შევებრძოლებით, კაპიტალი შეიქმნება ყველა სახელმწიფოებზე უფრო ძლიერი და საშიში. კაპიტალის ხელში მოექცევა ბედი და უბედობა ერთა და მეფეთა... რასაკვირველია, ეს გარემოება მეტად საფიქრებელია.“ (იქვე) – ასე ასრულებს თავის განსჯას ილია ჭავჭავაძე ებრაელი ერის ფენომენზე და უკვე სახელმწიფოებრივი გონითა და აზროვნებით ასკვნის, რომ მსოფლიო ეკონომიკის უსამართლო განვითარება და მსოფლიოს მთელი ეკონომიკური კაპიტალის ხელში ჩაგდება ერთი ერის წარმომადგენელი კაპიტალისტების მიერ, ამასთან ამავე გზით ხელში ჩაგდება ყველა სხვა ქვეყნის მეთაურთა ძალაუფლებისა, რასაკვირველია, დამაფიქრებელი ამბავიაო, მაგრამ ამაზე არასოდეს დაფიქრებულა ქართველი ერი: „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა!“ დღესაც შემოგვძახის ილია ჭავჭავაძე. მის სახელმწიფოებრივ აზროვნებაში ევროპული ინფორმაციის საფუძველზე სრულიად გაცხადებულია მსოფლიოზე გაბატონების ებრაული ლტოლვა, რაც, გამორიცხულია, ჩვენს მიერ ზემოთ ხმოვლად ჰიტლერისეულ პოზიციაში, მსოფლიოზე გაბატონების გერმანულ პოზიციაში, თავისთავად ნა-




გულისხმარი არ იყოს, მითუმეტეს, რომ ამ დროისთვის უკვე მომძლავრებულია სიონისტური მსოფლიო მოძრაობა – თადარიგი მსოფლიოში გაფანტული ებრაელი ხალხის თავმოყრისა „ალტემულ მიწაზე“ და ორი ათასი წლის წინ დაკარგული ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენის.

როდესაც ცნობილი ბიზნესმენი, წარმომადგენელი სიონისტური მოძრაობისა, ბ-ნი ჯორჯ სოროსი პირდაპირ აცხადებს თავის წერილში: „ეროვნული დიქტატურები სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ“, რომ იგი სპეცი-ალისტია რევოლუციებისა და მის მიერ იდეათა ერთი და იგივე სისტემა საფუძვლად ედება რევოლუციებში ფულის ჩადებასაც და ფულის ამოღებასაც, გამჭვირვალედ ადასტურებს ილია ჭავჭავაძის ხელთ არსებული ევროპული ინფორმაციის ქეშმარიტებას.

სათანადო ლიტერატურით დადასტურებულია ის ფაქტიც, რომ სიონისტური მოძრაობის ლიდერები მეორე მსოფლიო ომის დროს ეხმარებოდნენ კიდევ ჰიტლერს ებრაელთა წამებაში, რათა თავიანთ თანამემამულეებში აღედრათ წყურვილი უცხო ქვეყნებში მიჩვეული ცხოვრების მიტოვებისა და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის (იხ. ებონ ციციანვილი, ოთარ გაბიძაშვილი, „იუდაიზმი და სიონიზმი“, თსუ, 1982 წელი). ცხადია, მეორე მსოფლიო ომში ეს ფარულად ჩართული სიონისტური მუხტი არ ათავისუფლებდა გერმანიას იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებლობისაგან, რომელიც ებრაელი ხალხის მიმართ ჩაიდინა.

1944 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომის დანაშაულებრივი ხასიათი უკვე ფაქტია, გერმანელი ხალხის დიდმა მწერალმა, თომას მანმა დატოვა გერმანია და აშშ-ში გაემგზავრა, რათა ამერიკელი საზოგადოებისთვის აეხსნა, თუ რა მოხდა გერმანიაში, მის მშობლიურ ქვეყანაში. ის დანაშაულებრივი ომი, რომელიც გერმანიამ დაიწყო მსოფლიო ბატონობისთვის, მან განმარტა, როგორც თანდაყოლილი სულისკვეთება გერმანიისა, როგორც გოეთეს ქვეყნისა, ასახული „ფაუსტში“, გერმანელი ხალხის ყველაზე დიდი მწერლის ყველაზე დიდ თხზულებაში: გოეთეს მთავარი გმირი, ფაუსტი, შემეცნებელი და მაძიებელი ქვეყნიერების ძალთა პეროპისა, მიზნის მისაღწევად

დენიზა სუმბაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



გენო კალანდია

უფალო, მზე რომ ამოვა დილით,
იღვიძებს მისი ლამაზი ეზო,
ფარვანასავით მიფრინავს ჩრდილი
მაყვლის ბუჩქიდან ალუბლის შტოზე.

ხასხასებს, ბზინავს ფორთოხლის ბაღი,
ვით ირმის წყარო და ოქროს ქვიშა,
თითქო ჩიტები მართავენ ალღუმს,
სალოსად ჩემი შედგომის ნიშნად.

უფალო, ვაჟას უკვდავი წიგნი
გადავიკითხე თავიდან ისევ,
ხმლების წკრიალი მესმოდა შიგნი,
მკერდიდან კბილით მიღებდნენ ისრებს.

ომს და მოსისხლეს ებრძოდა თემი,
სიტყვას ამბობდა ცეცხლივით ცინცხალს,
გათეთრებოდა ხევისბერს თმები
და საფიხნოზე მთელი დღე ცრიდა.

უფალო, მარტო ვიარე ტყე-ტყე,
ყულანურხვაში ჩავედი ფეხით...
იზაბელას და კაჭიჭის მეტრფე
ვენახს ფურჩინდა აფხაზი გლეხი.

მომიახლოვდა... გამეცნო რიდი,
ადრეც ერთმანეთს ვხვდებოდით თითქო,
გამომეღვიძა... და უმალ მივხვდი,
ეს ყველაფერი სიზმარი იყო.

უფალო, თოვლის ვარდისფერ პერანგს
მეც ჩავიცვამდი ბალის ხის დარად,
მონყენილი ვარ და, როგორც დეგა,
თვალცრემლიანი დავყურებ ქალაქს.

თავიდან მერგო ასეთი ბედი,
მზე იდგა მინდვრად თუ ცაცხვის ჩერო...
შენგან, ო, შენგან ჭრილობის მეტი,
რა მიმიღია, მამულო ჩემო?!

უფალო, ნუხელ, თიბათვის თორმეტს
გამომეცხადა უეცრად იგი,
ზეთისხილის და ალუბლის ტოტით,
ნათლისმფრქვეველი დიადი წიგნით.

შემხედა, მშვიდად შემახო ხელი
მხარზე და ასეც ველოდი თითქო,
და გადმოვიდა უეცრად ჩემში
მისი ღვთიური სხეულის სიბო.

დასასრული. დასაწყისი „ლ“ 55

უფალო, ადრე აცივდა წლეულს,
ხეებს ფოთლები დაცვივდა უცებ...
ვკითხულობ ლოცვანს... და პაპის
მხედრულს
დავცქერი, როგორც წმინდანის კურცხალს.

მამლის ყვილი საფეთქლებს მინვავს
და კვლავ ჟრუნისფრად თენდება გარეთ,
ქარია, ცივა... და, როგორც ცივა,
საკურთხეველთან ჩერდება მთვარე.

უფალო, – ცათა და ხმელთა ღმერთო,
აქ განისვენებს მოხუცი დედა,
მოვედი შენთან, რომ შეგავედრო,
უფალო ცათა, – დიდება შენდა!

როგორც ძეს, როგორც ყრმასა და სალოსს,
ისე არავინ მიყვარდა ქვეყნად,
მოვედი შენთან, რომ შეინყალო,
უფალო ხმელთა, – დიდება შენდა!

უფალო, ცრემლი მომადგა თვალზე,
ოდეს ვიხილე ნათება ღვთისა, –
მაცხოვრის ხელი ვიგრძენი მხარზე
ერთგულების და წყალობის ნიშნად.

ნათელმოსილი ვიდექი ასე,
პოეტი, მწირი, ქადაგი, ბარდი...
და ანათებდა ვარსკვლავი ცაზე,
ვით გაზაფხულზე სამოთხის ვარდი.

უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს,
თურმე შიგ გულში გქონია ბინა,
მე გზას ვეძებდი და თავს გიხრიდი,
ვით პაპისპაპა დიდხნის წინათ.

იების თოვლით და მზის ბლონდებით
იღვიძებს დიდი შაბათის დილა,
ირგვლივ ბაღია თეთრი შროშნების
და მონასტერში მეუფე წირავს.

უფალო, დავრჩი სრულიად მარტო,
სანუთრომ ჩემგან იბრუნა პირი,
შემიბრალებდა, ალბათ, თვით სარტრიც,
რომ ჰქონდეს ჩემებრ ქართული ძირი.

როგორც შენ უწყი: ფრანგია სარტრი
და, სამნუხაროდ, მკვდარია იგი...
და მე მამშვიდებს ცრემლები სანთლის,
საკურთხეველი და საღვთო წიგნი.

უფალო, ბერი მოადგა სენაკს,
შვიდი წმინდანის ხსენების კვირას,
გაშალა წიგნი და, როგორც ძენას,
ჩამოეშალა თმები და წირავს.

შეუდგა მათი სახელის ნიშნად,
მათი უკვდავი ცხოვრების გამო,
საკურთხეველთან ვიდექი მშვიდად
და ვლოცულობდი მეც მთელი ღამე.

უფალო, ვარდი მოუსხამს ჭინჭარს,
დილიდან ურცხვად უცვლია ფერი,
როგორც ნიშანზე განოლილ ისარს,
ღრუბელზე უდევს კიპარისის წვერი.

ბაღში კალია გადადის ყირას,
ცრემლში იხრჩობა მაისის ია,
სოფელში მამლის ფრთხილს და ყვილს,
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია.

უფალო, წმინდა გიორგის სახელს
კრავი შესწირეს ნუხელის დებმა,
მზე იდგა გარეთ და ვაშლის ბაღებს
ფირუზისფერი დაჰკრავდა სევდა.

ცა იყო, როგორც ზაფხულის საგა,
ირგვლივ ვარდი და შროშანი ენთო,
ასე ბედქმნილი და ასე კარგი,
ჯერ არ ვყოფილვარ არასდროს, ღმერთო!

უფალო, ერთი გზა მიდის მაღლა,
მეორე თავად ეშვება ზღვაში,
გუგუნებს მინა... ომია სადღაც,
ჭიანჭველები მიდიან მარშით.

მიდიან... ტყვია-ნამალი მიაქვთ
მინანქრებით ლამაზი მხრებით,
დავყურებ ჩუმად სამარეს ღიას
და ყველა ომში თავიდან ვხვდები.

უფალო, გახსოვს ის ძველი ცაცხვი, –
წმინდა ქალწულთა სავანე დიდი,
ცა – შეფეთილი იით და ცარციო,
მზე – განონილი სასირყვას მშვილდით.

იმ ხეს დღეს ურცხვად ეხვევა მუმლი,
ზვავივით ავად გუგუნებს მინა,
თენდება მთებში და ობოლივით
საკუთარ წარსულს იგონებს რინა.

უფალო, ერთი გალობა ვიცი,
ერთი ლამაზი ცეკვა და ტაში,
მზე რომ შეხტება ბორცვზე კვიცივით,
რძეს ინველება ირემი მთაში

და ჩანჩქერვით იფრქვევა ცისქვეშ
თეთრი, ქაფქაფა და ფიფქისდარი...
პირს რომ ვიბრუნებ შავეთის მხრისკენ,
მეც იმ გალობით გამიღეთ კარი.

უფალო, თეთრი გიორგის სამწყსოს,
მიეცი შენი ღვთიური ძალა,
უკვდავყავ მისი ბროლი და წყარო,
მისი ტან-წელი და ღრუბლის ფარა.

მხოლოდ შენ ძალგის აღანთო იგი
მარადიული ცხოვრების ჟინით,
შენი ბანიდან დახედე კარგად,
მიეცი რწმენა და თვალისჩინი.

უფალო, ორი ხუცესის საფლავს,
დილიდან სტუმრობს ძვირფასი მრევლი, –
ალალი იყოს იმათი სევდა,
ალალი იყოს იმათი ცრემლი!

შვენოდათ ოქროს ჯვარი და ფრთები,
ისედაც მდიდართ სულით და ხორციით...
ჩამოდიოდნენ მინაზე ფეხით
და ადიოდნენ ზეცაში ლოცვით.

წავსალთებო ყოველთადაც

მიხეილ ჭიჭინაძე

არაბი

ვაი, თუ ახლა სული ადიდდეს, ვერ დავეტოო კანში არაბე, მე ახლა უფალს რატომ ვადიდებ? როდესაც ასე დავაღალატე?!

სიკვდილი ბევრჯერ ვიანგარიშე და არ დამსაჯა ღმერთმა მეც არა. რადგან მიწაზე, ტანჯვის გარეშე ჩემს სხეულს სული ამოეცალა!

ვაითუ, ახლა სულიც ადიდდეს და ეს ცხოვრებაც ჰგავდეს დომინოს. მე ქვეყნად ყველა პოეტს ვადიდებ, ვინც კი სიგიჟეს მოგანდომინებს!

სხვა ასაკში ვარ, წლებიც გავიდა და ჩემმა გულმაც მიწა უარა. გახსოვს ქალაქის თეთრი ნავი და ანდა უფალი გახსოვს თუ არა?

მე აღარ მესმის ყრუ ელევია და ვაბამ ფიქრებს, როგორც ობობა. იცი, მიწაზე მაქვს ალერგია შეღამებებით ავადმყოფობა!

ვაითუ, მართლაც სული ადიდდეს, გადაეფინოს ჩრდილი კვიპაროსს. ჩემო სიცოცხლე, ნუ განმადიდებ შენგან სიკვდილი თუ მოვიპარო!

სხვა ასაკში ვარ, წლებიც გავიდა, ცამ გადამიჭრა ბოლოჯერ ვენა. მე ის მწირი ვარ, ცად რომ ავიდა, ფრთები დალაღა და დაასვენა!

დედა

არ დავილღები შენზე ოცნებით, ჩემი გრძობები მე სისხლით ვწერე. ალბათ, ამაღამ შენთვის მოვკვდები, ამდენი ცდის და წვალების მერე.

ჟამით ღვინო ჩნდეს, ჟამად ხემსები, ლექსმა დათოვა დედი აული. წავალ და სიკვდილს დავემწყემსები, დავემწყემსები, ვით სასწაული.

მივალ გათოშილ ზამთრის სიცივით, დედი გზადაგზა უნდა მიშველო. ხმა აღმივლინე პარაკლისივით, ჯერ პატარა ვარ და უმნიშვნელო.

ეს რიჟრაჟები შენით ანთია, იმედით დგანან ბნელი ტინები. დედი მე გული დამიმანთია და მხოლოდ შენს სულს ვეპოტინები.


არ დავილღები შენზე ოცნებით, ჩემი გრძობები მე სისხლით ვწერე. ალბათ ამაღამ შენთვის მოვკვდები, ამდენი ცდის და წვალების მერე.

პარაკლისი!

მიწა ამერია სამ-ოთხ დღეში, ღმერთმა გამიმართა პარაკლისი. მერე გამიტაცა სამოთხეში, როგორც უდიდესი დანაკლისი!

სხეულს ახლა დები მისტირიან და სულს გაქცეული სამარიდან. ხოლო მიწაზე კი, ვინც მტერია, იმან თვალელებიც კი ამარიდა!

რადგან გრადაცია სულის არის ახლა თავს ვიკავებ მომეტებით. ჩემი პოეზიაც სულ ეს არის ბნელში მიგდებული სონეტები.



ღმერთი ახლოშია ეზეკიელ, ეძებს ცამდე ხელემაპყრობილებს. რადგან აქ ყოველი კაზაკია, ნუთისოფელი კი საპყრობილე!

ხორცში, ვით ციხეში, ისე ვზივარ, ღმერთმა გამიმართა პარაკლისი. ვისთვის ჩაცინების მიზეზი ვარ, ვისთვის – უდიდესი დანაკლისი!

პირველი თოვლიც უშენოა!

სიყვარული არის თავის დავინყება - გრიგოლ ორბელიანი

ცას გეფიცები, მსურს გავშორდე ამ დიდ პალატას, აქ გულქვაობა სიყვარულის არის მგომობარი.

მე ვინც მიყვარდა, იმან დამგმო და მილაღატა, ვისიც პირველი ძმა ვიყავი და მეგობარი!

არარაიდან მოსული ვარ, ვიღწვი და ვგოდებ, მიწას დავცქერი, ვით მლოცველი უცქერს უჩინარს. მაგრამ ძალმიძს კი სწორედ ახლა, ამ ღამით მოვკვდე, როცა შენმა მზემ ჩემს თვალს სხივი აღმოუჩინა?!

არა ვარ მწყემსი – შეგიგროვო ველზე კესანე, მოვყვები რელსებს, ვუყვარდები ფეხქვეშ ვაგონებს. ო, ისე ბარდნის, აღარ მესმის შენი კენესა მე და დაგდებული ხელთათმანიც შენს თავს მაგონებს.

პირველი თოვლიც უშენოა, არის პალატა და გულქვაობა სიყვარულის არის მგომობარი. მე ვინც მიყვარდა, იმან დამგმო და მილაღატა, ვისიც პირველი ძმა ვიყავი და მეგობარი!

ძარბის დღე!

ჩემი ქურანი ზეცისკენ მიქრის, მე დაგენტები ამაღამ სანთლად. და შემანუხებს ის ერთი ფიქრი, გეზიზღები თუ გიყვარვარ მართლა.

ისევ ბნელია მთის მწვერვალები, გამიღეთ ყველა გზები მიღეთის! დღეს შენთან მოვა ვიღაც წვალებით, მგზავრი, რომელსაც არ აქვს ბილეთი.

აყოლილი ვარ, ძვირფასო, ნუხილს და მივუყვები ღელეს ღრანტოვანს. ისე უღმერთო ვიყავი ნუხელ, რომ ვინც კი შემხვდა, არ მიმატოვა.

ჩემი ქურანი ზეცისკენ მიქრის, მე დაგენტები ამაღამ სანთლად. და შემანუხებს ის ერთი ფიქრი, გეზიზღები თუ გიყვარვარ მართლა?



შორენა კობრაშვილი

თვალეებს ნუგეში შიათ, გაუხუნარი მზერის, უტყვი გრძობების ქნარი, მთვარე სიბნელის მხსნელი. სხეულს ლაჟვარდი შია, მუზა-ნარევი ფერით... ცა-გართომული სიტყვა, გზა პოეტური ხვედრით!

მგზავრი

თავაშვებული მივაბიჯებ, ქვესკნელის შვილი... უკან მომყვება, ოცნებების მთელი ამაღა... შეჩერდი, ღამე! შენმა ხილვამ უღმერთო მგზავრი, ბნელით შემშალა, მღუმარებით დამაავადა!

ბორგვაქცეული, უნიათო სხეული მიმაქვს, ფუჭმა სიცოცხლემ, სიცოცხლითვე დამასმარა, ურჩი ბავშვივით, ლექსის წერა ავიკვიატე, და მხოლოდ დავრჩი, აჩემებულ ლექსის ამარა!

თავაშვებული მივაბიჯებ, ქვესკნელის შვილი, დიდსულოვნების მონატრული, მდაბიო მგზავრი, მივდივარ მიმაქვს, უნდობლობა ბრბოთა თვალეებში... და თან მიმყვება, ნუთისოფლის რისხვა და ჯავრი!

დილაა, ხმაურობს ძარღვებში რითმები, და სულში, მიმცხრალი ქაოსი ფეთქდება... ციხეა გარშემო, ბოჭემა მგონისთვის, ულექსო განთიადს, სული არ ჯერდება!

რად მინდა ეს ზეცა, თუ არ გაფურთმე სხეულზე დაცემულ, ჟინიან აკორდებს, ყიჟინა სულიდან, ნოტებად ლაგდება, რითმული ჟღერება, პულსივით მატოკებს.

მე მაშინ შევიგრძნობ ცხოვრების სისავსეს, როდესაც წერისგან სილაღე მჩემდება, ზეცაზე მტრედისფერ ალუბის მარშებმა უკვე გაიფრინეს და ჩემშიც თენდება....

სხეულს ლაჟვარდი შია, მუზა-ნარევი ფერით... ცა-გართომული სიტყვა, გზა-პოეტური ხვედრით..... სულს უკვდავება შია, ზღვა-განდგომილი ტალღა, ბორგვა სტრიქონით ქმნილი, ლექსით განცდილი დაღლა! ხელს სასოება შია, გამონაძერწი "მე"-დან... აღვირახსნილი სხივი... მზე-გამოხსნილი ციდან.

სულო, გამთელდი... იალებს გულში იმედის სხივი და კრთება, კრთება როგორც სანთელი...

გარს შემომერტყა ფიქრების მძივი და გავუგორე ბედს, კამათელი.

გადავაბიჯე აკრძალულ საზღვარს, გადავუმტვრიე სიძულვილის მშვილდი!

ღღეს უკვე ბოლმას, თავად ვცემ თავზარს, დამშვიდდი სულო, სულო დამშვიდდი!

ფრიალებს ცაზე იმედის დროშა, სხეულს ატყვია, წარსულით დაღლა, სულო გაფრინდი, გაექეც კოშმარს! სულო იფრინე, მალლა და მალლა!

ნუ შეგცვლის დროთა ამოება, სხეულს მარადუამა ეყოლე, ფარად... მოლელავს სევდის უსაზღვროება, ებრძოლე სულო, ებრძოლე მარად!

იალებს ჩემში მომავლის რწმენა, და კრთება, კრთება.. როგორც სანთელი, ჩაგრულო სულო, ნუ დაგლის ფრენა, გამთელდი სულო, სულო გამთელდი!!!

მზეო, დამადგი შარავანდედი, სხივით შემოსე გზა წარუშალი, დღეო, ამაღამე სიბნელეთიდან ასჯერ ცთომილი და ნამრუშალი.

მიმიღე ცაო, ქვესკნელის შვილი, ამო სიზმარო, ერთხელ გაცხადდი... მომხვიე მკლავი, სინათლის სხივო, განმკურნე ნაგვემ-შეურაცხადი!

მიწამლე დილავე, მშვიდობით მიბყარ, ცოდვით გამძღარი და მოკვდომილი, შემიცან დღეო, უკანასკნელად... ზნედაცემული და შეცთომილი!

ქარო, ფიცხელო, მალლით მქროლელო, ზურგზე მომიგდე ფიცხი მხედარი... მიმიღე ცაო, როგორც ურწმუნო, როგორც მკვლეელი და როგორც მეძავი!

გზავ არსითაა სავალი შენი.. შეჭირვებული არც დაღბენილი მიმიღე ცაო, გაუმართლები ნამუსნარეცხი და დარცხვენილი.

მკითხველო!

„ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა იკა ქადაგიძის პასკვილი, რომელშიც ის შესანიშნავ ახალგაზრდა მწერალს, გამომცემლობა „კალმოსანის“ დირექტორს, ხვიჩა ყალაბეგაშვილს, მიანერს ერთ ლექსს - „პოეტო, მოგ... ქალიშვილს სცენაზე...“ - და მისი „დანერის“ გამო, რომ იტყვიან, ეჩხუბება კიდევ. ის კი არა, ქალბატონი იკა უფრო შორსაც მიდის და ამ ლექსის გამო სხვა ადამიანების ეთიკურ-ზნეობრივ მდგომარეობებსაც ადგენს.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში შემოვიდა ხვიჩა ყალაბეგაშვილის წერილი, რომლიდანაც გაირკვა, რომ ზემოხსენებული ლექსი მას არ ეკუთვნის და მან მხოლოდ facebook-ის საკუთარ არაოფიციალურ კედელზე განათავსა ის და, რასაკვირველია, საკუთარი სახელისა და გვარის ავტორად მიწერა თავში აზრადაც არ მოსვლია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ ქალბატონი იკა გაუგონრად არაპროფესიონალურად და, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე ზნეობრივად მოიქცა, როდესაც მკითხველი შეცდომაში შეიყვანა და ახალგაზრდა მწერალს ცილი დასწამა. მან უნდა იცოდეს, რომ კონკრეტული ადამიანის facebook-კედელი არ არის ის წყარო, რომელზე დაყრდნობაც თავმოყვარე ლიტერატორს შეუძლია. ამ ინტერნეტრესურსს ადამიანები, ძირითადად, პირადი, არაოფიციალური ურთიერთობებისთვის იყენებენ. რადგანაც ქალბატონი იკა უფროსთაობელი მწერალია და, როგორც აღმოჩნდა, თანამედროვე ტექნოლოგიებში არც ისე ბრწყინვალედ ერკვევა, ამიტომ აჯობებს, თუ დროებით „თავთან“ თამაშზე ხელს აიღებს.

ქალბატონ იკას ძალზე უყვარს ოფიციალურად დაუდასტურებელ, პრივატულ ჭორებზე მდარე წერილების შეთხზვა, რაც არარელევანტური და არასერიოზული საქციელია.

ლექსი დორეული

რეკლიკა

ჩემს facebook-ის კედელზე შეიძლება სტუმარი გადააწყდეს რომელიმე „ადაჯიოს“, „ლა კომპანელას“, „ზიგფრიდის პარტიას“, „DJ სეტს“, „დაფ სტეპს“, „სიურრეალისტულ პეინინგს“, „შიშველ ქალბატონებს“, ლექსებს, რომლებიც იწყება: „ყველა ტკივილი იძინებს ბოლოს“, „წითელი მზე აელვარდა მიწებთან“... ანდა ისეთ ცენზურაშემოღებულ სტრიქონებს, როგორცაა: „ოყნა გჭირდებათ თქვენი დედა მოვტ...“, „პოეტო, მოგ... ქალიშვილს სცენაზე“...

ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ მე კომპოზიტორი, მუსიკოსი, მხატვარი, რომელიმე გარდაცვლილი ან მეამბოხე პოეტი ვარ... facebook-ის კედელი - ეს არის ადგილი, სადაც ადამიანები სხვათა შემოქმედებას საკუთარი გემოვნებით ასაჯაროებენ... როცა სხვის კედელს იყენებ როგორც წყაროს, არ უნდა დაგეზაროს და იკითხო, ესა თუ ის ნაწარმოები ვის ეკუთვნის. როცა არ გაქვთ უნარი, მოიძიოთ ავტორი, სულაც არ არის სირცხვილი, ჰკითხოთ მას, ვისგანაც იღებთ...

კიდევ ერთხელ შეგეშალათ, თანაც როგორ... როცა კრიტიკულ წერილს წერთ, იმდენი გონიერება მაინც უნდა გეყოს, წყარო ზუსტად შეარჩიოთ, რათა მომავალში სხვისი ლექსების თქვენს ნებაზე თრევისთვის ავტორმა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არ „გაგლანდლოთ“ და, კიდევ, „კრიტიკოსო“ იკა, თავად რომ უხეიროდ წერთ, გასაგებია და ლექსები, რომლებსაც სხვები წერენ, იქნებ დანაკლისისა და დამახინჯების გარეშე მაინც გადაიტანოთ თქვენს ნაჯღაბნებში. ავტორსაც თუ ზუსტად გაარკვევთ ხოლმე, რაღა გვიჭირს მეც და მკითხველსაც...

ხვიჩა ყალაბეგაშვილი

მ ცდათოხმეტი წლის იყო სტივ უანდერი, როდესაც მეგაპიტი „I just called ti say I love you“ დაწერა და მუსიკოსის პოპულარობამ პიკს მიაღწია, თუმცა არც მანამდე აკლდა თავყანისმცემლები. მისი წარმატებების, 22 გრემის და ჩარტების ლიდერი ალბომების შესახებ ძალიან ბევრი წერია ინტერნეტში, მაგრამ ეს სტატისტიკური მონაცემები ნაკლებად საინტერესოა. მისი ბიოგრაფია ბევრად უფრო მრავალფეროვანი და დაუჯერებელია, განსაკუთრებით კი, მისი ბავშვობა და მუსიკალური კარიერის საწყისი ეტაპები.

სტივ უანდერი - მუსიკის მეშვე

სტივ უანდერი აშშ-ში, მიჩიგანის შტატში დაიბადა. არც თუ ისე კარგი პერიოდი და სიტუაცია იყო დასაბადებლად, მაგრამ მარტოხელა ლულა ჯადკინსს (სტივის დედას) არსებული სტატუს ქვო დიდად არ აინტერესებდა. ლულამ ზანგთა კვარტალის ერთ გაუბედურებულ საავადმყოფოში იმშობიარა და სწორედ იქ მოხდა ის, რამაც შემდგომში მუსიკის ისტორია შეცვალა. სტივ უანდერი სრულიად სალსალამათი დაიბადა, მაგრამ რამდენიმე დღით თუ კვირით გაასწრო მოვლენებს და ცოტა ადრე გოინდობა მიჩიგანის ჰაერის ჩასუნთქვა. თავისუფლად სუნთქვა დიდხანს არ აცადეს და პირდაპირ ინკუბატორში უკრეს თავი, სადაც იძულებული იყო, ბოლომდე გაესრულებინა მუცლადყოფნისთვის განკუთვნილი ცხრათვიანი ვადა. ამის შემდეგ ზუსტად არავინ იცის, რა მოხდა, მაგრამ როგორღაც ინკუბატორში არასასურველი აირები მოხვდა დადგენილზე დიდი რაოდენობით და პატარა სტივს თვალები დაუწვა. ბევრს ცდილობდა დედამისი რამე ელონა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ბრმა ბავშვი მიაჩერა ხელში და გარეთ გამოუშვა. შესაძლოა ცოტა ფულიც ჩაუკუჭეს ჯიბეში, რომ არ ეჩივლა. ამის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ მოიპოვება.

მწელი მისახვედრი არაა, ლულას და მის თვალებამომწვარ ბავშვს ბევრი გულშემატკივარი არ ეყოლებოდა, ამიტომ იძულებული იყვნენ გადარჩენისთვის ებრძოლათ. სტივი ბრძოლას ვერ შეძლებდა, ასაკიდან გამომდინარე, ამიტომ დედას უნდა აეღო ბავშვის მოვლის და აღზრდის ვალდებულება

თავის თავზე. ლულამ მუშაობა დაიწყო, ხან სად მუშაობდა ხან - სად, სტივიც ხან ერთ მეზობელს ჰყავდა მიზარებულ, ხან - მეორეს, ვიდრე ნორმალურად ფეხზე დგომას ისწავლიდა. როგორც კი სტივი ცოტათი წამოიზარდა, ლულა უფრო მეტად გადაერთო სამსახურზე იმ იმედით, რომ სახლში მარტო დარჩენილ სტივის არაფერი დაემუქრებოდა. გარდა ამისა, ლულამ მოახერხა და ბავშვს ასწავლა სახლში სხვის დაუხმარებლად გადაადგილება ისე, რომ არაფერს დაჯახებოდა და არაფერი გაეფუჭებინა. სტივის განსაკუთრებული სმენა არმოაჩნდა, რითაც ცარიელ სივრცეებს პოულობდა გადასაადგილებლად, პოულობდა ონკანს



ლავით სარქლაშვილი

ბის სკოლაში წასვლა. ვერ წარმოედგინა, რას ნიშნავს ხედავდე იმ ყველაფერს, რასაც დედამისი ასწავლიდა.

წყლის დასალევად და სხვა მსგავს დაბრკოლებებს იოლად უმკლავდებოდა, ხოლო დანარჩენ დროს თუ რაიმე საგანი მოხვდებოდა ხელში, ცდილობდა მუსიკა „გამოედნო“ მისგან, რაც არცთუ ისე წარუმატებლად გამოსდებოდა. მეზობლებში ნელ-ნელა ვრცელდებოდა ხმები, რომ ლულას ბრმა ბიჭს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა და მის მოსასმენად ყოველ საღამოს მთელი სამეზობლო, მოგვიანებით კი, უკვე მთელი კვარტალი იკრიბებოდა ხოლმე. ხმები აშშ-შიც სწრაფად ვრცელდებოდა. ერთმა მათგანმა ცნობილ ხმის ჩამწერ სტუდია „ტამლა რეკორდსამდე“ მიიღწია, რომელმაც მაშინვე აფრინა თავისი წარმომადგენელი სტივის მოსასმენად და თერთმეტი წლის სტივს პირველი პროფესიონალური კონტრაქტი გაუფორმეს. თუმცა კონტრაქტამდე იყო სკოლა და სტივის კიდევ უფრო უჩვეულო თავგადასავლები.

სკოლის ასაკს როცა მიაღწია სტივმა, ლულა დიღემის წინაშე დადგა. არაფრით სურდა, ბიჭი უსინათლოთა სკოლაში გაეგზავნა. იგი ყველანაირად ცდილობდა, სტივისთვის ჩაენერგა რწმენა, რომ ის არაფრით განსხვავდებოდა სხვა ბავშვებისგან. ლულამ ძალიან ადრე დაიწყო სტივის „გამონრთვნა“, უყვებოდა ყველაფრის შესახებ, რაც კი თავში მოსდიოდა, ასწავლიდა, რომ ბანანი ყვითელია, ზებრა - შავ-თეთრი, პიანინო არის ინსტრუმენტი, რომელსაც აქვს კლავიშები და ასე შემდეგ. სტივი ვერ ხედავდა ამ საგნებს, მაგრამ გონებაში ყველაფრის შესახებ ჰქონდა მინი დოსიე. ამიტომ არც თვითონ სურდა ბრმე-



საქმე იმაში გახლდათ, რომ პატარა სტივს ანომალიურად მგრძობიარე ხელის თითები ჰქონდა და ფურცელზე დაბეჭდილ სიტყვებს, რომლებიც სულ ოდნავი რელიეფურობით მაინც გამოირჩეოდა, თავისუფლად კითხულობდა. სკოლაშიც წარატებული მოსწავლე იყო და კლასელები მეტსახელად ღამურას ეძახდნენ.

გარდა სკოლისა, სტივი აგრძელებდა საღამოობით ადგილობრივ დონეზე მცირე კონცერტების გამართვას და ლულაც მიხვდა, მარტო „ჯამ-ჭურჭელზე“ დაკვრით ბავშვი შორს ვერ წავიდოდა, მაგრამ არც იმის საშუალება ჰქონდა, მისთვის სერიოზული ინსტრუმენტი ეყიდა და ერთადერთი, რასაც მარტოხელა დედის შესაძლებლობა განვდა, იყო პირის გარმონი - ჰარმონიკა. სტივიმაც პირველად დააგემოვნა ინსტრუმენტის გემო და რაც კი მუსიკა გადიოდა რადიოში ერთი-მეორის მიყოლებით აწყობდა ახალ ინსტრუმენტზე. ცოტა ხანში, როგორც ზემოთ ვახსენეთ, გამოჩნდა „ტამლა რეკორდსი“ და პირველი კონტრაქტი, რომელმაც საშუალება მისცა სტივის, ესწავლა და დაეკვრა თითქმის ყველა ინსტრუმენტზე.

(გაგრძელება იქნება)

ვალეკოს პარალელური

რეალობა

არმენ არუთინოვი

რომ არა გაჭირვება, სოფელში გაქცევას არავის ანახებდა. დარჩებოდა დედაქალაქში, იხეტილებდა დილიდან საღამომდე ქუჩებში, თვალსაც დაალევიანებდა წყალს და წარმოსახვასაც, თავის გამოგონილ სამყაროში ბედნიერად იცხოვრებდა, მაგრამ მუხთალია ნუთისოფელი, – ღმერთმა გულიანად გადაიხარხარა ვალეკოს საათივით აწყობილ გეგმებზე და მშობლიური სოფლისკენ კუდი ამოაძუებინა.

მოსვენება აღარ ჰქონდა საწყალ კაცს, დილიდან საღამომდე ხან ძროხების ბლავილი ურღვევდა სულიერ სიმშვიდეს, ხან კი – ცოლის. გოჭების და მეზობლის ბავშვების ჭყვიტინზე ხომ ნულარ იტყვიო, თავის ქალა ეხდებოდა და მხოლოდ მაშინ ეხურებოდა, ტყისკენ რომ გაირეკავდა საქონელს და სადმე ხის ქვეშ რომ ჩამოჯდებოდა. აქ კი იცოცხლეთ, ისე ფეხმორთხით იცოდა დაბრძანება, შორიდან რომ შეგეხედათ, ინდური ღმერთი ან ძლევაძოსილი ხელმწიფე გეგონებოდათ. სკიპტრა და გვირგვინი არ ამშვენებდა, არც სამეფო მოსასხამი უფარავდა ნაკერებდადებულ, გახუნებულ პერანგს, თორემ აღარაფერი აკლდა მეფობამდე.

სამფლობელო კი ისეთი იყო, თვალს ვერ მონყევტდა კაცი: მთელი თვალსანიერი, ერთი ბოლოდან მეორემდე, მწვანედ ღალანებდა, სამეფო კარის მუსიკოსების მაგიერ საძოვარზე გამოსული საქონლის ხმაშენყობილი ბლავილი ისმოდა და ლანგრებზე დახვავებული, სხვადასხვა ნუგბარით ხელდამშვენებული მხეველების ნაცვლად მაყვლის ან ასკილის საკრეფად ტყეში წამოსული სოფლის დედაკაცები თუ ჩაუვლიდნენ კალათებით. ისინიც საღამოს მიუგდებდნენ, რალაცას ჩაიბუზღუნებდნენ და თუ დაინახავდნენ, რომ მათმა უმნიშვნელო არსებობამ არც კი მიიქცია ვალეკოს მაღალი ყურადღება, ქოქოლას მიყრიდნენ, გულიანად მიანყევლიდნენ და ნაბიჯის აჩქარებით გაცვლებოდნენ ხოლმე.

მაგრამ ვინ დააცდიდა სამეფოს მართვას, მზეთუნახავზე დაქორწინებას და ოქროსქორიანი უფლისწულის გაკეთებას, – გავასქელი ზინა, ამქვეყნიური სამეფოს დედოფალი და მთელი უბნის ნიოკით ამკლები მისი ძვირფასი მეუღლე ტყისკენ მომავალი რომელიმე მწყემსის ან ბატების საძებნელად წამოსული პატარა ბიჭის პირით შემოუთვლიდა, სახლში დროზე მოეთროს, მანდ არ მომიყვანოს, თორემ ვაი მისი ბრალიო; მაინც მაგისი გასათხონია ყანა, ვერ ეღირსება, ეგეც მე გავაკეთო, ისეც მთელი ჯალაბობა ჩემ კისერზე ჰკიდიაო; ის დღე დაინვას, მაგას რომ გამაყოლებს, მამაჩემს მუთაქები ლენინის თავებზე ჰქონდა სავესო.

სამეფო შიკრიკები შორიდანვე დიდი სიამოვნებით და კრეჭა-ღმეჭით მოახსენებდნენ ვალეკოს დედოფლის შემონათვალს, ერთი სიტყვა არ გამორჩებოდათ და ვიდრე მისი უდიდებულესობის რისხვას დაიმსახურებდნენ, კუდამოძუებული გარბოდნენ საპირისპირო მიმართულებით; – ხუმრობა ხომ არაა, ხელმწიფისთვის იმის თქმა, მტერი ემზადება შენ გამოგონილ სამეფოზე თავდასასხმელად და ოჯახის საქმეებში ჩათრევას ისევე ტრაკის წამონევა და ნებით ჩარევა გირჩევნიაო.

ვალეკო იძულებული იყო გამორკვეულიყო თავისი მეფური ზმანებებიდან,



უკვე შორს გაქცეულ დესპანს გულში შეუკურთხებდა შემადრწუნებელი ამბის მოტანისთვის და უხალისოდ წალასლასდებოდა შინისკენ, თითქოს საკუთარ ოჯახში კი არა, გილოტინაზე მიდიოდა თავისი ფეხით.

კეთილი იყო ვალეკო, უზომოდ კეთილი. ამ სიკეთემ დამართა, ასეთ დღეში რომ იყო. მისი ზინა ყოველ შარაზე შემხვედრთან გულს რომ იცლიდა, ასეთი და ისეთი ოჯახიშვილი ვარ, ამდენი ჰქონდა მამაჩემს და სახლი კი არა, სასახლე ედგაო; ისეთი გოგო ვიყავი, სოფლის ყველა ბიჭს ვუყვარდიო, – ტყუილია ეს ამბავი, არ დაიჯეროთ. ერთი ჩვეულებრივი კიკინებანი და ეზოში ფეხშიშველა მორბენალი გოგო იყო. არც დიდი სიმდიდრე არ გააჩნდა მამამის თეიმურაზს და მზითევსაც თითქმის ვერ გამოატანდა. ამის გამო იყო, რომ როცა ზინას გათხოვების ასაკი მოუვიდა, საფიქრალში ჩავარდა კაცი და თითქოსდა ღმერთმა გამოუგზავნაო, მეზობელი სოფლიდან ქალიშვილის ხელის სათხოვრად მისულ ვალეკოს ან უკვე ცხოვრებულ მშობლებს, გიორგისა და ნაზიკოს თავისი ზინა ეზოში დაახვებდრა, კაკლის ქვეშ მჯდარი და ხელსაქმით დაკავებული. თან იმდენი აქო და ადიდა ქალიშვილი, სტუმრები გაფართოებული თვალებით მისჩერებოდნენ ენაგაკრეფილ მასპინძელს, თავმოყვარეობა რომ დავიწყებოდა და ასე მონდომებით ცდილობდა მოემორებინა თავიდან საყვარელი ასული.

თავის მხრივ გიორგისა და ნაზიკოსაც თავიანთი გაჭირვებოდათ, – უკვე მთელი სოფლის საჭორაო იყო გამხდარი მათი ვაჭიშვილისა და ფრიად საეჭვო რეპუტაციის მქონე, ქალაქში გაზრდილი მარინას ხშირ-ხშირი შეხვედრები. ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, ასე რომ მოფერიანდა ეს გაჩხიკული გოგო, იქნება და რამდენიმე თვეში წეროც დაფრინდეს მაგათ ეზოშიო.

მოკლედ ვალეკოს სიკეთემ დამართა ყველაფერი: ჯერ იყო და მარინას მონერილ სასიყვარულო წერილს უარით ვერ უპასუხა, გული როგორ ვატკინოო და მერე კიდევ, როცა მისი რომანი ასე ძალიან გახმაურდა და მშობლებმა დაჟინებით მოსთხოვეს დაოჯახება წესიერ გოგოზე, ხათრი ველარ გაუტყება, დიდი ყოყმანის და ნერვიულობის მერე დათანხმდა.

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ვალეკოს მშობლების და ნათესავების მოლოდინი გამართლდა. დიდი ხელმარჯვე და მონდომებული პატარძალი გამოდგა ზინა. პირველ ხანებში მაზლის ცოლი ვერ დაასწრებდა მარდად ნამოხტომას და მამამთილისთვის დოქით წყლის მირბენინებას, კეცზე ხაჭაპურების დაკერას და სტუმრის ღირსეულად დახვედრა-გასტუმრებას, სარეცხის წყა-

როზე გასავლებად წაღებას თუ პატარა მაზლიშვილების ტაშტში გულიანად გასაპნვა-გახეხვას. ყველგან ზინა იყო, ყველაფერს ზინა აკეთებდა, დაღლა არ იცოდა და დასასვენებლად ბუხართან სამფეხაზე ჩამოჯდომა ზინამ. მამამთილის მოზომილ შექებაზე ხომ საერთოდ წითლდებოდა და გვერდით ოთახში გარბოდა დარცხვენილი.

ოღონდ ეს მხოლოდ პირველ ხანობას ხდებოდა ასე. ერთ მშვენიერ ღამეს როდესაც აღმოაჩინა, რომ განსაზღვრულ დროს ქმრისთვის ცოლობის განევა შეეძლო, უარის თქმა არ უნევდა რიგი მიზეზების გამო, გულმა რეჩხი უყო და ადრიან დილით დიდი მორიდებით მიადგა სოფლის იმედსა და ძეობის პირველ მახარობელს, ამ საქმეში ჭიპოჭიროსა და გამოცდილ ჭიპის მომჭრელ თეკლეს.

ოთახიდან რომ გამოვიდნენ და მომლოდინე თვალებით შემხედვარე ზინას რომ შეხედა, თეკლე-ქალმა გულიანად გადაიხარხარა და შენ კი ჩაქრი, ეგ რა თვალებით მიყურებ, კიდევ ერთი-ორი თვე მოიცადე და გამოჩნდება, გულთმისანი კი არა ვარო, – მიუგო.

ერთი-ორი თვეც გავიდა. ზინამ თავი სამშვიდობოს რომ დაიგულა, საყვარელი ვარდის ბუჩქები რომ გააკაფინა ვალეკოს, მაგათ სუნზე გულს მაზიდებდნო, მერე დაინყო, რაც დაინყო. თითქოს ცხვრის ტყავში იყო გახვეული, მგელმა ხახა გამოაჩინა: ჯერ მაზლსა და მაზლის ცოლს გადაწვდა, უმცროსი შვილი შენა ხარ და აქ რას წამომსხდომიან, ქვეყანა დიდა და თავიანთი გზა მონახონო, მხარეთქობე უყვართ მარტო კოტრიალი, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელიაო; – წარამარა ქმარს უკიჟინებდა მთელი ოჯახის გასაგონად.

მაზლსა და მაზლისცოლზე რომ მოამთავრებდა ჩვილს, დედამთილ-მამამთილს მიადგებოდა ზინა. დედაშენი კარტოფილის გათლაშიც კი არ მეხმარება, მამაშენი კიდევ ტალახიანი ფეხებით ბოსლიდან პირდაპირ სახლში შემოდისო. ამხელა მუცლით მაგათ შვილიშვილს დავატარებ და იოტისოდენა პატივსაც კი არა მცემენო. ღმერთო, რა დავაშავე, ამ გაღლეტილების ოჯახში რომ გამამწესე შენ სამსახურად, ამათ მარტო მოჯამაგირედ და მსახურად ვუნდივარო. – ჭერს ხდიდა თავიანთ საძინებელ ოთახს ზინა და თავზე ბალიშშიფარებულ ქმარს გემრიელ მუჯღუგუნს უთავაზებდა ხოლმე.

რა ექნათ საწყალ გიორგისა და ნაზიკოს, იქით გაგულისებულ შვილსა და რძალს ამშვიდებდნენ, აქეთ კიდევ – ერთმანეთს, მუცლადაა, ჭირვეულობს და გაუვლისო. დუმილითა და იობის მოთმინებით იტანდნენ რძლის სხეულში ჩაბუდებული ეშმაკის დაცხრომას და იმავე სხეულში ჩასახლებული ნანატრი მემკ-

ვიდრის დაბადებას. იქნებ-და რამე შეიცვალოს, დაწყნარდეს, დაჭკვიანდეს და ყურადღებას რომ ბავშვზე გადაიტანს, ჩვენკენ გული მოიბრუნოსო.

მაგრამ გაჩნდა თუ არა გვარისა და ჯიმ-ჯილაგის გამგრძელებელი, ბაბუის სენია პატარა გიგლა, ჩვილის ხმის გაგონებასთან ერთად რძალმა კიდევ უფრო მეტად აიმაღლა ხმა და ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა ოჯახში.

ამის გამო იყო და კიდევ იმის გამოც, ვალეკოს რომ თავისი მეფური სიზმრების თუ ოცნებების ხმამაღლა მოყოლა რომ უყვარდა მეზობლებთან ქალაქიდან დაბრუნებულს, სოფელმა მეფე და დედოფალი შეარქვა ახალგაზრდა ცოლქმარს.

ვალეკოს მშობლებმა, სიბერეში მაინც ხომ დავიმსახურეთ სიმშვიდე და სიტკბოო, ბოლო დღეებსაც ხომ არ ჩავამნარებინებთ ამ აფთარსაო და ერთ მშვენიერ და მზით გაჩახჩახებულ დღეს, მთელი სოფელი რომ ურაკპარაკზე შეყრილიყო და ძვლებს წნათობს აფიცებდა, ვალეკოს პატარა ოჯახი ქუჩაში გამორეკეს, ერთ დიდ ბოხჩაში გამოკრული მთელი მათი ავლა-დიდება გადმოუგდეს და კარები მოუჯახუნეს.

ასე დაადგა ჩვენი მეფე-დედოფალი თავიანთი აღწველებული უფლისწულითა და მცირე ბარგით დედაქალაქისკენ მიმავალ გზას. ფეხები უკან რჩებოდათ და ნაბიჯი ერეოდათ. ზინაც რალაც გაურკვევლობაში იყო და მის დუმილს ხომ სახტად დაეტოვებინა ამ სურათის შემყურე ხალხი. თავდახრილებსა და შერცხვენილებს ხმაგაკმენდილი და სუნთქვა-შეკრული მთელი სოფელი მიაცილებდა მზერით. მხოლოდ მარინას დასთამაშებდა სახეზე იქედნური ღიმილი, – დიდი შურისძიებისთვის ხელს აღარაფერი უშლიდა და მონდომებით არწევდა უკვე საკმაოდ ნამოჩიბულ ბავშვს კალთაში. წინ ბუნდოვანი მომავალი იყო.

მაგრამ ზინა რის ზინა იყო, სულით რომ დაცემულიყო და ფარ-ხმალი დაეყარა. ქალაქშიც გამოიჩინა მისთვის ჩვეული მარიფათი და ჯერ კიდევ ქორწილში ნათესავების ნაჩუქარი ფულით, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში საგულდაგულოდ გადანახული ჰქონდა, ნახევრად სარდაფში მდებარე ბინა იქირავა ერთი ქვანთა ქვრივისაგან, თუმცა ბინაც არ ეთქმებოდა, ბნელი და ნესტიანი ოთახი იყო, ორი სკამი, მაგიდი, ორი სანოლითა და კედელზე ოდნავ დახრილად დაკიდებული გაბზარული სარკით.

ორი დღე მოანდომა ზინამ იატაკში ჩამჯდარი ლაქების მოხეხვას, ფანჯრების პერანგის ნაფლეთით მოპრიალება, მტვრის სქელი ფენის მოსპობას და მთელი ამ დღეებში დაგროვილი შხამის ზღაპრული დრაკონივით ქმარზე ამოფრქვევას.

ზღაპარსა და დრაკონზე გამახსენდა, სწორედ ამ პერიოდში მიეძალა ჩვენი ვალეკო ზღაპრების კითხვას. დიასახლისისგან, რომელიც ზინას ყოველ წამოკვილებაზე უარესად იწყებდა კვირის, ერთხელ თავისი გიგლას მისაძინებლად ზღაპრების წიგნი ითხოვა, როცა ცოლი სამსახურის საძებნელად გაიგულა.

„ჭიჭრაქათი“ დაინყეს, მერე „სნიქარა“ მიაყოლეს, „ხუთკუნჭულა“, „ასფურცულა“. კითხულობდა ვალეკო მარცვალ-მარცვალ სკოლიდან როგორცა და მახსოვრებულ ასოებს და უჩვეულოდ ლამაზ სამყაროში იძირებოდა. ვერც კი შეამჩნია, ბავშვს როდის ჩაეძინა, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, ზინა რომ წამოადგა თავზე და ერთი გემოზე დასჭყვივლა, ადე, შე მინადასაყრელო, აეთრიე, მე სამსახურს ვეძებ და შენ კიდევ მახათს იყრი, იქაო.

ის დღე იყო და ის დღე. როგორც კი ცოლს სამსახურში გაიგულებდა, შემოისვამდა პატარა გიგლას გვერდზე და ზღაპრების წიგნს გადაშლიდა ხოლმე. კაციშვილი ვერ გაარკვევდა, ბავშვს უკითხავდა თუ თავს ირთობდა. ▶▶

სუნთქვა უხშირდება, როცა რომელიმე უფლისწული მზეთუნახავს თვალს მოკრავდა; მოლოდინის განცდა უმძაფრდებოდა და უფრო გულმოდგინედ აგრძელებდა კითხვას, მაგრამ როგორც კი უფლისწული ან მისი რჩეული განსაცდელში ვარდებოდა, ხმა ეცვლებოდა, ნერვიული და მთრთოლვარე უხდებოდა. ხანდახან კითხვის პროცესში ისე შეყვირებდა ხოლმე, რომ ზღაპრის ახლად მოსმენადანწყებულზე ჩაძინებულ ბავშვს შეახტუნებდა და გიგლაც, პირს დააღებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა. მაშინ კი საბოლოოდ ფხიზლდებოდა ვალიკო, გამოდიოდა ამ უჩვეულო სამყაროდან და შვილის მოფერება-დამშვიდებლას უნდებოდა.

ყველაზე სასიამოვნოდ მოსასმენი მაშინ იყო მისი ნაკითხული ზღაპრები, როცა ბოლო აზრებს მიაღებოდა. ბედნიერი დასასრული მის ხმას უჩვეულო ჟღერადობას სძენდა, თავის კანტურითა და თითქოს ნამღერება-ნალიღინებით ამბობდა „ჭირი იქა, ლხინი აქა“.

ქალაქში ცხოვრების მთელი თოთხმეტი წლის მანძილზე ყველაზე მეტად ვალიკოს ზღაპრებიდან მინაზე დაბრუნება უჭირდა. როგორც კი საბოლოოდ გამოფხიზლდებოდა, თვალს გაუსწორებდა თავის არამეფურ, უფრო მეტიც, – მათხოვრულ ყოფას, მზერას მოავლებდა ჩამოხეულშპალერიან, ბნელ ოთახს, ძალიან ითრგუნებოდა და ლოგინზე მიყუჟული უფრო და უფრო პატარავდებოდა, მუხლებში ჩარგავდა თავს და საათობით გაშეშებული საწოლის გადასაფარებელზე გამოსახულ ერთმანეთის გადამკვეთ ფერად ხაზებს ამტერდებოდა, როგორც პატიმარი ციხის გისოსებს.

ზინა კი დიდიდან საღამომდე წელებზე ფეხს იდგამდა, თონეში იყო ჩაყუდებული და პურს აცხობდა. ცოტას ნამდილიად არ უხდიდნენ, მაგრამ ცალკე ოთახის ქირა, ცალკე სურსათ-სანოვაგე, ოჯახის სხვადასხვა ხარჯი და უკან აღარაფერი რჩებოდა ერთი შეხედვით. ოღონდ ეს მხოლოდ თვალის ერთი შევლებით, თორემ ზინა კისერზე დაკიდებულ ქისაში მონდომებით აგროვებდა ნითელ თუმინანებს. ძალიან მოკრძალებულ ვახშამს მიუსხდებოდნენ ხოლმე საღამომით და მაშინაც უქნარა ქმრისთვის ლუკმის დაყვედრებას და ყბების ენერგიულად ქენჯავს ერთმანეთს უთავსებდა დედა-დიასახლისი.

განა ვალიკოს არ უნდოდა მუშაობა, ყელში ჰქონდა ამოსული ცოლის გაუთავებელი საყვედურები, მაგრამ ხელი არ ემართებოდა რატომღაც. როგორც კი ვინმეს მიადგებოდა ვედრებით სავსე თვალებით, კითხვაზე, რა იცი, რა გეხერხებაო, მხრებს რომ აიჩჩავდა, მაშინვე ხელმოცარულს უკან აბრუნებდნენ. მხოლოდ ერთხელ, ზინას ხეუნა-მუდარით საკოლმეურნეო ბაზრის გულგად დანიშნეს, მაგრამ სამუშაოს დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, გამთენიისას, მძინარეს თავს რომ ნამოადგა შესამონმებლად მოსული ბაზრის დირექტორი, ბევრი არც აციეს, არც აცხელეს და სახლში გაისტუმრეს. ცოლმა შავი დღე აყარა, სულ უქნარა და მუქთახორა უძახა, მაგრამ, მეორეს მხრივ, როდესაც გაიზრა, რომ ბავშვი მის დაბრუნებამდე უპატრონოდ არ იქნებოდა, ბედსაც შეეგუა და მის კმაცოფაზე მყოფ ქმარსაც.

გიგლა რომ სკოლაში მიიყვანეს, არც მერე შეუნყვეტია კითხვა ვალიკოს. უცხოური ზღაპრების რამდენიმე კრებულშიც გადაიკითხა. ახლა უფრო ფრთაგამლილი ნავარდობდა თავის გამოგონილ სამყაროში, ხელს არავინ უშლიდა კითხვასა და ოცნებაში, ოღონდ ეგ იყო, უფრო და უფრო უჭირდა უკან გამოღწევა. ნიგნებში რომ შეიკეტავდა კარს, გამოსაბრუნებლად უკვე ლაბირინთების გამოვლა ჭირდებოდა, ლაბირინთის გამოსასვლელში კი სამუშაოდან დაბრუნებული დაღლილ-დაქანცული და გამწარებული ზინა აესვეტებოდა მინოტავრის სახით.

მინოტავრი მითოლოგიის ყდამოხეული ნიგნიდან დაიმასსოვრა, თორემ სოფელში ხომ ვერ მოისმენდა ლაბირინთის ცნობილ მითს. მაგრამ ეს მითები დიდად არ ეპიტნავა, უფრო სწორად ასეთი სიკეთის მატარებელ ქრისტიან კაცს მიუღებლად მიაჩნდა ამდენი აღვირახსნილობა, ამდენი სიბილნე და ინტრიგა, პარნასის ღმერთები თუ გმირები რომ სჩადიდონენ. მე ღმერთი ერთი ვიცი, წმინდა სამება, ჩვენი მფარველი და შემწე, ამდენი და ესეთი უნამუსოები, ეს რა უბედურებააო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მალე ბერძნული მითების კრებული განაწყენებული და უკმაყოფილო სახით სამუდამოდ დაუბრუნა დიასახლისს და რაკი ყველა ზღაპრის კრებული ასგზის გადაკითხულ-გადამღერებული ჰქონდა, მრავალფეროვნებისთვის ერთი-ორი სხვა ნიგნი წამოიღო.

პირველად ვიღაც რუსის ნაცოდვილარი სქელტანინანი ნიგნი ჩამოუვარდა ხელში, მაგრამ მხოლოდ იქამდე შეძლო ნაკითხვა, ეს უნამუსო და სინდისგარეცხილი სტუდენტი, რომელიც რაღაც აბდა-უბდას ფიქრობდა და მსჯელობდა, საბრალო და დაუცველ დედაბერს თავს რომ დაესხა და ასე ცივისსხლიანად გამოასალმა სიცოცხლეს. ცხარე ცრემლით გამოიტირა ბუბური მევახშე და ნიგნი კიდევ უფრო მოლუშული სახით დაუბრუნა პატრონს.

მერე ერთი დეტექტივი შერჩა ხელში. არც ეს ნიგნი იყო იმ ლამაზ სამყაროსთან ოდნავ ახლოსაც კი, რომელშიც ბოლო ორი-სამი წელი მოგზაურობდა. თითქოს მთელი ქვეყანა შეშლილიყო, აღარაფერი წმინდა აღარ არსებობდა და სულელები ჯოჯოხეთის მეუფისთვის მიეყიდათ. ყველა დანაშაულს ჩადიოდა და ეს გამოძიებლები კი ისე ცივისსხლიანად იჭერდნენ დანაშაულებს, მათი საკნის კარის გამოკეტვისას ხელიც კი არ აუკანკალდებოდათ.

ეს იყო და ეს. ხალხური ზღაპრების გარდა სხვა აღარაფერი გადაუშლია ცხოვრებაში. ამ სასტიკი ნიგნების უარყოფასთან ერთად უარყო ის სამყარო, მათში რომ იყო აღწერილი, მოძალადე და მატყუარა პერსონაჟები, ხანდახან ღამით რომ ესიზმრებოდნენ და ოფლად დაღვრილი, შემინებული და აკანკალებული რომ იღვიძებდა.

გაღვიძებაზე გამახსენდა, ასეთ დროს მძინარე ზინას მიეხუტებოდა და ზინაც რის ქალი იქნებოდა, ძილდამფრთხალზე ასეთი შანსი გაეშვა ხელიდან, მუცელზე თითებით მიუხუტუნებდა ან ხელს მოუფათურებდა ერთ-ორ ადგილას ურჩხულებისგან დევენილ მეფეს, რომელსაც ხორცი და ადამიანური ბუნება ასეთ წუთებში თავს ახსენებდა და სასონარკვეთილი დევენილიც დედოფლის სასიყვარულო სარეცელზე ჰპოვებდა შვებას, სიზმრებში ვერდამარცხებული ბოროტი არსებების ჯავრს მის მკლავებზე მისვენებული მზეთუნახავის დამარცხება-აღერსით იყრიდა.

ამის გამო იყო, ზინა რომ ინახავდა და ზურგს უკან კარს არ უჯახუნებდა. სხვა სამყაროში გაქედდოდა და ცოლ-ქმრულ მოვალეობებდავინყებულ ვალიკოს იშვიათად მაინც თავის მკერდზე მიხუტებულს რომ დაიგულებდა, დრაკონის ფრთებს შლიდა და იმდენი ხნით შემოხვევდა, ვალიკო ნახევარი ზღაპრების ნიგნის გადაკითხვას რომ მოასწრებდა ამ დროში.

ძილგატეხილი ღამეების მერე ზინა უცნაურად იქცეოდა საუზმობისას: პურის ყველაზე დიდ ნაჭერს ვალიკოს დაუდებდა თევშზე და ჩაისაც იმ დიდ ჭიქაში უსხამდა, საიდანაც ჩვეულებრივ თვითონ სვამდა. მაგრამ რად გინდა, საღამოზე შინ დაბრუნებული ისევ ხეშეცვლილი ალქაჯი ხდებოდა.

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

თარგმანი

გერჰარდ ბლირსბახი

ფსიქიატრიის თანხმად რა კინოსთან

ავტორებს სურთ, რომ ფსიქიკური აშლილობები ფილმების მეშვეობით თვალსაჩინო გახადონ. მათ ფსიქიატრიულ დიაგნოზებს მიყვავართ ფილმების ტრივიალურ დიაგნოსტიკებსა.

ფილმები „არის ეფექტური შუამავალი ფსიქოლოგიით, სოციალური პედაგოგიკით, მედიცინით, ლიტერატურითა და მედია-მეცნიერებებით დაინტერესებულთათვის, რათა მათ ფსიქოპათოლოგიის შესწავლა გაუადვილდეთ. ფსიქიკური აშლილობისას პაციენტებს ძალზე ეხმარება ფილმები ინსპირირებასა და ჯადოსნურ სამყაროში მოხვედრაში“, – წერს თავის წინასიტყვაობაში სამი ჩრდილოამერიკელი ფსიქოთერაპევტი.

ინტერნაციონალური კინოპროდუქციის 1500 საუკეთესო ფილმი (რომელთაც ევროპული კინოინდუსტრია ითვალისწინებს) სამმა ავტორმა გადაამუშავა. სულიერი აშლილობები ჩრდილოამერიკული ფსიქიატრიული გაერთიანების დიაგნოსტიკური კლასიფიკაციის დახმარებით DSM-IV-TR-ში დაახარისხეს; ეს უკანასკნელი არის ინსტრუმენტი იმის გასარკვევად, თუ როგორ ვლინდება აღწერილი აშლილობანი.

მაგალითისთვის მოვიშველიოთ სამი ავტორის ფსიქიატრიული დიაგნოზი (ავტორები ცდილობენ, გამოამჟღავნონ ამ აშლილობების იდენტურობა), ალფრედ ჰიჩკოკის „ფსიხო“ (1960 წ.) და მისი მთავარი გმირი ნორმან ბატისი (პროტაგონისტის როლს ასრულებს ენტონი ჰოპკინსი). დისოციაციური აშლილობა ახდენს მოუსვენრობის ცვლილების დიაგნოსტიკას, ოღონდ არა ინტეგრირებული ფსიქიკური დამოკიდებულებისა. ნორმან ბატისი, როგორც ჩვენ ვიგებთ ფსიქიატრისგან ფილმის დასასრულს, იყო ახალგაზრდა კაცი, მას ჰქონდა გაორება დედასთან. როგორ გახდა ის მკვლელი? ამ კითხვაზე პასუხი დისოციაციურ აშლილობას არ აქვს. ამასთანავე, ჰიჩკოკს არ აინტერესებდა თავისი პროტაგონისტის პათოლოგიის დიფერენცირებული წარმოსახვა. ასე წარმოჩნდა კინოგანვითარებაში „ფსიხო“ თავისი ინფორმაციულობითა და თამაშით. ის, როგორც ლაბილური, შერყეული და დაქანცული, გათავისუფლდა შექმნილი შეპყრობილობისაგან. „ფსიხო“ არის ალფრედ ჰიჩკოკის მსოფლმხედველობის გამოხატულება. ის მხოლოდ ფილმი კი არ არის, არამედ ზუსტი მიგნება მკვლელის პათოლოგიის გამოვლენისა. ჰიჩკოკის ტრილერი არის ტიპური მაგალითი ავტორების წინსვლისა, რომელნიც თავიანთ ფსიქიატრიულ დიაგნოზებს კინოფიგურებში „დებენ“ და რომლებსაც მრავალი

სახასიათო ფილმი თავიდან იცილებს. და ასე - ფილმები და დიაგნოზები ტრივიალურდებიან. შემდეგი მაგალითი: ფრენკ აბაგნალეს (ლენარდო დიკაპერიო) ანტისოციალური პერსონალური აშლილობა აქვს; ეს დაავადება ავტორებმა შესანიშნავად წარმოადგინეს სტივენ სპილბერგის ფილმიდან („Catch Me If You Can (2002)“ – „დამიჭირე, თუ შეგიძლია“) გამომდინარე. აღნიშნულის გადმოცემა არ იყო რთული, ვინაიდან პროტაგონისტი თავისი თაღლითობის წყალობით ამის კომპენსირებას ადვილად ახდენს. დევიდ კრონენბერგის „ობობა“ (2002) ახასიათებს მას, როცა საუბრობს „შიზოფრენიის დიაგნოსტიკური ტიპის წარმოდგენაზე“. ეს არ არის შეცდომა, თუმცა აღნიშნული უთუოდ საჭიროებს დაზუსტებას. ვინაიდან ფილმი უკიდურესად დამაბნეველი ექსპერიმენტი. კინომწარმოებლები დენის კლეის (რალფ ფაინსი) ქაოტურ, ფსიქიკურ სამყაროს შემოსაზღვრავენ ისე, რომ იქიდან არავითარი გამოსავალი აღარ რჩება.

ფსიქიატრიული კლასიფიკაცია და ფილმისმიერი გადმოცემა განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს: დიაგნოზი დებს გაურკვეველ მიჯნას ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის, აფუძნებს მათს წესრიგს და ასუსტებს სინამდვილის კომპლექსებს; ამ მხრივ, კინო-ხელოვნება მოიცავს ფილმის ფიგურების თანხვედრასა და კინომწარმოებლების იმ ურთიერთგანსხვავებულ გამოცდილებას, რომლებიც მსოფლიოში ასეთ კონტაქტებს მოაქვს; ამიტომაც სინამდვილეზე საკუთარი შეხედულება არამდგრადი და დამაბნეველი ხდება. ფილმისმიერი „მოთხრობა“ მალდდება კომპლექსებზე; ავტორები არ ხედავენ ამ წინააღმდეგობებს. მათს ლექსიკურად ორიენტირებულ ამბიციურ სამუშაოში ჭარბობს ფილმები, რომლებშიც მეტია დიაგნოსტიკური ილუზიები. კინოფილმების წინასწარ მოუმზადებელი პრეზენტაცია დიაგნოსტიკური სამუშაო მატერიებით (როგორც ჩავარდნილი სემინარი) რეგისტრირდება ფსიქიატრიულ რევევანტურ ფორმად. ეს ძალზე მცირეა, სულიერ დაავადებებს უკეთ რომ ჩავწვდეთ და კინო, როგორც გზა დამოუკიდებელი გამოცდილებისა და თვითგანვითარებისა, შევიცნოთ.

დაიბეჭდა გერმანულ ჟურნალში „ფსიქოლოგია დღეს“, 2012 წ-ის თებერვლის ნომერში; გერმანულიდან თარგმნა

მარი სიმონიშვილი



ვაის ეყრილი და ყის ძეყრილი ჯაყის ჩანანქიჭი

მართალი ყოფილა ის კაცი, ვინც პირველმა შენიშნა: „ეჰ, ეს ქვეყანა უოცნებოდ რა ლარბია“-ო! შარლ ბოდლერი

კი, ჩემო ბატონო! ჩემი ქვეყანაც, ჩემი საქართველოც ოცნებით არის განთქმული. ეს ასეა და ასე რომაა, იმიტაც საბუთებზე, რომ შემოვიტანეთ და დავამკვიდრეთ ცნება – „ქართული ოცნება“. უფრო მეტიც! – ამ ცნებით სახელდებული მთელი სახელი-სუფლებო კოალიციაც კი შევქმენით!

ვიხაროდენ, ქართველნო! ამიერიდან ოცნება სახელმწიფოებრივად დაკანონებული. ეს სულაც არ არის გასაკვირი და გასაოცარი. ყოველი ადამიანის დასაბამითი ბუნება ოცნება იყო, მით უფრო, ქართველთათვის და თანაც ყველაფერში!..

მეც, ამ სტრიქონების ავტორი, ქართველი ვახლავართ და, რა გასაკვირია, მე-ოცნებე ვიყო? ვინ იცის, რაზე არ მოიცნებია მოცალეობის ჟამს. ღვთის წყალობით, ეს ჟამი „კვერცხიდან“ ან ილიონის დაქვევნიდან თუ არა, საბჭოეთის „ღიადი“ სახელმწიფოს იავარქმინდან მანც გვიდგას.

სხვა თუ არაფერი, ჩემო ბატონო, კაცი ოცნებაში მანც არის ქვემარტად თავისუფალი.

აქ სრულად ფრთაშესხმულ-ფრთაგამლილნი ვართ, მიდი და ინარჩუნე! ამიტომ სახტად ნუ დარჩებით, ოცნებათა ზღვაში მრავალ პროფესიაზეც თუ მოიცნებია: ასტრონავტობაზე, მეზღაურობაზე, მრგვალი მაგიდის რაინდობაზე, გრაალის თასის დაუფლებაზეც კი, მაგრამ... არამც და არამც, სოციალური სამსახურის აგენტობაზე.

არადა, ყველაფერი უბრალოდ და მარტივად მოხდა.

ერთ მშვენიერ დღეს თანაკლასელი შემხვდა. ვისაუბრეთ აქეთურზე, იქითურზე და ბოლოს მის საქმიანობაზე შეგჩერდით. ბედისწერისა დიდად არასოდეს მჯეროდა, მაგრამ სოცმუშაკის საქმიანობაზე საუბარი ნამდვილ ბედისწერად მექცა.

გამოგიტყდებით და, ბუნებით კომუნიკაბელური გახლავართ, ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობა ყოველთვის მიტაცებდა. ამიტომ სოციალურ სფეროში მოღვაწე ჩემს თანაკლასელს ადვილად დავთანხმდი ამ სექტორში მუშაობაზე, მითუმეტეს, უმუშევართა მილიონიანი არმიის ოფიცერთა შემადგენლობის თუ არა, ერთი რიგითი ჯარისკაცი მეც ვიყავი.

დიდებულად გავიარე გასაუბრება, უნარჩვევებიც ნარმატებით ჩავაბარე და, ტვინის წყლელა კი დამჭირდა, მაგრამ გავხდი სოცსამსახურის მუშაკი. სამუშაო არ იყო რთული: უნდა მეპოვნა და დამედგინა სოციალურად დაუცველი ოჯახები (მე შენ გეტყვი და, რა საპოვნ-დასადგენი ეგ იყო?!), აღმენერა მათი მდგომარეობა და მთელი მონაცემები ანკეტებში შემეტანა.

კითხვარებს ოჯახთა თითოეულ წევრს ვურიგებდი. შევსებულ ანკეტებს ჩემი მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსს ვაბარებდი. იქიდან ყველა საბუთი დედაქალაქში, სამინისტროში იგზავნებოდა, სადაც ჩვენს მიერ ნარდგენილი ცნობების მიხედვით, ინერებოდა ქულები და შეჯამების შემდეგ გადაწყდებოდა, ვის უნდა მინიჭებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსი და ვის უნდა განეოდა დახმარება.

როგორც კი გავაცნობიერე, რომ ოჯახთა ბედი დიდად იყო დამოკიდებული აგენ-

ტის პოზიციაზე, სულო ცოდვილო, ცოტა არ იყოს... მაგრამ... არ მინდა ამაზე ლაპარაკი!..

ჩემთვის რომ გეკითხათ, მთელი ჩემი სანათესაო, სამეზობლო და სანაცნობო, ჩემს მიერ აღწერილ ყოველ ოჯახთან ერთად ქვემარტად იმსახურებდა სოციალურად დაუცველის სტატუსს და საჭიროება დახმარებას.

განვაგრძე კარდაკარ, ოჯახიდან ოჯახში სიარული აისიდან დაისამდე, დღისით და მზისით... მე შენ გეტყვი და, დიოგენეს ლამპარი დამჭირდებოდა თუ რა ლატაკთა, ბოგანოთა, უპატრონოთა და უპოვართა საპოვნელად?

სამოქმედოდ გავსვლი ნინა ლამე ყამირივით გავტყვებ, – ვეძებდი ყველა იმ სიტყვას, რომელიც მინაარსობრივად (სემანტიკურად) ზედმიწევნით მიესადაგებოდა ჩემს საკვლევ პირებს.

ღმერთო, დიდებულო, სინონიმთა რა მდიდარი ლექსიკური ფონდი გიბოძებია ჩვენთვის: უფულო, უპურო, უქონელი, უპოვარი, უჭერო, უხამლო, უსახსრო, უგროშაკაპიკო, უფუფელო, უნუგეშო, უსიხარულო, უჯანო, უილაჯო, უშენო, უჭმელო, უსმელო, უსუსური, უსვეო, უსავანო, უსანათო, უსასო...
და... უსასრულობაში მიმავალი სილატაკის უსასრულობა არათუ სინონიმთა, არამედ ადამიანთა, ოჯახთა, სოციალურ ფენათა, რომელთაც ზედმიწევნით ესადაგებოდა თავსართი „უ“!..

გამოგიტყდებით და, თავიდანვე ლოიალურად განვეწყე საკვლევ „პერსონებსა“ და ოჯახების მიმართ. გადაწყვიტე, რიგ შემთხვევებში ზოგიერთ „იმაზე“, რაც უარყოფითად იმოქმედებდა სოციალურად შეჭირვებულის სტატუსის მინიჭებაზე, თვალს დამეხუჭა. რა თქმა უნდა, ეს ჩემს სამსახურებრივ კარიერას საფრთხეს შეუქმნიდა. სიმართლე გითხრათ, თავიდან ამის გამო ერთგვარ სინდისის ქენჯნასაც კი განვიცდიდი, მაგრამ იცოცხლეთ, ამგვარი რამ პირველივე ნაბიჯებიდანვე გამიქრა, უპოვართა ოკეანეში აფრავამილი ნავივით მივინახობდი.

სადაც სამუშაოში ჩართულმა, ვერც კი შევნიშნე, როგორ გამიჩნდა ახალი შიში. ისტორიას გამეორებები უყვარსო! ჰოდა, ხომ შეიძლება ახალი ჟაკერია განმეორებულყო? ოდესღაც, ექვსას ორმოცდაათი წლის წინ, სადაც, საფრანგეთში მომხდარი უნიფხოთა აჯანყება აქ, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოშიც განმეორებულყო? მე შენ გეტყვი და, ამის ნიადაგი არ არსებობდა თუ რა?! ქვეყანაში გაჭირვების პანდემია მძვინვარებს, ერთ დროს ღირსებით აღსავსე, რაინდული სულის, თავმოყვარე ერი სრულად გამათხოვრებულა. ამ შიშს მეორე შიშიც დაერთო – როგორ, ამდენ „უ“-იანებში ერთი-ორი უ-ჭირო და უ-დარდელი ვერ აღმოვაჩინე. ესეც ხათაბადად უნდა მექცეოდა. გადავწყვიტე, ცოტა სიმკაცრეც გამომიჩინა საკვლევ ოჯახთა მიმართ. სწორედ ამგვარი საბრძოლო განწყობით მივადგი ვალერიან ცაავას ოჯახს. დასაწყისში ყველაფერი ისე ჩანდა, რომ ამ ოჯახს მიუკერძოებლადაც უნდა მიკუთვნებოდა „უპოვარის“ სტატუსი, მაგრამ ერთმა მრეშა, გაზიზინებულმა და ვეება, გატიკნილ(ცურინანმა ძროხამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ვერ გამაბრიყვეს. ცაავების ოჯახის ანკეტა ისე შევავსე, მამაპაციეროც რომ ჩარეულიყო, გაჭირვებულთა სტატუსს ვერ მიიღებდნენ.

სინდისდამშვიდებულმა დავტოვე ცაავები და, ვინ იცის, როდემდე გავრძელდებოდა ჩემი საქმიანობის აღმასვლა, რომ არა ის საბედისწერო დღე, როცა სამსახურის ხელმძღვანელმა თავისთან გამომიძახა.

– ნარაზენი შენი უბანია?! – მკითხა უფროსმა კაბინეტში შესვლისთანავე. არ მომეწონა მისი ხმის სიმკაცრე. გულმა რეჩხი მიყო. დიახ-მეთქი, ვუპასუხე მიმით და ცუდი ამბის მოლოდინში გავირინდე.

– რამდენი ოჯახი გყავს ამ უბანში? – კვლავ მკითხა უფროსმა ისე, რომ კომპიუტერისთვის მზერა არ მოუშორებია.

– სამოცდაჩვიდმეტი!

– სამოცდაჩვიდმეტივე სოციალურად დაუცველია, ხომ?! – უფროსმა ახლა კი მოაშორა თვალი კომპიუტერს და ცალ-

ნარბაზიდულმა ირიბად გადმოხმედა.

– კი ბატონო!.. სწორედ მასეა...

– ვალერიან ცაავას ოჯახი თუა მაგ სიამი?

– არა, ბატონო შალვა! მას ორმოცდაცხრამეტი ათასი ქულა გამოუვიდა და ამიტომ ვერ მოხვდა სოციალურად დაუცველთა სიაში! – ვუპასუხე უფროსს და იმავე წამს ცაავების მრეშა ძროხა დამიდგა თვალწინ, სწორედ ის სურათი, საღამოს პირზე, როცა მათთან ვიყავი მისული აღსანერად, დიასახლისი ოჯახის მარჩენალს გაქაფიებული რომ წველიდა, ოჯახის მამას კი რძისკენ გაჩინაჩეხული ანგელოზი ეჭირა ხელში.

– ერთი აქეთ მობრძანდი, აბა! – უსიამო მოგონებიდან გამომიყვანა ბატონმა შალვამ. ილაჯგანყვეტილი მივუახლოვდი. – რატომ ვერ მოხვდა ცაავას ოჯახი დაუცველებში?

– ძროხა ჰყავთ, ბატონო, მაგათ, ავთვალს არ დაენახებია... მართალია ჰოლანდიური ჟიშის არ გახლავთ, მაგრამ არც არაფრით ჩამოუვარდება, მენველია... ინველის, ალბათ, ასე ოც ლიტრამდე. ოლონდ ყველი, არ ვიცი, როგორი ამოდის, მაგრამ, ფეიქროს, ურიგო არც ყველი უნდა ჰქონდეთ, შევნიშნე რძის სიბლანტე და ცხიმოვანობა...

– ჰოლანდიურს არ ჩამოუვარდება... ოც ლიტრამდე ცხიმოვანი რძე... ასე, ხომ?! – ავისმომანსაველებელი ღიმი ეფინა უფროსის სახეზე.

– დიახ, ასეა ბატონო! – ენაბრგვილივით ნავილულულდე.

– კარგად დააკვირდი ამ კადრებს! რა არიან, მანც, ეს ჟურნალისტები?!

კომპიუტერს მივაშტერდი. ვილაც სათვალნიანი კაცი ლაპარაკობდა. მონიტორზე წარწერაც გაჩნდა: რუბენ ქობალია (მეზობელი).

– ვინ არის ეს კაცი და ვისი მეზობელია, უფროსო?

– ვინ არის და ვალერიან ცაავას მეზობელი!.. აბა, ერთი კარგად მოუსმინე! – ხმამაღლა, მკაცრად მიბრძანა უფროსმა. ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ ბრძანებისამებრ ყურადღებდა ვიქეცი:

„წვითან ამინდში ხშირად ღამის 3 საათზე ნამომიყვანია მთელი ოჯახი ჩემთან სახლში. – ყველბა ვალერიანის მეზობელი. – მათ სახლს სახურავი და-ზიანებული აქვს, წვიმა ჩამოსდით. ღამის საუკუნოვანი სახლია. სახურავი გამოსაცვლელია, მაგრამ ამის საშუალება აღარა აქვთ. გაჭირვებული ოჯახია. ქმარი ავადმყოფობს, მეუღლე მცირეწლოვანის მოვლას უნდება... ორი წლის ბავშვის პატრონი სხვა რამის გაკეთებას როგორ შეძლებს?..“


– ძროხა ჰყავთ, ბატონო შალვა, მაგათ!.. გაზიზინებული მრეშა... მეწე...

– გაჩუმდი და მოუსმინე! – მკაცრად შემანყვეტინა უფროსმა. რა გზა მქონდა, მორჩილად განვაგრძე რუბენის მონათხრობის მოსმენა.

„...ჩემგან რძე მიჰქონდათ პატარისთვის... ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მერე აღარ მოსულან. ჩემი მეუღლე ამ ამბით შენუხებულა. მიდგომია ცაავების ოჯახის დიასახლისის და უკითხავს, რატომ არ მოდიხარ რძის სასაღებლო? ჩემს მეუღლზე უფრო შენუხებულ მეზობლის ქალს უთქვამს: რა კენა, მომერიდა ყოველდღე თქვენთან წონილი და რძის გამორთმევაო.“

ცოლმა ეს ამბავი რომ გამანდო, დავთბირდით და გადავწყვიტეთ – ძროხა გაჭირვებული მეზობლისთვის გვეთხოვებინა. ასეც მოვიქეცი. განათხოვრებული ძროხა დღისით ჩვენს სხვა საქონელთან ერთად დადის საბალახოდ და ჩვენ ვუვლით, საღამოს კი მათთან ვუშვებთ, რათა დილა-საღამოს გამოწველონ... სხვა?.. სხვა კიდევ რაღა ვითხრათ, – ამითვე გაჭირვებული ოჯახი არც მინახავს და არც გამოგონია სადმე. მაგათ თუ არა, სხვას ვის უნდა ეკუთვნოდეს დახმარება?“

თქვენს მტერს, რაც მე დღემი ჩავვარდი. გაოგნებული, გახევებული ვიდექი. ცაავების ოჯახში კი მითხრეს, ეს ძროხა ნათხოვარიო, მაგრამ სოცმუშაკი კი



ზურაბ ქობალია

არა, ამგვარ ზღაპარ-ექიათებს ღლაპებიც აღარ იჯერებენ, მე როგორ დამეჯერებინა? ანდა, ამ ნაუცბათევედ შეთხზულ არაკს ჩემი უფროსი თუ დამიჯერებდა? როგორ მერწმუნა ამ გამოცდილ მუშაკს ასე ჰაიჰარად თუ გააცუცურაქებდნენ?..

– ჰა, რას იტყვი, ნუგზარ ჩემო? უფროსის ირონიულად ნათქვამმა გამომაფხიზლა.

– რა ვთქვა, ბატონო შალვა?! თქვენ გჯერათ ახლა ამ კაცის ზღაპრების? – პირდაპირ, გულახდილად გავახმინე ჩემი ფიქრები. – მსოფლიოში ვერ მომიძებნით თუნდაც ერთ ისეთ სოცმუშაკს, ვინც ამ ამბავს ირწმუნებს. ჰოდა, მეც რატომ უნდა დაიჯერო ეს მტკნარი სიცრუე და ნაბორღიშალი?

– დაიჯერებ თუ არ დაიჯერებ, ეგ შენი ნებაა, მაგრამ ერთ დასაჯერებელ და ჭკუისსასწავლ ამბავს ახლა ნამდვილად გეტყვი. შე კაი კაცი, ცაავების მონაყოლი თუ არ დაიჯერებ, გაგვიკითხა, ჩვენში მანც გაგვიკითხა! მე თუ არა, აგერ, გამოცდილი, პერსპექტიული მუშაკისთვის, ბატონი კარლოსთვის მანც მოგესმინა?

– რა ვიცი, აბა, რას წარმოვიდგენდი, – უფრო ჩემთვის ჩავილულულდე, ვიდრე მათ გასაგონდა.

– რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ? – თქვა უფროსმა. – მე, რა თქმა უნდა, საყვედური სამინისტროდან... – შლვამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მოადგილეს, ბატონ კარლოს, რომელიც ჩემ-ჩემად უფროსობაზე ჩალიჩობდა და დადარაჯებული იყო, როგორმე ხელსაყრელი მდგომარეობა არ გამოპარვოდა და შლვასთვის კვანტი გამოედო. – შენ კი, ჩემო ძვირფასო, ნუგზარ, უსაყვედუროდ უნდა გაგიშვა!

– როგორ, მათავისუფლებთ? – გავიკვირვე და ცხოვრებაში პირველად უფროსს თვალი გაუფსწოვე.

– დიახ, ასეა... გათავისუფლებთ, მაგრამ უსაყვედუროდ, მეტი რაღა გინდა?

– შარშან, ბატონო შალვა, – გავებდე შეკამათება, – ასეთივე შემთხვევა გვექონდა კალანდიებთან და, ძროხა რომ არ შევიყვანე კითხვარში, იმაზე გამოიძიანეთ საყვედური. ახლა კი შეყვანის გამო მათავისუფლებთ?


– მართალი ხარ, ჩემო ნუგზარ, – დამიყვავა შლვამ, – მაგრამ ის შარშან იყო, წელს კი ყველაფერი შეტრიალდა. ახლა მთავრობაც შეიცვალა და დროც. ახლა სხვა მოთხოვნებია. ყველაფერს საღი, ფხიზელი თვლით უნდა შეხედო, გაარჩიო უნდა სხვისი ძროხა საკუთარისგან. თავისუფალი ხართ!..

გამოვედი ამჟავებული. ჩემს ოთახში შევედი. კოლეგებს ვუამბე ყოველივე, რაც გადამხდა. მათ უკვე მოესწროთ ინტერნეტში იმ სიუჟეტის ნახვა და თანაგრძობით მიზერდნენ მხოლოდ, სხვა რაღა შეეძლოთ.

მერე ჩემს ან ყოფილ მაგიდას მივუჯექი. ორი განცხადება დავწერე. ერთი გათავისუფლების თაობაზე, მეორე – სოციალურად დაუცველთა სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის სახელზე: ჩემთვის უნიფხოთა სტატუსის მონიჭებას ვთხოვდი...

ასე დავასრულე სოცმუშაკის ხუთწლიანი საქმიანობა.

ხვალ კი ვალერიან ცაავას მეზობელს – რუბენ ქობალიას უნდა მივადგე, იქნება, კიდევ დარჩა გასანათხოვრებელი ძროხა და მოიღოს მონყალევა, ვიდრე მათხოვრის ოფიციალურ სტატუსს მომანიჭებდნენ, ერთი მენველი რომ მათხოვოს... მეც ხომ შვილები მყავს დასაზრდელი! ■



ქვირფასო თამაზ!

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენამ. მე პადაგოგი ვარ – პროფესიით ბიოლოგი, მაგრამ, ლიტერატურაზე უსაზღვროდ შეყვარებულს, ყოველთვის მომწონდა და მახარებდა თქვენი გაზეთული და მართალი სიტყვა, რომელსაც ეროვნული მუხტი, უდიდესი ენერჯია შემოჰქონდა ჩემში. ვწუხდი, რომ ვერაფერს გმელოდით და ძალა არ შემწევდა, წვლილი შემეტანა გაზეთის აღდგენაში.

ახლა უზომოდ გახარებული ვარ. ფოთში ჯიხურებთან მისვლას ვერავინ დამასწრებდა, რადგან ამ გაზეთებზე ყოველთვის „ტაციობა“ იყო. ეს სასიხარულო ამბავი გვიან გავიგე. იმედია, ფოთის ჯიხურებშიც ჩამოაღწევს სანუკვარი გაზეთი. მას ცოტა მკითხველი როდი ეყოლება. სკოლებში გაზეთზე ხელმოწერებიც იქნება.

ვულოცავ მთელ შემოქმედებით კოლექტივს გაზეთის მკვდრებით აღდგომას. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს,

დიდხანს სიცოცხლეს, ბოროტებასთან ბრძოლის დაუკლებელ ჟინს. თქვენისთანა მამულიშვილების იმედი ვცოცხლობთ, რადგან:

„თქვენ სიყვარულმა შეგყარათ თქვენი მთისა და მდელისი, ფიცვერცხლნაჭამი ხალხი ხართ, ერთგული საქართველოსი“.


გიერთდებით სიხარულით. დიდი კრძაღვითა და რიდიტ გიგზავნიტ ჩემს რამდენიმე ლექსს – იქნებ, დასაბეჭდად გამოგადგეთ, რაც უდიდეს ბედნიერებას მომანიჭებს (ესეც ჩემი სიყვარის მეგობარმა პოეტმა ემზარ კვიციანიშვილმა გამაბედინა).

პატივისცემითა და უდიდესი სიყვარულით, მარად თქვენი მკითხველი და მოსიყვარულე

ლუიზა ჩხეტიანი

ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი

ბიორბი თელთი



დილა მშვიდობისა

დილა მშვიდობისა, წყაროვ მოჩუხჩუხევე, დილა მშვიდობისა, ჩქერო, დილა მშვიდობისა, ცაში აზიდულნო მარად თოვლიანო მთებო.

დილა მშვიდობისა, მზეო პირნათელო, დილა მშვიდობისა, ხალხნო, დილა მშვიდობისა, მარად სანატრელო, ტურფა საქართველო, ჩემო.

● ტაძრის კარები შევალე ჩუმად და იდუმალში აღმოვჩნდი უმაღ.

სანთელი იწვის ხატების ძირში, შენს სახეს ვლანდავ ალის აჩრდილში.

და ჩავიმუხლე საკურთხეველის წინ, მე შენს მაგიერ ვილოცე შენ წილ.

ვუყურებ ხატებს, რად არა გვერა, შენ გგავს სუყველა, ნუთუ არ გვერა?

ვიყავ ძლიერი და დამიმონე, სულის ძახილი ვერ გაგაგონე.

ახლა დავდივარ, დავეხეტები... თუ დაგინახე, აგედევნები.

მე თან დამყვება შენი ხატება, სად ხარ ნეტავი... რა გემართება?

● ციდა-ციდა, გოჯა-გოჯა, მტკაველ-მტკაველ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ლახვარს გცემენ საქართველოვ, ყოველივე ამ გულს ჯაბნის.

არც ცისკარი ნამიანი, და არც დილა ნისლიანი, აღარც მზე და აღარც მთვარე, ღმერთო ჩემო, არ მახარებს.

აირია ყოველივე, ქალი-კაცი, დიდ-პატარა, ჩემო ტურფა საქართველოვ, გეზი საით აგიღია?

განა მარტო გოჯა-გოჯა? განა მარტო ციდა-ციდა? უცხო ტომზე, საქართველოვ, იყიდება შენი მიწა.

ლახვარს გცემენ, საქართველოვ, ყოველივე ამ გულს ჯაბნის, და რუკაზე ვილაც ბილწი საქართველოს გულ-მკერდს ჯღაბნის.

დალი

უშბას სევდის მოსწოლია ნისლი, წარბშეკრული დგას შხარა და შხელდა, ენგურს იქით ბლავილი რომ ისმის, მშობიარობს ამირანის დედა.

ავქარს აპყვა ნამქერი და ფიფქი, საჯიხვეებს კლდით რომ უჩენს ბზარებს, თეთნულდს თრგუნავს ნისლიანი ფიქრი, შიშით გული გახეთქვიათ ზვავებს.

სადღაც ჩრდილი რომ დალანდა შორით, ჯიხვი დაფრთხა მონადირის ჩქამით. გაისროლა კლდეზე ერთი-ორი და კივილმა შეაჩერა წამით.

დაეკიდა ჯიხვი ქარაფს რქებით, ნათოვარ კლდეს ბურღავს სისხლის წვიმა, მონადირე გარბის, ცვივა ქვები, სდევს ქალის ხმას, შემზარავს და მყიფიანს.

კლდეში იქვა მზის სადარი ქალი ოქროსფერი დალალებით მკერდზე, მონადირეს მზემ ვერ მოსჭრა თვალი სილამაზე დედოფლობდა მზეზე.

ელვარებდა ოქროს დალალები, ასე უღვთოდ რომ შეეჭრა ბოროტს. როგორც მუსრავს იქ პირბასრი ცელი ნამიან ველს სათიბების ბოლოს.

ოი! შხარა, ეგ კივილი მზარავს, კავკასიონს ბურავს მწუხრის ნისლი, ჯიხვი ისევ გადაეშვა ქარაფს, ენგურს იქით კივილი რომ ისმის.

ჭიუხებში ჯიხვი ნახტომს ბედავს, დალალები მზეზე ელავს უღვთოდ, მშობიარობს ამირანის დედა და საშველად მონადირეს უხმობს.

ფოთილეგი ჩარბალში

შენი ჭირიმე, ჩარბალო! ნაქებო ვაჟას ენითა, ფაზისს რომ ფეხი დავკარი ჩამოველ ფრენა ფრენითა.

მოვიჩქაროდი შენს ნახვას დიდი ხნის დანატრებითა, ჩამოველ, როდი დამლალა მე ამ სიშორემ გზებისა.

ეს სიდიადე მთებისა ვინ გამოხატოს ქებითა? იმდენად ლამაზი არის, ველარ ამოგთქომ ენითა.

ვაჟას მთის წყაროს ვენვით, წყალი დავლიე პეშვითა, ილიმებოდა პირიმზე ლამაზი ქალის ეშხითა.

მთიდან მობლავის არაგვი, ააგუგუნა ხეობა, ლალად ზეიმობს ქართველი რაზიკაშვილთა ძეობას.

ვაჟაობაა ჩარბალში, ფშაველი მოქრის ცხენითა, მოყვარეს ხვდება გულითა, მტერს კი ხანჯლების წვერითა.

როცა შატილის ასული შლიდა ორბისფერ დალალებს, კოლხებმა მთების ექოთი დავჭექეთ ჰარი-ჰარაღე.

ჩარბალში ლამაზმანები ანთებდნენ ცეცხლის ალებსა, ხონჩით მოჰქონდათ ხინკალი რაზიკაშვილის ქალებსა.

ხევსურთ ვაჟებიც აჩქროლდნენ ამ სიდიადის ცქერითა, და შევსვით ჟიპიტაური ჯიხვის ლამაზი რქებითა.

ჰქუხდა ვაჟის ლექსები, სიმღერებით და ლხენითა მართლაც რომ ბუმბერაზი ხარ, დღესაც ვამაყობთ შენითა.

არ მოგვეშალოს თაობებს, ლოცვა ლაშარის ჯვარისა, ისმოდეს საქართველოში „მთიდან ბლავილი ხარისა“.

თბილისი

შენს მთებს ვკოცნი – თავნებას და ფიქრიანს, შემოჯარულს ქარაფიან კალთებით, შენს მთანმინდას, სევდიანს და ნისლიანს, მწუხრის ბინდის რომ შეუკრავს თასმები.

მთანმინდაზე რა ლამაზად შეგფერის, ცისარტყელას ცაზე მოვარაყება, მზის და ვაზის საქორნილო ელფერი, ვარსკვლავები რომ უსხედან მაყრებად.

ო, რამდენი წაილეკა სიშორე, მწვავდა ცეცხლი უბედობის, ქილიკის, შენზე დარდი ვერა, ვერ მოვიშორე – გზის დასავალ ძნელბედობის ბილიკით.

ჰორიზონტზე ტყეთა დაღვრილ დალალებს, მდუმარ ლოდებს თავისი აქვს საუფლო, მე მერმისზე ფიქრი უფრო მავალებს, მივიდე და ქვებსაც გავესაუბრო,

ხობბის ფრთაზე დაილექა წარსული და შამქორი არ მშორდება თავიდან, ის უზნეო რუქნადინი ავსული – თამარ მეფის ქოშის წვერად არ ღირდა.

გოლგოთაზე ვაზის ჯვარით მოსულხარ, ქართველ სპათა მხარ-მკლავებით ძლიერით, პასუხს სცემდი მოლაღატეს, მომხდურს და გამხნეებდა ქართლისდედის იერი.

თეთრ ულაყზე მიმაქროლებს წარსული, შენს მოშურნეს ეშმაკ უმუხანათოს, როგორც მუდამ, ახლაც ღმერთი გიშველის, ქრისტეს რჯული – სუფთა და უღალატო.

1977 წლის აგვისტო ჯავის რაიონში გაავატარე, ტურისტებისთვის მეტად პოპულარულ კროზაში. ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულიყვნენ ახალგაზრდები, ქართველობა თითო-ორიოლა იყო.

ჩვეულებრივი ცხელი დღე იდგა, შუადღისას მაინც უსაშველოდ ჩამოცხა... „მკვდარი საათი“ ეს-ესაა მორჩა, დაბალ სამხრობას რომ ეტყვიან, ის დროა. სუსტი ნიავი ოდნავ არხევს ხშირ თხილნარს, მესერად რომ შემორტყვია ოთხივე მხრივ ტყეში ჩამჯდარ ტურბაზას. კოტეჯებიდან აუჩქარებლად გამოდიან ნამძინარევი დამსვენებლები; ზოგი ტყისაკენ იღებს გეზს, ზოგი – მდინარისკენ, ზოგიც – სტადიონისკენ, რომელსაც, მიუხედავად ოღრო-ჩოღრო მოედნისა, ხალხი მაინც ეტანებოდა.

მე კარში ვდგავარ, ჩემი რვა წლის გოგა კი, ვინ იცის, ერთსა და იმავე ადგილას მერამდენედ დებს ბურთს, ისწორებს, მერა ხუთი-ექვსი მეტრით იხევს უკან, გამოქანდება და გამეტებით ურტყამს... ნახტომის გაკეთება სულაც არ მჭირდება – ოდნავ გადავიზინებ მარცხნივ ან მარჯვნივ და ბურთი აღებულია!

მომორებით, თხილნარის პირას, ქვაზე ჩამომსხდარან ორნი; ერთს მარწყვისფერი, წინწკლებიანი კაბა აცვია, მეორეს სარაფანი გადაუტყვამს შინაურულად, ტიტველი მხარ-მკლავი აქვს, ხორბლისფრად შეღებილი თმა და მოძრავი, მაგრამ დამჯერი, ლბლი თვალები. რაღაცაზე კოტეჯში შევედი. უკან დაბრუნებისას შევნიშნე, ქერათმიან ქალიშვილს ახლა ჩემი შვილი ჩაეყენებინა კარში და გამოზომილად ურტყამდა ბურთს, თან იმასაც უხსნიდა, თვითონ როგორ უნდა დაერტყა ხეირიანად კარში.

გუნდი გაგვზრდია-მეთქი, – ღიმილით ვუთხარი გოგას. – თქვენ ტელევიზიაში მუშაობთ, არა? – მკითხა უეცრად სარაფანიანმა. ბავშვზე გვერდზე გაიხედა. დავეთანხმე და ისიც ვუთხარი, რაზედაც ვმუშაობდი. არ მიყვარს ტელევიზია – მომახალა გაბუტული ბავშვივით და კიდევ უფრო დაბუტა ტურები. რა დაგიშავათ-მეთქი – მინდოდა მეკითხა, მაგრამ დამასწრო: თუ შეიძლება, კარში დადექითო. ნამუსზე შემეყენა და ჩავედექი. იმანაც გაისწორა ბურთი, პროფესიონალივით შეავლო მზერა, ერთი-ორი მეტრით დაიხია უკან და მარჯვენა ფეხის გარეთეფრთით ისეთი ძალით მოსხლიტა ბურთი, ისარივით გამინულია ყურთან და ლამის ბადეც გაგლიჯა. მივიხედე-მოვიხედე, პირდაპირ ბული მოგვჩერებოდა ყველა, ვისაც კი შევნიშნეთ. მივხედი, რომ ეს ის პასუხი იყო, რომელიც წელანდელ გულში გავლბულ კითხვას უნდა მოჰყოლოდა: ტელევიზიამ რა დაგიშავათ-მეთქი.

რა გქვიათ და, საერთოდ, ვინ ბრძანდებით-მეთქი. – ვითხე, რაც შემეძლო, ზრდილად. მივიდა, ბავშვს ლოყაზე მოუთათუნა ხელი, მერე იქვე ძელსკამზე ჩამოჯდა და სულ სხვა მითხრა: – არავინაც არა ვარ, სახელად მანანა მქვია და გვაკო ჩიტიმევი ვარ, გახვითმი ვცოდვილობ, ლენინგოლი... შიგადაშიგ ლექსებსაც ვწერ ხოლმე... – ეს ბოლო ფრაზა ისეთი ტონალობით გამოკვეთა, საკუთარ შესაძლებლობებში ნაკლებად თავდაჯერებულ ხალხს რომ სჩვევია.

ამოვისუნთქე, ნაცნობი ავტორი რომ გამოდგა. აი, თურმე ვინ ყოფილხართ-მეთქი და მიუახლოვდი. ოდნავ გაღიმებულმა გამომიწონა ხელი...

„აჰაუ, ისევ დამჭერ, მარინო, როგორც უბრალო ჩიტი მზენვია, რა ტანჯვით ვლობე სიტყვის ფარეხი, რომ ერთი ლექსი გამოიმეწყვიდა. მესმის ზუზუნის დაჭიმულ ღარის, მარინ! გაფიცებ წმინდა სახელებს! ღია მაქვს გულის სუყველა კარი, მოდი, მომკალი და მომასვენე“...“

გეგმაში გვყავხართ, ტელევიზიაში, კარგია, რომ პირადადაც გავიცანით-მეთქი (ისე, ავანსად ვუთხარი). შორს დაიჭირა: ნაცნობობა რა შუაშია!.. ქსნის ხეობაში ამასწინათ იყო ჩამოსული ჯუმბერი რომაა, თითმერა... კი ბატონო, კარგი ადამიანიცაა და კარგი კრიტიკოსიც, მშვენიერი მთარგმნელიც, მაგრამ... ჩამაცივდა – ლექსები მომეცა, ვინმეს დავაბეჭდინებო!..

მერე რა, კაცს, თანაც გემოვნებიანს, შეუნიშნავხარ და შუამავლობა შემოუთავაზებია, რა არის ამაში ცუდი! ლიტერა-

ტურის ყველა ჭეშმარიტი მსახურის ვალია ეს – შეგნიშნოს, აღმოგაჩინოს და სარბიელზე გამოგიყვანოს-მეთქი. „ჯერ სამაგისო არაფერი გამოიკეთებია“ – მომიგო მტკიცედ და ნამოდგა. ეს ისე დაბეჯითებით მითხრა, ეჭვის ნატამალიც არ დამიტოვა – მეტისმეტი თვითკრიტიკით ხომ არ კოპნიაობს-მეთქი. მერე დროულად მომაგონდა მისივე ლექსი და ნამიერი დაეჭვებისაც შემრცხვა, რადგან, როგორც ჩანს, ყველა

„ვისაც სიგაღლე ჭირდება ჩემი!..“

ნამდვილ შემოქმედს შეუჩნდება ხოლმე დროდადრო განმარტოების მახრ:

„მე ზოგჯერ მინდა გაქცევა მინით და მომტრეული მტკიცე რტოები, ჭაობისფერი მერევა იჭვი და მენატრება განმარტოება. მე ზოგჯერ მინდა მარტო ნუგეში, სიტყვა, სიკეთის მზით რომ იალბს, ერთ მუჭა მინას ვიყრი უბეში და გაეურბივარ ადამიანებს...“

ბევრიც დღეს ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში ტკივილიც და მწუხარებაც (არც არასოდეს გვეკლებია!), მაგრამ ეს შეიძლება დროებითი განმარტოების საფუძველს ქმნიდეს. კაცი იმედით ცოცხლობსო, ნათქვამია, მაგრამ ნურც მარტო ამ ანდაზის ამარა ვიქნებით.

რაგინდ პათეტიკურადაც უნდა აღერდეს, უნდა ვირწმუნოთ, უნდა გვჯეროდეს ხვალინდელი დღის, რომ უსათუოდ გამოიჭიატებს, თანდათან გადაიყრის ლეგა ღრუბელს და ისევე აბდღვიადდება ქართული მზე და ისევე გაიმეორებს ღვთაებრივი ანა ძლევა მოსილ სიტყვებს:

„მზე აინია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა!..“

მჯერა, გამეორდება!..

ავადსახსენებელ ბოლშევიკურ კრიტიკას სჩვეოდა მწერლების საგანგებო ცხრილში გატარება-დახარისხება.

ვაი მას, ვინც ცხრილში გაეტივოდა! „წვრილფეხა მწერლად“ მონათლავდნენ და ეყარა მერე კაკალი! მაგრამ იმათაც ვაი, ვინც ცხრილს ზემოთ რჩებოდა – თავისი დღე და მოსწრება ხელისუფლებისთვის უნდა ეგალობა!

ერთუფლები თუ გადაურჩნენ ამ წნეხს: გალაკტიონი, კონსტანტინე ბატონი, გოგლა, ოთარ ჩხეიძე...

ზოგიერთს ახლაც მოუმარჯვებია ცხრილი და კატეგორიულად ყოფენ მწერლებს დიდებად და პატივებად.

რთულზე რთულია შემოქმედებითი საქმოს დანომრვა ნიჭიერების მიხედვით. ვგონებ, შეუძლებელიც! რადგან სწორედ მაშინ, კომუნისტობისას, იმ წვეარამ ღამეში გვახარა პოეტმა, წუხელი ბიჭი დაბადებულია!.. (ანზორ აბულაშვილს სხვაც არაერთი შესანიშნავი ლექსი აქვს, მაგრამ, ეს ერთადერთიც რომ ჰქონოდა, რა, რაფიელ ერისთავი, დუტუ მეგრელი და მამია გურიელი, გინდაც, ნოე ჩხიკვაძე თითო ლექსით არ შემორჩნენ ლიტერატურას?!).

დიდი ქართული მწერლობა იმიტომ კი არ არის დიდი, რომ ხუთიოდე ბერმუხა ყოველთვის ჰყავდა, ჰყავს და, ღვთის წყალობით, მომავალშიც უსათუოდ ეყოლებოდა! იგი იმითაცაა დიდი, რომ მის მრავალ მეციხოვნე-მწერალს მრავალი ყური და თვალი აქვს და სულ სხვადასხვა ნახნავით უსმენს და უცქერის ხალხის სატკივარს.

პოეტი იმის პოეტია, რომ ტკივილსა და მწუხარებას იმედი და სიხარულიც აახლოს და ლექსად მოგივილინოს. ნავიკითხავთ ასეთ ლექსს და იმ ტკივილსა და მწუხარებას სულ სხვა სანყაოთი მივითვლით, რომელიც, სულს კი არ აგვიფორიაქებს, პირიქით, დაგვივანებს. ამ სასწაულს პოეზია სწადის!..

მაგრამ, მგონი, სიტყვა გაგვექცა... გამოხდა ხანი, ექვსი თუ შვიდი თვე.



ერთხელ რედაქციაში სახელდახელო მიკროვიტორინა გაიმართა – „ვისია ლექსი?“. ნაკითხვის:

„ჭიანურებს ვინრო მხრებზე გაიდებენ, რაა მათთვის სიმძლვე და ვალიები... გულში მტრობას არავისას გაივლებენ გრძელკანჭება, გულკეთილი კალიები. სატრფოს სარკმელს სერენადებს უმღერებენ, მზით ივსება ფაცხები და ნალიები. და საკრავებს გრძელ ქანაბებს უღერებენ მზის ბადავით გადამთვრალი კალიები.“

მე პირველი ნომრით გავდიოდი და რატომღაც (დღესაც რომ ვიხსენებ, ვერ მივმხვდარვარ – რატომ!) სიმონ ჩიქოვანი მომაგონა ამ ლექსმა, მაგრამ მაინც გაუბედავად ვთქვი: ჩიქოვანის უნდა იყოს-მეთქი. არაო, იუარა „პატივცემულმა ჟიურიმ“, – მამაკაცი არააო; აგაშენათ ღმერთმა, ისედაც ლამის ნამომცდა წელან და, თუკი ქალია, ანა კალანდაძეა-მეთქი. ვერ მოგართვიოთ, – ცოტა ირონიულად მომიგო „ჟიურიმ“ და მივხვდი, ქალბატონ ანას რომ დაუფიქრებლად დავაკელი და სხვას რომ უნებლიეთ წაუვმატე. ერთი, ორი, სამი... დაიწყეს თვლა. „ახალგაზრდაა?...“ „საკმაოდ!..“ ათი, თერთმე... თორმე... ხულები ავნივ, დავნებდი. ორ დღესაც რომ მემარჩიელა, ალბათ, ვერ მიხვდებოდი... მანანა ჩიტმევილია კი აღმოჩნდა!

დაკვირვებულ ვარ – როდესაც ახალგაზრდა პოეტზე (საერთოდ, მწერალზე) საუბრობ და უეცრად რომელიმე სახელმოსხვევილ, დიდ პოეტს ახსენებ, მსმენელი ღიზიანდება: აბა, ეგ რა შესადარებელი წყვილია, ახალგაზრდა კაცს დათვურ სამსახურს უწევო. სულაც არ მიფერია მათი დანაწყნება და, მით უმეტეს, შედარება, უბრალოდ, მოვიშველიე დიდი პოეტის სიბრძნე და გამოცდილება, შევასხენე ჩემს მსმენელს (ან უკვე ოპონენტს), რომ იგივე თემა ან სულაც მოტივი, დიდ პოეტსაც აწუხებდა თუ აღელვებდა-მეთქი. მაინც არ სჯერათ, მაინც ჰგონიათ, რომ ორივეს ერთ სიბრტყეზე ვაყენებ, ორივეს ერთ ტაფაში ვაქცევ... ჰგონიათ და ეგონით, ბოლოს და ბოლოს!

„გულს ვაყურებ დარდებიანს, ვეჭიდები ფიქრის მორევს... ჰაუ, ზეცა რამდენია, ჩემი ზეცა მინდა თორემ... გზას მივყვები, ბარდებია, მოვედები ღობე-ყორეს, ვარსკვლავები რამდენია, მე ჩემს ვარსკვლავს ვეძებ, თორემ... დალექვალ სულში თიხა, უწენიათ გე ველ-ქორებს, შენ არაფერ შუაში ხარ, სიყვარული მინდა, თორემ...“

ამ ლექსის ავტორი მხოლოდ თავისთავის იმედადაა ამქვეყნად!.. სხვისი მას სტრიქონი კი არა, ზეცაც არ უნდა. თანაც, ამ გახსენებაზე, ქართველი პოეტისა!.. ამ ლექსს, ქრონოლოგიურად, ორი ლექსი უსწრებს წინ: ერთი უსათაურო და ერთიც – „ღია ბარათი მეგობარს“. პირადად მე ორივე ეს ლექსი მახსენებს მურმან ლებანიძესაც, ჯანსუღ ჩარკვიანსაც და სხვათაც თავიანთი საუკეთესო ლექსებით, მაგრამ, ამას რომ ვამბობ, რაიმე გავლენაზე კი არ მიგანიშნებთ, არამედ იმაზე, რომ ლებანიძისული ბრწყინვალე ლექსების ციკლიც რაჭა-ლეჩხუმის გაუკაცრიელებაზე (ვინრო გაგებით, რა თქმა უნდა!) და ჩარკვიანის გახმაურებული პოემაც – „რწმენის კედელი“ უფროსი ძმებთან უდგანან მანანას ხსენებულ ლექსებს გვერდში. ისინი, ეს ლექსები – ერთსულოვანი ლექსებია. ჩემთვის „ერთსულოვანს“ ზოგჯერ ასეთი გაგებაც აქვს (ყველას ერთი სული უდგას!):

„და მიტოვებულ აივებს ათოვს და მახსენდები ძალიან გვიან... მე შენსას არ ვთხოვ, მე სხვისას არ ვთხოვ,“

არ ვთხოვ, მე მხოლოდ ჩემი მომეცი მთლიან. მე – ჩემი წილი მზეცა და ქარიც, მე – ჩემი წილი ჯამი და ქვევრი, მე – ჩემი წილი სესხი და ვალი, ჩემი სალენი კალო და კვერი. დამადგი ქედზე შენი უღელი, ტყუილბრალოდ ნუკი მიცოდებ... რომ მომშიგდეს და რომ დავიღალო, რომ დიდი მადლის ფასი ვიცოდო. გამაწაღვინე მეც ჩემი ტვერი, ამანთებინე ჩემი კვერია, თორემ ეგ არი, მოვიდა მტერი, მოვიდა მტერი და მომერია...“

ისე, რეცენზიას მეორედ ვწერ და გულახდილად რომ ვთქვა, სულაც არ მინდა, მაინცდამაინც ამ ლათინური სიტყვით რომ მოინათლოს ჩემი ნამუშაკარი. რეცენზია ისაა, როდესაც კრიტიკულად განიხილავენ მხატვრულ ნაწარმოებს, არჩევენ და რაღაც უხილავ სასწორზე აწონ-დაწონიან. ასეთი განჩხრეკისას მხოლოდ გონების პრიმატია წინა პლანზე და ემოციებს, რაგინდ გულწრფელიც უნდა იყოს, ნაკლები პატივი ედება. რეცენზირების დროს აუცილებელია მხატვრული ნაწარმოების გარკვეული სიბრტყითა თუ ასპექტით წარმოჩენა, იდეური, ეთიკური, ესთეტიკური და ა.შ. მოტივების დაძებნა, მასში თვისებრივად ახლისა და პროგრესულის მიკვლევა და ყოველივე ამის კიდევ რაღაცის შუქზე განხილვა... პროფესიონალი კრიტიკოსების საქმეა ეს და, ბუნებრივია, ჩემზე უკეთესადაც მოუვლიან; მე კი მხოლოდ გულისკანხით (ტრაფარეტი, მაგრამ მაინც) ვირჯები: ნავიკითხე მანანა ჩიტმევილის ლექსების პირველი კრებული „ქსანზე“, ნავიკითხე არაერთგზის და საბოლოოდ შემეძვარა თავი ამ პოეზიამ. და თუ დღეს საჯაროდ ვამხელ ამ სიყვარულს, ამას იმიტომ ვსწამდვარ, რომ მეჩვენება: აღსარებას თუ საჯაროდ წარმოთქვამ, ამით ერთბაშად განიმუხტება და დაგვიამდება ისედაც ყალყზე შემდგარი სული (სიყვარულის გამხელა, რისიც უნდა იყოს, აღსარებაა თავისთავად!).

მგონი, ვართულებ გაურთულებელს. ამიტომ მარტივად ვიტყვი: როდესაც მანანა ჩიტმევილი ლექსი „დაბრუნება“ ნავიკითხე, მივხვდი, თუ რითი დამივანა სული ამ ლექსმა:

„მე მივატოვებ მანქანებით გადაღლილ ქალაქს და მძიმე ასფალტს, რომ ვერა გრძნობს აპრილში ვერას, მოლუშულ ცას და მავთულებით დაკანრულ თავანს, თოვლსა და ტალახს მონატრული ბაღლების მზერას... ქუჩებს, რომლებზეც ასკინკილით ვერ გადავიკლი, ზოგჯერ აზრიან, უფრო ხშირად უაზრო ხმაურს, კინოებიდან გადმოღებულ ნასწავლ მანერებს, ვინრო ბაგეზე ამოგრეხილ ყალბ ქათინაურს, ავაპრიალებ დედისეულ ცხავატურ თონეს, ავფშრუკავ ნაცარს, გავანელებ“

სოფლურად თუთქით, ჩაკვირებ მერე მთვარესავით გაბადრულ შოთებს...

და ასე შემდეგ. ლექსი საკმაოდ გრძელია:

„ავაკრავ ვენახს, მანულოთ ავაკრავ ვენახს, შვილს მოვუნათლავ მჭედლიანთ ბერდოს და ნინოს... და შემოდგომით ღვიის ცოცხით გავრეცხავ ქვევრებს და თვალმოჭუტვით ცეცხლის შუქზე გავხედავ ღვიინოს. გავაჩენ შვილებს, ძალიან ბევრს გავაჩენ შვილებს: ლურჯთვალა თამარს, ფოცხვერივით მოქნულ ლამას – ვასნავლი რწმენას და უმეტეს ყოველთა სხვათა – ვასნავლი ვაჟას!“

დადის ლიტერატურულ წრეებში ასეთი ანექდოტური რამ: თითქოს ერთხელ, 20 თუ 25 წლის წინათ, იქნებ უფრო ადრეც, მწერალთა კავშირის კლუბში ახალგაზრდა პოეტები გამოდიოდნენ ლექსების კითხვით. გამოსულა ერთი ქალიშვილი და დაახლოებით ასე დაუწყო: „ზვავი ვარ, გრიგალივით მოვარდნილი... მერე ვილაც მხარბეჭიანი ჭაბუკიც ასულა ტრიბუნაზე: „ია ვარ, ენძელას დობილი...“ სათქმელი მიკიბულ-მოკიბული რომ არ გამოვიდეს, ვიტყვი: აქვს მანანას თავის კრებულში ისეთი ლექსები, ყოველ შემთხვევაში ისეთი მეტაფორები მაინც, თუ დაბეჯითებით არ იცი, რომ მათი ავტორი ქალია, ლოგიკა უსათუოდ ვაჟ პოეტებთან მივიყვანო:

„მე მუხის თავზე ვეძებ საშენოს, ერდოზე სხივთა მიზამს ლარები, უნდა ახალი სახლი ვაშენო, განა ვიგლოვო ნასახლარები... შენს საფლავებსაც უნდა მივხედო, ამ ლოდქვემ ჩემი ფესვი მარხია; ღობის გადაღმა გადავიხედო, ვაჟის სააკენე გაუჩარხიათ...“

ხედავთ – როგორა ჰგავს ეს სტრიქონები იმ სარაფნიან ქალიშვილს, ლამის ბადეც რომ გახია ბურთით!..

ყოველნაირ მოდას აჰყვება ქალი, ოღონდ უფრო მოხდენილი და სანდომიანი გამოჩნდეს (ამიტომაცაა ქალი ამქვეყნიურ სილამაზის თარგი), მაგრამ მხოლოდ მოდის აყოლით ვერ ჩაიდგამს იგი ვერც მეაკენის, ვერც გუთნისდებისა და ვერც კირითხურის სულს. სული თანდაყოლილია, ჩვენდა საბედნიეროდ. ამიტომაცაა, რომ მარტო განსწავლულთ არ სწყალობს მუზა, ამიტომაცაა, რომ იმიტაციურს, ხანძარსაც კი, ერთი მოკილვე ნამდვილი ნაპერწკალი სჯაბნის მისთვის, ვინაც სიტბოს მართლა ეთქვას!..

ისე არ გამომივიდეს, თითქოს მანანაში მხოლოდ მაჟორი, მხოლოდ ომახიანი ინტონაცია ჭარბობდეს, მხოლოდ ლაჟღავნა ფერები ბატონობდნენ. არავითარ შემთხვევაში!... პირიქით, საოცრად ნაზი და მგრძობიარეა ამავე დროს (ეს ბოლო ორი წინადადება „ნამეტნავი კრიტიკოსული“ გამომივიდა, ვატყობ). საბუთად ეს მინიატურაც იკმარებდა:

„მთები ბუერის ფიალებით ცის ნამს დალევენ და ულდის ხეზე დაგორდება მომსკდარი ზვავი... ღობის გადაღმა წარბშეკრული მაზლის ნამლევად ოცი წლის ქვრივი ეფერება ალუბლის ყევილს...“

ეს, ალბათ, პოეტის თანამგრძობიარობაა უფრო, ვიდრე –ხატვა. მხატვრობა მეორე სტროფში ჩანს რელიეფურად, თვალმისაცემად:

„ღამით გაღებულ ფანჯარაში ქანაობს მთვარე, ხელდება ძალი, სახლთან უცხო თუ დაიგულა და ქარი, როგორც ეჭვიანი, სასტიკი ქმარი, ალუბლის თითებს წითელ ბეჭედებს ნაპყრის დიდგულად...“

ფერწერის უქველი უნარი ჩანს მეორე მინიატურაშიც, უკეთ – სურათში:

„ვენახის ბოლოს სიბერისგან დაღრეცილ ტოტებს, როგორც გოგენის უჯანსაღეს ტაიტელ ქალებს, მზითა და სიციხით გალიგვული ძუძუებივით ჰკიდიო ორი ვებერთელა ყვითელი კომში...“

არანაკლებ შთამბეჭდავია ამ მხრივ, სურათი „შემოდგომა“:

„გზა ცურავს ყვითელ ფოთლების თქორში, ვეება ცოცხით ჩანს პატარძალი... დილით ფოთლებში ფართქალებს თოში და ფეხშიშველი მღერის ლაზარე... გზიდან ბებერი, არჯალი კომში თავის დაკორძილ მკლავებს მაძალებს...“

ეპითეტები „ბებერი“, „არჯალი“ სურათში, ერთგვარად სხვა სათქმელსაც ამჟღავნებენ, თითქოს სულიერდება კომის ხე და ლექსს ასოციაციური ქვეტექსტი უჩნდება.

დიახ, მხოლოდ მხატვარს, თანაც „კომპლექსური ხედვის“ ოსტატს თუ შეუძლია ასეთი მოულოდნელი, ლაკონური სათაურის ქვეშ მოაქციოს ზაფხულის პეიზაჟი:

„თუ ტკაცუნებს ქუჩაში დაგდებული გაზეთი, თუ დაყურსულ გაზონებს ახალი ხმა შეარხვებს, თუ მარტოდენ ქალ-ვაჟნი შერჩებიან გამზირებს და კრამიტის კლავიშებს ვინმე ფრთხილ თითს შეახებს, თუ ჰაერში ახალი მინის სუნი ტრიალებს და ასფალტზე ყვითელი ღელეები მიდიან, თუ ფანჯრებში ბავშვურმა სახეებმა იმრავლეს და ფანჯრების გადმოღმა მძივის ფარდა ჰკიდიო, – წვიმს...“ (წვიმს“)

ვატყობ, მკითხველი თანდათან დაიღალა. საკუთარი გამოცდილება მშველის და აღარც შევანყენ თავს. ბოლოს ერთი სურვილია მაქვს: მიხდა ამ წერილის სათაური გავამართლო და კიდევ ერთი ლექსი შემოგთავაზოთ, რომელშიც, ჩემი აზრით, ბევრია ავტობორტრეტისეული, ბევრია თვითონ... მანანა ჩიტიშვილი:

„მომადებნინა ისეთი ვინმე, ვისაც სიცილი ჭირდება ჩემი, მანამებნინა, რამეთუ სულში ამოებდა არ რეკდეს გრემი. მომადებნინა სიყვარულისთვის გადაკეტილი გულების ბჭენი, მომადებნინა ძლიერი რწმენა ცისა და მიწის, სხვისა და შენი, დამამზობინა ყველა სიყალბის, ყველა სიცრუის ძირი და თხემი, მომადებნინა ისეთი მზე, ვისაც სიმაღლე ჭირდება ჩემი!...“

მომადებნინოს!!!

მიზო ზარნაძე

P.S. ჩვენო მანანა!

კი იცი, ეს წერილი სამი ათეული წლის წინათ გიძღვენი.


მას შემდეგ უამრავი სულისშემძვრელი ლექსი შემატე მის უდიდებულესობას – ქართულ პოეზიას.

შენი ამჟამინდელი გულისტკივილიც და მოქალაქეობრივი პოზიციაც შესანიშნავად ჩანს თუნდაც ამ სტროფში:

აღარ ვიცი, ვინ ან როგორ შევაჩვენო, ქსანს და არავს უცხო მუშლი მისევია, ქართლი, როგორც გაროზილი დედაჩემი, გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია! „მოქალაქეობრივი პოზიცია“ დღეს თითქოს, ანაქრონიზმად გაისმის. „Поэтом можешь и не быть, но гражданином быть обязан“ (წ. ნეკრასოვი). საბედნიეროდ, ეს შეგონება შენ არ გეხება. მაღლობა შენი დიდი ჭირისუფლობისთვის!

გ. ზ.

...და კვლავ ააჟის „დააკრული“ სტროფის კვლავაჟალ



ბიოგრაფიული ბაზუნი

1903 წლის 4 სექტემბერს გაზეთ „ივერიაში“ (იხ.: N188, გვ.2) გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის, საკმაოდ, ვრცელი - ოცდათორმეტსტროფიანი სატირული ლექსი, სათაურით „ჩაის და ღვინის ბა-ასი“, რომელიც შემდგომ უცვლელად იქნა შეტანილი 1940 წელს გამოცემულ დიდი მგოსნის თხზულებების (სრული კრებული შეიდ ტომად) I ტომში (იხ.: გვ. 654-657). სხენებული ლექსი „მოხვდა“ სულმნათი პოეტის თხზულებათა ახალი სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) III ტომშიც (იხ.: გვ. 77-81), რომელიც მკითხველმა მიიღო 1954 წელს, ოღონდ, „მცირედი“ შემოკლებით - მისი მე-6 და მე-7 სტროფი ქართულმა საბჭოთა ცენზურამ, როგორც ჩანს, „აპოლიტიკურობის“ მოტივით, „დაბრკა“, გავაცნოთ „ჩაისა და ღვინის ბაასი“-დან ქართველი „ტვინ-მეისტერების“ მიერ (ასე უწოდებდა აკაკი მართალი სიტყვის ჯალათებს - ცარიზმის ერთგულ შავრაზმელ ცენზორებს) „განდევნილი“ სტროფები, ხოლო შემდეგ უკვე ვიმსჯელოთ მათი „დანუნება-დაბლოკვის“ უმთავრესი მიზეზის არსსა და რაობაზე. აი, როგორ „შეუტია“ ღვინომ მასთან „თავმონონებით“ მოკამათე ჩაის:

ვიდრე შევუდგებოდეთ ჩვენი სათქმელის ირვლივ სჯა-ბაასს, საჭიროდ ვრაცხთ, რომ მკითხველ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, გავაცნოთ „ჩაისა და ღვინის ბაასი“-დან ქართველი „ტვინ-მეისტერების“ მიერ (ასე უწოდებდა აკაკი მართალი სიტყვის ჯალათებს - ცარიზმის ერთგულ შავრაზმელ ცენზორებს) „განდევნილი“ სტროფები, ხოლო შემდეგ უკვე ვიმსჯელოთ მათი „დანუნება-დაბლოკვის“ უმთავრესი მიზეზის არსსა და რაობაზე. აი, როგორ „შეუტია“ ღვინომ მასთან „თავმონონებით“ მოკამათე ჩაის:

„გადიხარხარა ნუნუამ რაეხი მესმის ესაო?! მისი ოჯახი დაიქცეს, - ვინც ჩვენში ჩამოგთესაო!

მოსულხარ ბრიყვი ქვეყნიდან (ხაზ-გასმა ჩვენია - გ.გ.)

სიბრიყვეც თანვე გდევსაო; ვინ ნახა ნაცარქექია რომ შეეჭიდა დევსაო?“

როგორც ცნობილია, ჩაის სამშობლოს ჩინეთი წარმოადგენს და სწორედ ამ აზიურ ქვეყნიდან გავრცელდა ეს მარადმწვანე, მრავალწლოვანი ტროპიკული კულტურა და ახალი სურნელოვანი სასმელის დასამზადებლად მისგან წარმოებული პროდუქტი მთელ მსოფლიოში, მათ შორის რუსეთსა (1814 წელს) და იქიდან კი - საქართველოშიც (1847 წლიდან). აქედან გამომდინარე, ცხადია, სავსებით ლოგიკური უნდა იყოს, რომ ტაეპში „მოსულხარ ბრიყვი ქვეყნიდან“ ყველა საღად მოაზროვნე მკითხველმა „ბრიყვ ქვეყნად“ ჩინეთი მოიაზროს და ამით, როგორც იტყვიან, არც არაფერი „დაშავდება“, მაგრამ ჩვენ იმის გაფიქრებაც კი წარმოუდგენლად გვესახება, რომ ქართველთა ნეტარსახსენებელ დიდ მგოსანს ეკადრა და თავისი თავისთვის უფლება მიეცა ჩინეთი - ეს უძველესი ცივილიზაციის, უმდიდრესი ისტორიისა და, თამამად შეიძლება ითქვას, ოდითგანვე მაღალ-განვითარებული კულტურის მქონე ქვეყანა „ბრიყვად“ მოენათლა და იგი „დასაქცევად“ გაემეტებინა...

მამ, რაშია საქმე?... საბედნიეროდ, ზემოთ მოტანილ „თამამგარე მდგომარეობაში“ დარჩენილი სტროფების „საიდუმლოებათა გასაღები“ სულმნათმა პოეტმა თავადვე მოგვცა, სავარაუდოდ, 1904 წელს დაწერილ თავის ექვსსტროფიან ლექსში „ჩინეთი და იაპონია“. ამ ლექსს, რომელიც შეტანილია 1941 წელს გამოცემულ აკაკის თხზულებების (სრული კრებული შეიდ ტომად) II ტომში (იხ.: გვ. 550), მაგრამ მას მერე, რაც მისი „აპოლიტიკურობა“ გაიშიფრა, მისთვის მგოსნის თხზულებათა ახალი სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) კარები, სამწუხაროდ, „დახშული“ აღმოჩნდა, დართული აქვს ტომის რედაქტორების

მიერ გაკეთებული ამგვარი შენიშვნა: „ლექსი დაწერილია რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ჩინეთის სახელით აქ იგულისხმება ცარისტული რუსეთი. პოლიტიკური ტენდენცია ლექსისა შუმწნე-ვია იმდროინდელს ცენზურას და ლექსი უკვე აწყობილი გაზ. „ივერიაში“ დასაბეჭდათ 1904 წელს - აკრძალულ იქნა“. ლექსი „ჩინეთი და იაპონია“ იწყება შემდეგი სტროფებით:

„თუმცა ჩინეთში არა ვყოფილვარ, მაგრამ შორიდან გამიგონია, რომ ერთხელ მასაც ქვეყნის საფრთხობი მოჩვენებული ძალა ჰქონია!

ეს ხალხ-მრავალი ბრიყვი ქვეყანა (ხაზგასმა ჩვენია - გ.გ.) დღესაც მუშტზე სდგას... თავმომწონია! და რომ „ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს კოკა“ - ეს არც-კი გაუგონია“.

როგორც ვხედავთ, აკაკის ზემოხსენებული ლექსებიდან მოტანილ სტროფებში ფიგურირებს ტერმინები „ბრიყვი ქვეყნიდან“ და „ბრიყვი ქვეყანა“, რომლებშიც ავტორი უქვეყნად რუსეთს რომ გულისხმობდა, ეს უდავოა. ამდენად, ტაეპები:

„მისი ოჯახი დაიქცეს - ვინც ჩვენში ჩამოგთესა“-ო! - საქართველოს „დინდი მეზობლის“ მისამართით რომ არის ნათქვამი, ესეც ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მით უმეტეს, რომ „ივერთა მხარეში“ ჩაის კულტურა სწორედ რუსეთიდან „ჩამოგვეტესა“.

ასე რომ, აკაკიმ, ჩინეთის „მანიპულაციით“, ზემოთ აღნიშნული თავისი ორი ლექსით „კბილი“ აშკარად რომანოვთა იმპერიას „გაკრა“ და ქართულ საბჭოთა ცენზურას ყოველივე ეს, ერთხანს, „შეუმწნეველი“ დარჩა, თუმცა, შემდგომ ყველაფერი „თავის ადგილზე“ დადგა - მგოსანი „გამოფრეს“ და მისი „მზაკერული“ სტროფები ქართული „ტვინ-მეისტერებმა“ კარგა ხნით „დაუმალეს“ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - თუ 1940 და 1941 წლებში გამოცემულ აკაკის თხზულებების (სრული კრებული შეიდ ტომად) I და II ტომში მოხერხდა „აკრძალული მიმართულების“ მოხსენიებული პოეტური ნაწარმოებების დაბეჭდვა, მაშ, რატომ ვერ გაკეთდა ეს თხუთმეტ ტომად დაგეგმილ დიდი კალმოსნის თხზულებათა ახალი სრული კრებულის 1954 წელს გამოცემულ III ტომში? ჩვენი ღრმა რწმენით, რაოდენ საკვირველადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, ამის პირველესი მიზეზი უცილობლად იყო სტალინ-ბერიას „ზურგის“ ფაქტორი, რომელიც ქართულ საბჭოთა ცენზურას აძლევდა, ასე თუ ისე, „თავისუფლად“ მოქმედებისა და, მეტ-ნაკლებად, „თამამი“ გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. „ბელადების“ გარდაცვალების შემდეგ კი, ამ „ზურგის მოშლამ“ განაპირობა ჩვენებური „წითელი“ ცენზორების მიერ აღებული, ერთობ, მაამებლური „კურსი“. კერძოდ, „ძლიერი მოკავშირე მეზობლისა და დიდი პატრონის“ წყენინებას, ქართული სიტყვის საბჭოთა „ჯალათ-რევიზორებმა“ ისევე „დაბალი ღობის“ - „უწყინარი“ აკაკის, როგორც „შინაური მღვდლის, რომელსაც შენდობა არ აქვს“, პოეზიის „გასხვლა“, მისი ხელყოფა არჩიეს და, საკმაოდ, კარგადაც შეასრულეს ეს „მისია“. სწორედ ამ გარემოებამ დაგვანერინა წინამდებარე პუბლიკაცია, რომელიც, ვიმედოვნებთ, რომ არ დარჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“ და იგი თავის მოკრძალებულ, პატარ ნვლილს მაინც შეიტანს აკაკი წერეთლის ოც ტომად განზრახულ თხზულებათა ახალი სრული კრებულის (პირველი ორი ტომი ამ კრებულისა მკითხველამ უკვე მიიღო), მართლაც რომ, სრულყოფილად გამოცემის საქმეში.

ბაქეთ თუ არა თქვენს სკოლაში უნიფორმა, გაქეთ თუ არა რაიმე ნიშანი, ან გერბი, ან ლოზუნგი, ან რაღაც პატარა სურათი, სკოლის ამსახველი. იქნებ ატარებთ ბამბის სვიტერს, ზედ სკოლის ლოგოთი. ეგ სვიტერები, ალბათ, სათანადო ფერისაა. თქვენი სკოლის ყოველი სპორტული გუნდი აგრეთვე ამ ფერის სამოსშია გამოწყობილი. ეს ხომ ნორმალურია, მაგრამ “მუხის ნერვის საშუალო სკოლა” ზუსტადაც რომ არ გახლდათ ნორმალური სკოლა.


დასაწყისისთვის იგი ახალი იყო. ქალაქი სწრაფად ფართოვდებოდა, ისე სწრაფად, რომ ახალი სკოლების გახსნის აუცილებლობა გაჩნდა. ორი ამენდა კიდევ, აქედან ერთი იმდენად პატარა, რომ გაფართოებას საჭიროებდა. “მუხის ნერვის საშუალო სკოლა” არა მხოლოდ ახალი, გამორჩეულიც აღმოჩნდა, იგი მოსწავლეებს იღებდა რამდენიმე სხვა სკოლიდან, რომლებშიც ტევა აღარ იყო. სკოლას არანაირი წარსული არ გააჩნდა, სულ ერთი წუთიც არ შეუგროვებოდა. აი, კიდევ რა: მასში გადასასვლელად მოსწავლეთა თხოვნები ასეული ჰყავდათ გამზადებული.

ენით ვერ აღწერდით, ისე ჩქარობდნენ, ყველაფერი დროზე რომ დაემთავრებინათ. სულ ორიოდ დღის უკან ეს ადგილი სამშენებლო მოედანს ჰგავდა. ირგვლივ ჩაფხუტიანი კაცები იხდნენ და სენდვიჩებს შეეცდოდნენ მასში, როდესაც დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელი, მისტერ მარში სახეანითლებული უყვიროდა მათ, რათა დაეჩქარებინათ და დაესრულებინათ მშენებლობა. ამ თავკაცის თანაშემწემ, უცნაური გვარის მქონე მისის პრინციპლმა, რომელიც მშენებლობის შემომწების მიზნით, კიბეზე აძვრა და იქ გაეჩხირა, ქაოსი გამოიწვია. სამმა ყოჩაღმა მშენებელმა უარი თქვა მის ძირს ჩამოყვანაზე, რადგან ისინი დაზღვეულნი არ იყვნენ, როგორც მაშველები. მშენებელთა ათისთავმა სცადა, რუპორით დაერწმუნებინა თანაშემწე, ძირს ჩამოსულიყო. ამ დროს დირექტორი, რომელმაც გააცნობიერა, რომ ეს განსაცდელი მის თანაშემწეს ეხებოდა, თანაც იცოდა, ყველაფერს ტელევიზიით გადასცემდნენ ქალაქის ნახევარზე მეტ მოსახლეობას, ეხვეწებოდა ათისთავს, შეენეცხა რუპორით ყვირილი. როგორც იქნა, საგანგებოდ გამოძახებულმა სახანძრო ბრიგადამ მისის პრინციპლი ქანდარიდან ჩამოხსნა.

ვერანაირმა გულმოდგინე ზომებმა ვერ დააჩქარა მშენებლობის დასრულება. მაგრამ სემესტრის დაწყებამდე ექვსი საათით ადრე, წინა დღის ნაშუაღამემდე, რაღაც სასწაულო, სამშენებლო ობიექტი უკანასკნელმა მშენებელმა დატოვა. თითქმის შუადღისთვის, ნაყარწყარი გზის გადაღმა შეეგროვებინათ. ახლა კი გარბი-გამორბოდნენ წიგნებით, სკამებითა და მერხებით კლასებისა და კაბინეტების შესავსებად. მისტერ მარში, ამჟამად ფერმკრთალი უფრო, ვიდრე წითელი, ცდილობდა, ერთდროულად თორმეტ ადგილას ყოფილიყო. მისის პრინციპლს, ვარდისფერსა და გაოფლიანებულს, სირბილისას მიძიმე ყუთი გაუფარდა და ფეხებზე დაეცა (მან სემესტრი ყავარჯენზე შემდგარმა დაიწყო).

მისტერ მარშიმ, რომელიც თავს დამნაშავედ გრძნობდა, სული მოითქვა, მისის პრინციპლი ადგილობრივი საავადმყოფოს კრიტიკული დახმარების ოთახში რომ გადაიყვანეს და ფეხი რენტგენზე გაუშუქეს. გასაკვირია, მაგრამ მის გარეშე მოვლენები უფრო სწრაფი ტემპით წავიდა წინ.

დღის მინურულს სხვა კრიზისმა იჩინა თავი. არ აღმოჩნდა ელექტრონათურები. ისინი გეგმაში გამორჩენილად და მომარაგებაზე არავის უზრუნია. მისტერ მარშიმ ელექტრონათურების საყიდლად მაშველი ძალები გაგზავნა ერთი მილის რადიუსში მდებარე ყველა მაღაზიაში. შეუპოვარი დრონი შეუპოვარ მოქმედებას ითხოვდა. მანამდე კი უცნაურად გამოიყურებოდა – ატმისფერი განათება ბიჭების საპირფარეოში, რაც მანაც სჯობდა სრულ სიბნელეს. ყოველივე დილის



ოთხის ნახევარზე ხდებოდა და ბოლო ცარიელმა მანქანამაც გაიგრუსუნა გზაზე. საბრალო მისტერ მარშის, ჯერ კიდევ ადრენალინით აღსავსეს, ახალა მოაგონდა ძილი, სკოლას ქურდულად შემოუარა დიდი მტვრიანი ჭინჭითა და ჯერ კიდევ მოსაგვარებელი საქმეების სიით, ასევე, ჯერ კიდევ ბევრი ხალხის გასალანძლად.

და, საუბედუროდ, ისე მოხდა, რომ ზეორგანოს აღმზრდელითი საბჭოს თავმჯდომარემ დილის რვის ნახევარზე საპირფარეოში მოულოდნელად აღმოაჩინა ატმისფერ შუქზე ჩაძინებული ეს ახალი დირექტორი. მაგრამ ახსნა-განმარტებისთვის დრო აღარ რჩებოდა. ავტობუსებიდან გადმოსხმული პირველი მოსწავლეები უკვე შეგროვილიყვნენ ჭიშკართან. დირექტორი თავისი კაბინეტის ფანჯრიდან აკვირდებოდა მათ. თავმოყრილ ბავშვებს ცისარტყელას ფერების ტანსაცმელი ეცვათ. მისტერ მარშის, რა თქმა უნდა, არ სურდა, სკოლა მთლიანად უნიფორმაზე გადაეყვანა, თუმცა, უცებ გადაწყვიტა, უკეთესი იქნებოდა, სასკოლო ფერები მანაც დაეფიცინათ. მაგრამ იქნებოდა კი ამის გაკეთება ადვილი? დანებებულების სახელწოდება “მუხის ნერვის საშუალო სკოლა”, რასაკვირველია, თავისთავად მიუთითებდა, მას უნდა ჰქონოდა მუხის ფოთლის, ან მუხის ხის ემბლემა მწვანე ფონზე. მისტერ მარშიმ საიმოვნებო ამოცანა უნდა, ჩანანერს თვალს მოავლო და ჩამონათვალის მზარდ სიაში ჩანიშნა: მორიგი გადაწყვეტილება წარმატებით აღსრულდება!

მისტერ მარში ამ უბანში ახალი იყო, მაგრამ სემესტრის პირველივე საბჭოს სხდომაზე მასწავლებლებმა თავები აქეთ-იქით გადააქნიეს.

– ემიშობ, არ გამოცა, – თქვა მისტერ პოტსმა, რომელიც სხვა ადგილობრივი სკოლიდან გადმოეყვანათ, – “მუხის ტოტის პირველ სკოლაში” უკვე აქეთ მწვანე ბამბის სვიტერები და ზუსტად ასეთივე ემბლემა. საშუალო სკოლაში არავის სურს ხუთი წლისა ჰგავდეს.

– კეთილი, მაგრამ რკოს შესახებ რას იტყვიან? – იკითხა სახეგაბრწყინებულმა მისტერ მარშიმ.

ესეც, როგორც აღმოჩნდა, უკვე რომელიღაც სხვა სკოლას ჰქონია. მისტერ მარში დაიბნა.

– იქნებ თავად მოსწავლეებს დავეკითხოთ, რომ ამის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვან? – შესთავაზა ხატვის მასწავლებელმა. – ეს ბრწყინვალე პროექტი იქნებოდა ჩვენი ხატვისა და ხაზვის კურსისთვის. უფროსკლასელებს ამაზე შეიძლება საუკეთესო იდეები ჰქონდეთ.

თითქოს კარგი აზრი იყო. მაგრამ ვე-

რავინ გაიანგარიშა ის წარმოუდგენელი აურზაური, რაც ამ მარტივმა წინადადებას გამოიწვია.

ყველაფერი უწყინრად დაიწყო. მოსწავლეებს თავთავისი პროექტის წარდგენა დაევალიათ.

– ჩვენ ახლა რეალურად თანამედროვე პროექტის შექმნა შეგვიძლია, – თქვა ერთმა აღფრთოვანებულმა გოგონამ.

მისტერ მარშიმ შემოფოთებით შეხედა მის სხვადასხვაფერად შეღებილ თმას, ფოჩიან ჯინსს, და თავი იმით დაიმშვიდა, რომ სკოლის პერსონალი არ აირჩევდა რაღაც ასეთს, ანუ, არ დათანხმდებოდა ზედმეტად არაბუნებრივს.

შემოფოთების პირველი ნიშანი გააჩინა სკოლის ლოგოზე გაკრულმა ბანერმა, რომელიც გაჰყვიროდა: “ხმას ვაძლევთ ლურჯს!” იქვე იდგა რამდენიმე გოგონა, მუქლურჯ ფერებში ჩაცმული, ხელში ლურჯი დროშებით და არწმუნებდნენ სკოლაში შემსვლელ მოსწავლეებს, რომ ლურჯი იყო ჭეშმარიტად სულიერებისა და მომავლის ფერი.

მეორე დილით პატარა ემამბოხეები იმ დროს შეიჭრნენ ჭიშკარში, როდესაც ყვითლის მხარდამჭერი ფრაქცია, ესაოდა, ეს ფერი მზის ნათებისა და იმედის ფერიაო, თან ამას რეჩიტატივით, აგრესიულად რეპავდნენ, რათა გაეჯვარებინათ ლურჯებში გამოწყობილი გოგონები. რასაკვირველია, ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რადგანაც სხვა ფერებზე შეიძინეს მხარდამჭერები.

მისტერ მარშის ფანჯრიდან ხედი ახლა მართლაც რომ ბევრად მრავალფეროვანი გახდა. ყოველ დილას მოსწავლეები ავტობუსებშივე იცვამდნენ საგანგებოდ შერჩეული ფერის ტანსაცმელს. გადმოსვლისას თანხმობის ჯგუფები ერთად გროვდებოდნენ ფერებისა და მიხედვით. სურათი ჩამოყალიბდა კვირის ბოლოსთვის – “ცისარტყელაა ჭეშმარიტი პარტია”-ს ასპარეზზე გამოჩენით, საკადრისი სათანადო ჩაცმულობით. მათ საკითხი ისე დასვეს, რომ ნებისმიერი ერთადერთი ფერის გამოყოფა მრავალთა შორის, რომლებიც სიდიადეს სძენდნენ ამ სამყაროს, ტირანის აქტი იქნებოდა. მხოლოდ ყველა არსებული ფერის თავისუფალ გამოყენებას შეეძლო ჭეშმარიტად აესახა ადამიანთა სხვაობა ამ სკოლაში.

მისტერ მარში უკვე ნანობდა მისეულ ასეთ პოზიციას. კვირის ბოლოს, პროექტებს შორის შეჯიბრის დასრულების მოახლოება ძრწოლას ჰგვირდა, როცა გაიფიქრებდა იმ დიპლომატიურ მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობაზე, რაც თან სდევდა სკოლისთვის ფერისა და სლოგანის არჩევას.

ნიკოლა პექსტერი

შეერთა გუნდი

ყველა პროექტი წარდგენილი იყო პარასკევს, ნაშუადღეის სამი საათისთვის. მისის პრინციპლი, ჯერ ისევ არცთუ მყარად მდგარი თავის ყავარჯენებზე, თავპირისმტვრევით მორბენალ მოსწავლეებს წაექციათ, რომლებიც თავიანთი ნალოლიავეები პროექტის ჩაბარებას ჩქარობდნენ. იგი მეორედ მოხვდა კრიტიკულ ოთახში და განაცხადა, აბა, სემესტრის დაწყებისთანავე როგორ დავწვეო! მისტერ მარში ამან დააბნია. ფაქტები იმაზე მეტყველებდა, რომ მისის პრინციპლი მეტ თავსატეხს უჩენდა, ვიდრე რაიმეს უკეთებდა.

მისტერ მარშის ფიქრი შეანყვეტიწეს, აცნობეს, რომ ვილაციები ჩხუბობდნენ სამხატვრო კლასში შესაჭრელად. დირექტორიც იქით გაქანდა, აღმოაჩინა, რომ ხატვის მასწავლებლები ხელში დახვეული რულონებმომარჯვებულნი, სკამებისგან ბარიკადები რომ აღემართათ, კონკურსზე შემოსულ პროექტებს იცავდნენ სხვადასხვა ფრაქციებისგან, რომლებმაც აპკარად იგრძნეს, ზედმეტი შეჯიბრიალობა არც ისე კარგი რამააო. ბრძოლა სერიოზულ ფაზაში შევიდა, როცა ახალგაზრდა ხატვის მასწავლებელმა, დარწმუნებულმა, რომ გამოხატვის თავისუფლებას იცავდა, გაცხარებული ბავშვების ჯგუფისკენ საღებავით სავესე ქილა-ჭურვი ისროლა და მათი ყოჩები ნითელ-ყითელი ლაქებით მოთხუშნა. არანაირი ძალა არ ჩანდა მოსწავლეთა დასაწყნარებლად. მხოლოდ მისტერ მარშის გამაყრუებელმა ყვირილმა და შეჯიბრიდან დაუყოვნებლივ მოხსნის მუქარამ დააშოშმინა მოქიშპე მხარეები.

– ამ საღამოს პერსონალის საგანგებო თათბირი გვექნება, სადაც განვიხილავთ კვირის ბოლომდე შემოსულ ყველა პროექტს, – განაცხადა მან, – აშკარად შეუძლებელია, გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა. განცხადებას გამარჯვებულებზე და ჩვენი გადაწყვეტილების თაობაზე ვაკეთებთ ორშაბათს, ლანჩის დროს. ახლა კი – სახლში!

იმავე საღამოს ხატვის მასწავლებლებმა ყველა წარდგენილი ესკიზი სამხატვრო კლასის სამ კედელზე მიამაგრეს და განხილვაც დაიწყო. პირველი სტადია მარტივი იყო – ყველაფერი უხამსი, სიცილისმომგვრელი, თუ რაიმე სხვა აღმშოფოთებელი, დასაწყისისთვის გვერდზე გადადეს. ეს იყო მფრინავი ღორები, მასწავლებლების თავებიანი სხვადასხვა ცხოველი, დინოზავრიც კი, ჭაობის ბაყაყები (მინიშნება, რომ დირექტორს საკუთარი გვარისაც კი ეშინია – marsh – ეს ხომ ინგლისურად ჭაობია, არა?), მყავე ხახვის ქილა, შემწვარი კვერცხი ნითელ ფონზე, ჩინურად ნაწერი ფრაგმენტები (როცა თარგმნეს, უხამსობა აღმოჩნდა). ყველაფერი ეს გადაყარეს.

შემდეგი სტადია ბევრად რთული აღმოჩნდა. მისტერ მარშიმ გადაწყვიტა, აერჩიათ სამი სიმბოლო, გაეკეთებინათ მათი ქსეროასლები და პერსონალს განსახილველად მის წაეღო. შემდეგი, საბოლოო კენჭისყრა ორშაბათ დილას უნდა შემდგარიყო.

ესკიზების უფრო სწრაფი დამზადებისთვის ყოველ მასწავლებელს აეკრძალა მათი სამზე მეტის გაკეთება.

მოულოდნელად, მასწავლებლებმა ამა თუ იმ მხარის დაცვა დაიწყეს, ზუსტად ისევე, როგორც ეს მოსწავლეებმა გააკეთეს. ყველასთვის გაუგებარი მიზეზით, გეოგრაფიის მთელი განყოფილება წინააღმდეგი აღმოჩნდა ესკიზებისა, რომელზეც რაიმე ხაზები იყო გამოსახული. მისტერ მარშიმ გაპროტესტება სცადა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ერთიმეორის მიყოლებით, ხაზიანი ყველა ნახატი დაწუნებულთა ხედავს შეუერთდა.

ისტორიის მასწავლებლებმაც მსგავსი პრინციპულობა გამოიჩინეს. მოითხოვეს, რამდენიმე ფერს საერთოდ აეკრძალოს შეჯიბრში მონაწილეობა, რადგანაც ისინი რომელიღაც პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას ადასტურებდნენ. ასეთი საბაბით, გარკვეული ფერებით შესრულებული ესკიზების დიდი რაოდენობა ნაგავში აღმოჩნდა.

ხატვისა და პროექტირების გან- ▶▶

ყოფილება, წესების მიმართ მისთვის ჩვეული ოპერატიულობის მიუხედავად, წინააღმდეგი აღმოჩნდა, გონივრული აზრი გამოეთქვა კვლავ-წარმოების დანახარჯებზე, მრავალფეროვან ლოზუნგებსა და დანადგარებზე. ამტიკებდნენ, ერთ ფერში შესრულება უთუოდ ბევრად ეკონომიური იქნებოდაო. მისტერ მარში ამას აღფრთოვანებით შეხვდა და კედლიდან ჩამოგლიჯა "ცისარტყელას ქემმარტი პარტიის" ნაწარმი და ნაგავში მოისროლა. როდესაც პერსონალმა სრულად გამოიყენა თავისი აკრძალვები, სამხატვრო კლასის კედლები დაცარიელდა.

– ოხ, არა, – კვენესა აღმოხდა მისტერ მერშის, – არ მითხრათ, თავიდან ვინცებთ ყველაფერსო.

საბედნიეროდ, მისტერ პოტსმა დაინახა იატაკზე დაგდებული ქაღალდის ნაფლეთი.

– მოიცათ, – თქვა მან, – აგერ, ერთი დარჩენიათ.

მისტერ მარშის აშკარა იმედი გაუჩნდა, იქნებ რაღაც გამოსადეგი აღმოჩნდესო.

ფურცლის ზემო ნაწილში ეწერა: "მუხის ნერვის საშუალო სკოლა: დააფასე მისი ნაკვალევი". დაბლა კი ყავისფერი, ჭუჭყიანი ფეხის კვალი იყო.

მასწავლებლები ფურცელს მდუმარედ შესცქეროდნენ.

– ვიზუალურად ძლიერია, – თქვა ხატვის განყოფილების უფროსმა.

– და იაფი კვლავწარმოებისთვის, – ნელა წარმოთქვა მისტერ მარშიმ.

– დააფასე მისი ნაკვალევი – ზუსტად ისაა, რისი გაკეთებაც გვსურს, – დაეთანხმა მისტერ პოტსი.

– ამისი მსგავსიც კი არსადაა ქალაქში, – დაუდასტურეს მას სხვებმაც თავის დაქნევით.

საერთოდ, ამგვარი რამ არავის წარმოედგინა და რაც მეტს ფიქრობდნენ, მით უკეთესი ეჩვენებოდათ, რადგანაც აქ იყო მომავლისკენ სწავლის განცდა. თან მინაზე მტკიცედ დგომა იგრძნობოდა. ეს სრულებითაც არ იყო ცუდი. საერთოდ არ იყო ცუდი.

– და კიდევ, – მისტერ მარშის სიამოვნებით აღვსებოდა მზერა, – აქ აბსოლუტურად გამორიცხულია ფრაქციონალიზმის მხარდაჭერა ჭუჭყის, როგორც ფერისადმი. ამიტომაც შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, როდესაც ვინმე ერთ ფერს მიიჩნევს მეორეზე უპირატესად. იცით, როგორ უარყოფითად შეფასდა ის ლურჯლოზუნგიანი გოგონები. ყვითლები და წითლები კი ზუსტადაც რომ ცუდები იყვნენ.

– ვილაცამ ჩემს მანქანას ჟოლოსფერი ეტიკეტი მიაწება, – დაიჩივლა ერთმა მასწავლებელმა, კოლეგები კი თავისქნევით დაეთანხმნენ. არც ერთს არ უხსენებია ჭუჭყი.

ორშაბათს, დილით, პატარა პირველკლასელი ბიჭუნა გაოგნებული დარჩა, როდესაც აღმოაჩინა, რომ, თურმე კონკურსში გაიმარჯვა. მისი გაცხადება უფრო თავისივე სლოგანის დანახვამ გამოიწვია, სკოლის ფრონტონზე რომ აფრიალდა ლანჩისას. მისივე საკმაოდ მოკრძალებული ემბლემა – მუხის ყვითელი ფოთლები წითელ ფონზე – შესასვლელში დაფაზე იყო მიკრული. ბიჭუნამ იგი ბოლო მომენტში მიაგვრა, როცა მისის პრინციპლი თავის ყავარჯნებით მძიმედ გადაადგილებოდა და ხვეტდა ქაღალდის ნაგავს, აქეთ-იქით ფანტავდა ზედა ფურცლებს, რომლებზეც ფეხის ჭუჭყიანი ნაკვალევი აჩნდა და ნაგავში უპირებდა გადაყრას.

ამ მოუწესრიგებელ პირველკლასელს გაპროტესტება მოუწია, თუმც მხოლოდ ნახევარი წამით.

და... გადაიფიქრა.

ინგლისურიდან თარგმნა

ნიკოლოზ კახიანმა

ბატონო თამაზ! ძალიან გაგვახარეთ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენით, რომელიც ასე გვენატრებოდა! ღმერთმა დაგლოცოთ ამისათვის!
 ნაცების მოღვაწეობას სამი წიგნი მივუძღვენი. აქედან ორი დაბეჭდილია (რომანი „გაცრუებული იმედი“, 2008 წ. და ლექსების კრებული „წიკიურტები“, 2010 წ.). მესამე, ხუთასგვერდიანი პუბლიცისტიკა „და მოიცვა ქვეყანა ბნელმა“ ინტერნეტში დევს. წინამდებარე ლექსები, რომელთაც დასაბეჭდად გიგზავნი, ამოკრეფილია 300 ეგზემპლარით გამოცემული წიგნიდან. თქვენი პოპულარული გაზეთის მეშვეობით კი, იმედი მაქვს, მთელი საქართველო წაიკითხავს...
 ამ უკუღმართ დღეზე გარეწილმა ნაცებმა აღსასრულის წინ მაინც უნდა იცოდნენ, როგორი იყო საზოგადოების განწყობა მათ მიმართ. თუმცა ეს ყოველთვის ფეხებზე ეკიდათ!

ძმური სიყვარულით
 რევაზ ჩხარტიშვილი

სატირული ლექსები (ნიგნიდან „წიკიურტები“):

1. კომუნისტების ხანაში
 სულ გაზაფხული ხარობდა,
 მშვიერი გლეხიკაცები
 ამოვიყვანეთ ხაროდან.
 მთვარეზეც გავაჯვჯილეთ,
 კოსმოსშიც გავანავარდეთ,
 გავაძღეთ ყველ-პურ-კარაქით,
 სულ არაფერზე ვადარდეთ.
 დღეს კი შიმშილით სულს ღაფავს,
 დრო გაჰყავს „იმის“ ფხანაში...
 ისევ ხაროში მიძვრება
 სააკაშვილის ხანაში.

2. რახანია, შავი ჯანლი
 აფენია მთას და მდელს,
 კაცს ვნატრულობთ, ვინაც შეკრავს
 ბუდეშვილი საქართველოს.
 ვინც დღეს გვიზის სათავეში
 უთავბოლოდ ჭრის და კერავს,
 ხან აღმა ხნულს დაღმა ფარცხავს,
 ხან მოგვიშლის ფუძე-კერას.
 დროზე, ძმებო, ეს სულძაღლი
 წყალს და მენყერს გავაყოლოთ,
 რომ მაგისი გასაგისი
 ავ სიზმარში დარჩეს მხოლოდ.

3. რა ვქნათ, რა ვუყოთ, არ ვიცით
 ამ ჩვენს პრეზიდენტს ავსაო,
 არც ქვეყნის მოვლის თავი აქვს,
 არცა გვანებებს თავსაო.
 შხამად შეერგო დედის რძე,
 ტკბილად ნამღერი ნანაო,
 ის დღე დაიქცა, ასეთი
 ვინც შობა, მოიყვანაო.
 ცხრა წელიწადი ვერ მიხვდა,
 არ ძალუძს ქვეყნის მართვაო...
 ვინ დაგვიბრუნებს იმ ხანას,
 ამ ბრიყვმა რაც წავგართვაო.

4. ცა ქუდად არ მიაჩნია,
 დედამინა კი ქალამნად,
 „ნაცმოდრაობის“ წევრები
 შემორტყმული ჰყავს გაღავნად.
 მისი ყოველი სიბრიყვე
 სიბრძნე ჰგონია კუბლაშვილს,
 (ქლესა კაცს ნამუსს ვინ მოსთხოვს,
 ღერი არა აქვს უღვაშის).
 ნაცების ხელის შემყურე,
 ჭკუის მსწავლედი ვინ არი...
 ჩვენი საშველი არსად ჩანს,
 გვიახლოვდება ფინალი.

5. შენ, ჩემო ტკბილო სამშობლოვ,
 ეს რა შავი დღე დაგიდგა,
 გაგიორგულდა ნაცები,

ყველანი განზე გაგიდგა.
 სულიკოსავით კაცს ვეძებთ,
 რომ გაგიღვივოს იმედი,
 სააკაშვილმა ჩაგვნიხლა,
 უფსკრულის პირას მივედით.
 შავი ღრუბელი ჩამონვა,
 ჩაგვიქრა ნათლის ფერები...
 ვინც გადამირჩენს სამშობლოს,
 მე იმას მოვეფერები.

6. სააკაშვილმა ქვეყანა
 ყუამდე დაიყვანაო,
 იქით ვენახი აჩეხა,
 აქეთ — მოთხარა ყანაო.
 თვალს გვიბრიალებს ჩიორა,
 თაქთაქიშვილის ქალიო,
 სულ ღრუბლებს ზემოთ დაფრინავს,
 ძირს ჩამოაგდებს ქარიო...
 ჩამოაგდებს და, ჯანდაბას,
 ქარმა წაიღოს თანაო,
 რიყეზე ჰყრია რამდენი
 ქალები მაგისთანაო.

7. რა დრო-ხანას მოვესწარიო,
 საკვირველს და მეტად უჩვევს,
 არ გვსურს, მაგრამ გვაჩეჩებენ
 კაჩინსკის და ბუშის ქურებს.
 ზედ, თბილისის შუაგულში,
 შევჩენკოს ძეგლს დაგვიდგამენ,
 ძეგლს კი დიდი დავითისას
 ქალაქგარეთ გაიტანენ.
 სანატრელი გახდა ჩვენთვის
 სვეტი ნათლის დიადისა,
 ალიევის ძეგლი გვაქვს და
 არ გვაქვს ძეგლი ზვიადისა.

8. ველით, მაგრამ არავინ ჩანს,
 არ მოგვეგრიდეს ელეთ-მელეთს,
 პურს გვაჭმევდნენ, ამის ნაცვლად
 ჯიბე დაგვიცარიელეს.
 თვალს გვიხვევენ, ყურს გვიჭედენ,
 თითქოს ცაში ვარსკვლავს ვწყვიტავთ,
 ჩვენი ყოფის ბედ-იღბალი
 ერთმა „ნაცმა“ გადაწყვიტა.
 ფერხთქვეშ მინა გვეცლება და
 ზეცით გვბურავს შავი ჯანლი...
 როგორც ერთხელ გურიში,
 დროა, მოხდეს დიდი ჯანყი.

9. რა გონიერი ხალხია
 ეს უცხო ინვესტორები,
 სულ გრომ-კაპიკად ჩაიგდეს,
 რასაც დაადეს ტორები.
 ქართულ მინა-წყალს გვწაპნიან
 მტრად შემოსული მოყვრები,

ჭინჭველებივით მომრავლდნენ,
 ვინ არის მათი მომრევი.
 სულ დაქუცმაცდა ქვეყანა,
 ძირში გაუჩნდა ბზარები...
 ყურში არ ესმით ამ „ნაცებს“
 შიშის და რისხვის ზარები.

10. ეს ევრობა გადაგვირევს
 გადარეულს ისეც კაცსა,
 ხალხს ქუჩაში ხოცავს, მაინც
 ეძახიან დემოკრატსა.
 წამოიწყებს ომს რუსეთთან,
 მიაკარგავს ქართულ მიწებს,
 წაგებულ ომს გვილოცავს და
 დიდებისკენ ურცხვად იწევს.
 ევროპელთა თვალში, ვატყობ,
 თეთრად მოჩანს შავი ფერი...
 სამშობლო რომ ხელთ გვეცლება,
 „მაი ვითომ არაფერი?“

11. სამშობლოვ ჩემო, ნაცები
 ღალატის გვაძლევს მაგალითს,
 მე ერთი გელაციცები,
 როგორც ოქროს და მარგალიტს.
 გულს ნუ გაიტეხ, შენ ჩემთვის,
 მარგალიტიც ხარ, ოქროცა,
 შენი აუგის მსურველი
 გზას მისდევს ოკრო-ბოკროსა.
 გული მიკედება, ამ უბირთ
 შენთვის აუგი სწადათ,
 უღმერთოდ განადგურებენ,
 რამდენი წელიწადია.

12. ვაპატიეთ ქვეყნის ნგრევა,
 მინა-წყალის დაკარგვა,
 ძლივსშევესებულ ბიუჯეტის
 მის გემოზე განკარგვა.
 „მეტროს“ ნაცვლად ხიდს გვიშენებს
 მტკვარზე, უშნოდ გადებულს,
 ვინ მაძალებს, ხმას რომ ვიღებ,
 ვინ მხდის ამის ვალდებულს.
 მაგრამ არვინ არ კითხულობს,
 რა ანუხებს კაცს, მშვიერს,
 რას ვუტოვებთ მომავალს და
 მოდგმასა და ნაშვიერს..

13. მლიქვნელების ისმის ხმები:
 „ყოჩაღ, ჩვენო დათუჩაო,
 ვინც კი იყო ავის მდომი,
 ყველა შიშით გაყურდაო.
 კარგი ვსვათ და კარგი ვჭამოთ,
 ეს ცხოვრება წამიაო,
 ამის მეტი რა შეგვრჩება,
 ვიქეიფოთ, ძამიაო.
 ერთად დავცხოთ მალაყები,
 სულს ვაამოთ, მერე ტყავსო...
 ვინც კი ავად შემოგვხედავს,
 ვანო დედას მოუტ...ნავსო“.



ლია წერილი ლექსო დორეულს

ლექსო!

მე და შენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ასე რომ, არა მგონია გამიწყრე, თუ შენობით მოგმართავ. სიმართლე გითხრა, გამაკვირვა, შენმა „მიმართვამ“ („ლს“ 57). როგორც ჩანს, პასუხისმგებლობისაგან გაქცევას თავდასხმაზე გადმოსვლით ცდილობ.

კარგად მოგეხსენება, რომ ყალბეგაშვილის ტექსტის გამოქვეყნებამ გაზეთის მკითხველთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, სწორედ ამიტომ მე და იკა ქადაგიძემ საჭიროდ ჩავთვალეთ, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოეხმაურებოდით აღნიშნულ ფაქტს (აქ აღარ დავინეგებ იმ მწერლებისა და პოეტების სათითაოდ ჩამოთვლას, ვინც მდელიერების ნიშნად დაგვიკავშირდნენ).

ჩვენი წერილების შესახებ აცხადებ: „ორივე ავტორის კრიტიკული წერილები არა ყალბეგაშვილის ტექსტის მხატვრულ-ლიტერატურული, არამედ მისი შემქმნელის პიროვნების ზნეობრივ-ეთიკური შეფასება, მეტიც, მისი დამცირებაა, რაც, სამწუხაროდ, აბსოლუტურად ცდება კრიტიკის კომპეტენციის ფარგლებს“.

ასეც არაა საქმე, როგორც შენ ამბობ! ვინც ჩვენი წერილები წაიკითხა, ნახავდა, რომ იქ საუბარია „ტექსტის მხატვრულ-ლიტერატურულ“ ღირსებებზეც იმდენად, რამდენადაც განხილული ტექსტი ექვემდებარება მხატვრულ ანალიზს. რა უნდა გააანალიზო, როცა საანალიზო არც არაფერია?! თუ არ ხარ კმაყოფილი ჩვენი კრიტიკით, მაშინ თავად გვიჩვენე მხატვრული ანალიზის ნიმუში.

ტექსტის მიხედვით, ერთადერთი რამ, რაც საგანგებო ყურადღებას მოითხოვდა კრიტიკოსისაგან, სწორედ ავტორის პოზიცია იყო, გამოგნებელი ქართველი ქალებისადმი საკუთარი დამოკიდებულებით. სწორედ ეს ვაქციეთ ჩვენი მსჯელობის მთავარ საგნად. სწორედ ავტორმა უნდა ინებოს კეთილი და აგოს პასუხი საკუთარ ტექსტზე.

რამდენჯერმე საგანგებოდ აღნიშნავ, რომ არ შეიძლება ასეთი ტონით წერა ახალგაზრდების შესახებ. ზოგიერთმა შენი ნამსჯელიდან ისეთი დასკვნა შეიძლება გამოიტანოს, თითქოს, მე ახალგაზრდებს ვემტერებოდე. კარგად მოგეხსენება, რომ მე არ ვარჩევ ავტორებს ასაკის, ან ლიტერატურული „წონის“ მიხედვით და გაკრიტიკებული მყავს როგორც ახალგაზრდები, ისე სამოცდაათს გადაცდენილი აცუნდარუკებული ბერიკაცები, რომელთაგან ზოგიერთი „ცოცხალი კლასიკოსის“ წოდებასაც ეპოტინება. როდესაც სიმართლის თქმაზე მიდგება საქმე, საკუთარი ოჯახის წევრსაც არ დავინდობ! ეს რომ ბაქიაობა არ არის ჩემი მხრიდან, კარგად იცის მან, ვინც მიცნობს.

შენ და შენი ავტორი ცდილობთ, ტექსტში გამოთქმული შეხედულება

ქართველი ქალების შესახებ პერსონაჟს გადააბრალოთ, მაგრამ ასე არ გამოვა. სრულად ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ავტორი და მთხრობელი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, სწორედ ამიტომ, მე არც დამიწყია იმის გამოკვევა, ჰქონდა თუ არა ავტორს პარალელური ურთიერთობა დედა-შვილთან; ფაქტობრივი პარალელების ძიება აქ სრულიად არააარსებითია. მთავარი თხზულების იდეაა, ამ საკითხში კი ავტორისა და მთხრობელის პოზიცია სრულიად იდენტურია. ტექსტში არ გვაქვს არცერთი დეტალი, მხატვრული ნიუანსი, რაც მიგვანიშნებდა, რომ ავტორი განსხვავებულ პოზიციაზე დგას. ნაწარმოების სათაურიც „სირაქლემას+რელიგიური დიეტა+ძროხა=აღმოსავლელ ქალ-ერთეულში“ თვალნათლივ ადასტურებს, რომ ავტორისა და პერსონაჟის თვალსაზრისი ქართველი ქალების შესახებ ზუსტად ერთმანეთს. იკა ქადაგიძის საპასუხოდ გამოქვეყნებულ წერილშიც ყალბეგაშვილმა გულწრფელად აღიარა: „მე არ ვიცი, უცხოელ მოგზაურებს და მკვლევარებს ღვიზო ულამაზებდა სინამდვილეს, თუ მოვლენათა ნყალობით მხოლოდ ის ცოტანი ხვდებოდნენ, ძალიან ლამაზები რომ არიან, მაგრამ დღეს ისეა, როგორც ვამბობ. ქართველ ქალებს მოკლე ფეხები, უშნო გავა და არაპარმონიული სახის ნაკვეთი აქვთ, კბილებს არ უვლიან და თმებიც იშვიათად მოდის მათი სხეულის შესაბამისობაში“.

„მიმართვამ“ ლიტერატურული ეთიკის განუხრელ დამცველად ცდილობთ თავის წარმონიშნას და მსაყვედურობ ჩემი რამდენიმე უხეში გამოთქმის გამო. ვაღიარებ, შეიძლება ცოტა ზედმეტად გავცხარდი, მაგრამ ნამდვილად ძნელი იყო ურისხველობის შენარჩუნება, როცა ასეთი ტექსტი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ვიხილე. მიმარჩია, რომ შენ ნამდვილად არ უნდა გვარიგებდე ჭკუას, ვინაიდან სწორედ თავად იყავი ის, ვინც საკუთარ მეგობრებს აღაძლინე ის ადამიანები, რომლებმაც შენს შემოქმედებაზე კრიტიკული წერილი გამოაქვეყნეს (ამჯერად ციტატების მოტანისაგან თავს შევიკავებ). მაშინ რატომ არ გავახსენდა ლიტერატურული ეთიკა? ლიტერატურული პოლემიკა რატომ არ გამართეთ პიროვნული შეურაცხყოფის მაგიერ? მაგ თქვენი ტექსტის გამოქვეყნებით მთელს ერს რომ მიაყენეთ შეურაცხყოფა, ამაზე რად არას ამბობ? არა მგონია, ეთიკაზე პედაგოგიკური საუბარი მისაღები იყო იმ კაცისაგან, რომელიც იწონებს ყალბეგაშვილის ლექსს (იხ. იკა ქადაგიძის წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში).

სანამ ჩემი, კონტექსტიდან მოცილებული ფრაზების ტრიალს დაიწყებ, მანამდე სწორად მაინც უნდა ამოწერო ისინი. მე ვწერდი: „მისი ჟანრული თავისებურება შეიძლება შეფასებულიყო, როგორც...“ შენ გადმოწერე:

„მისი ჟანრული თავისებურება შეფასებული იყო როგორც...“ შედეგად შეიცვალა სემანტიკა. თუ მე ტექსტის ჟანრულ თავისებურებაზე ვსაუბრობ, შენი პერიფრაზის მიხედვით გამოდის, თითქოს ავტორზე ვჭკობდე.

სხვაგან წერ: „ლიტერატურული საქართველო“ არც ის ადგილია, სადაც სხვა ლიტერატურული გამოცემებისა და მათი მკითხველებისათვის „ფეკალიების“ ძახილი შეიძლება“.

მაგრამ შენ აქაც გააყალბე ჩემი ნათქვამი. მე „ფეკალიები“ ლიტერატურული გამოცემებისა და, მით უმეტეს, მათი მკითხველებისათვის კი არ მინოდეხია, არამედ იმ მასალისათვის, რაც „ტაბულაში“ და „ცხელ შოკოლადში“ არცთუ იშვიათად იბეჭდება: „ლიტერატურულ ფეკალიებს უხვად ჰყავს თავისი მუშტარი ჟურნალი „ტაბულას“, „ცხელი შოკოლადის“, აგრეთვე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სახით. „ლიტერატურულ საქართველოს“ კი არაფერი სჭირს საიმისო, რომ ასეთი მასალის ბეჭდვაში აღნიშნულ გამოცემებს შეეცილოს“ — ვწერდი მე.

მაქვს თუ არა უფლება, ლიტერატურული ფეკალიების მუშტარი ვუნოდო გამოცემას, სადაც იბეჭდება ვინმე ზაზა კომკაძის ტექსტი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ამყარებს გაუკუღმარებელი ფორმით სექსობრივ კავშირს შეილიშვილი თავის ბებიასთან? თუ არ გახსოვს, გაგახსენებ, რომ თავად დამირეკე გაოგნებულმა და მამცნე ამის შესახებ, როცა მე არაფერი ვიცოდი. რაც შეეხება ჟურნალ „ცხელ შოკოლადს“, სწორედ აქ დაფრთხიანდა სახელოვანი დეისაძე. თუმცა მას შემდეგ, ისე შეიცვალა შენი ლიტერატურული გემოვნება, არ გამიკვირდება, ახლა კომკაძე და დეისაძე თანამედროვე პროზის ოსტატებად მიგაჩნდეს.

ნუთუ არავითარ უხერხულობას არ გრძნობ, როდესაც დამცველად უდგები ჟურნალ „ტაბულას“, გამოცემას, რომელიც იყო და არის ავადსახსენებელი „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიური მედროშე და რომელშიც დღემდე მოღვაწეობენ ისინი, რომელთაც იდეურად შეამზადეს ყოველგვარი ნამუსახდილობა, სინმინდის, ზნეობის წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანების ცოცხებით გაუპატიურება?! შენი ლოგიკით კი, თურმე მე ბოდიში მაქვს მოსახდელი „ტაბულასათვის“. ბოდიში კი არა ფითილიანი ბომბი რომ არ დაუდო გამწარებულმა ხალხმა რედაქციაში, მაგაზე გადაიხადონ მადლობა!

თავი შენ გაქვს სამართლებელი და არა ჩვენი! ეს კარგად უწყის მკითხველმა და ამას შესანიშნავად ხვდები თავადაც.

აი, ეს მინდოდა მეთქვა შენთვის ამჯერად.

კეთილი სურვილებით
ლევან გუბუნიძე

თამაზ ბატონო!

მადლობა უფალს!

ახლა საქართველოში ოცნებების ახდენის ჟამია. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენა კი, ალბათ იმ საუკეთესო ოცნებების შესრულების მაუნყებელია, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს საერთოდ საქართველოს სამომავლო ოცნებების აღსრულებაში. ეჭვგარეშეა, ამ ჭეშმარიტებას უფალიც თანაუგრძნობს. სხვანაირად ბუნებაში არაფერი ხდება...

ამ გაზეთის აღდგენა ჩემი დიდი ოცნების ასრულებაა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, თქვენ და საქართველოს ყველა კეთილისმსურველს.

თქვენს გაზეთს ექვს ათეულ წელზე მეტია ვკითხულობ და ყოველთვის განსაკუთრებულ შეგებასა და სიამოვნებას მანიჭებ. ყოველი პარასკევი ჩემთვის მნიშვნელოვანი დღეა. ადრე როცა გაზეთის გამოცემის შეწყვეტის პრობლემები იყო, თქვენს გაზეთში ვწერდი: თუ საქართველოში საზოგადოება არსებობს, თქვენს გაზეთს დახურვა არ უნერია მეთქი...თუმც მავანმა და მავანმა თავისი გაიტანა, მაგრამ არა საბოლოოდ, გაზეთის გამოცემა განახლებულია. აღნიშნული გარემოება მიტოვებს იმის ღრმა რწმენას, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ არსებობა საქართველოსთან ერთად მარადიული ჭეშმარიტებაა. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გაზეთ-„ასავალ-დასავალის“ რედაქციას იმის გამო, რომ ხანდახან საკუთარ გვერდებს გითმობდათ, თქვენს თავს შეგვახსენებდა და გვაგრძობინებდა, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს და ისევე გაიღვიძებს, ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამინებს.“ დაბოლოს, როგორც პოეტები იტყვიან, მეც ლექსით მინდა გამოეხატო თქვენი გაზეთისადმი ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა:

შენ გაზეთი კი არაა,
გულის სიყვარული ხარ,
სალოცავი ხატი და
ოქროს დიდი ზოდი ხარ.
შენზე უფრო საყვარელი,
არ არსებობს მინდორ-ველი,
შენს აღმდგარ სულსა წმინდას,
ესალმება მთანმინდა.
სიყვარულის დიდო თაიგულო,
უკვდავება უნდა დაიგულო,
ვისაც შენი გამარჯვება უნდა,
არასოდეს არ უმტყუნოს გულმა...
მიყვარხარ ძლიერ, მიყვარხარ,
ქართველის გულის ფეთქვა ხარ,
დილით მზე ამომავალი
და ჩამავალიც შენა ხარ,
მიტომაც ასე მიყვარხარ.

პატივისცემით

გულთაზ ლაპარტყავა

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (ვ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ:

2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:

ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“

კოდი: MIBGGE22

ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ძვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნიჟნიაძე



გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის
პარასკეობით